


GSA news

ჯი-ეს-ეი ნიუსი

საქართველოს სტრატეგიული ასოციაცია



ადამიანი ხილისაბრი პროცესები

კბილის ფასვის რასტავრაცია მიმართული აოლიმბიურიზაციები
კუმუნუალის ადამიანი ზეპირის

სტრატეგიული ძალაშენი მეცნიერებების თავისებურებები
აუთისტიანი საექტრის აალილობის მქონე ბავშვები

ალერგიული რეაქციების პრევენცია და
მარცვალი სტრატეგიული

GSA

საქართველოს სტოაზოლოგთა ასოციაციის VIII საერთაშორისო კონგრესი



გათამი, 13-14 ივნისი,
2012 წელი

ქათევან გოგილაშვილი

უკრნალ “GSA news”-ის მთავარი რედაქტორი,
საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცე-
პრეზიდენტი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი

**Ketevan Gogilashvili, MD, PhD,
Editor in Chief, GSA news,
Vice President, GSA,
Professor of Medicine,
Scientific-research Institute of Ilia State University**



ჩემო კოლეგებო,

GSA new-ის ახალი ნომრით მოგესალმებით. იმედი
მაქს, დღეიდან ეს უკრნალი თქვენი რჩეული გამოცემა
გახდება. წლების განმავლობაში ვცდილობთ, ჩვენს პრო-
ფესიაში არსებული აქტუალური, უახლესი და მნიშვნე-
ლოვანი ინფორმაცია მოგანოდოთ. თქვენი წინადადებები
ძალზე ლირებული იყო უკრნალის შინაარსის და ფორმა-
ტის ჩამოყალიბებისას და მინდა გთხოვოთ, მომავალშიც
მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება და შეხედულება იმ სტა-
ტიების შესახებ, რომელსაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ.

ახალ ნომერში თქვენ გაეცნობით ადჰეზიური ხიდის
დამზადების თანამედროვე ტექნოლოგიებს და ტრადი-
ციული ხიდისაბრი პროთოზიტან განსხვავებით, ახალი მე-
თოდის გამოყენების უპირატესობებს; დაშლილი კბილების
აღდგენის ოპტიმალურ მეთოდს პოლიმერიზაციული კუმშ-
ვადობის ადჰეზიური ტექნიკით; აუტისტური სპექტრის
აშლილობის მდგომარეობისთვის დამახასიათებელ ზოგად
ნიშნებს და სტომატოლოგიური მკურნალობისთვის მონი-
დებულ რეკომენდაციებს; სტომატოლოგიურ კაბინეტის
განვითარებული ალერგიული რეაქციების მენეჯმენტს, ანაფილაქსიური შოკის და კვანძებს შეშუპების მართვის
ალგორითმს და სხვა საინტერესო თემებს.

ჩვენ ერთმანეთს ბათუმში შევხვდებით – ეს ჩვენთვის VIII საერთაშორისო კონგრესი იქნება. მასში მონანილეო-
ბას მსოფლიოში წამყვანი სტომატოლოგები მიიღებენ,
თქვენ გელოდებათ საინტერესო სამეცნიერო პროგრამა
აქტუალური საკითხებით კბილთა რესტავრაციაში, ენდო-
დონტიკი, პაროდონტოლოგიასა და ლორნოვანი გარსის
დაავადებებში, იმპლანტოლოგიასა და ყბა-სახის ქირუ-
გიაში, ორთოდონტიკასა და ორთოპედიულ სტომატოლო-
გიაში. კონგრესის ფარგლებში გაიმართება სტომატოლო-
გიური ტექნიკის და მასალების მწარმოებელი მსოფლიოში
ცნობილი კომპანიების გამოფენა.

**გისურვებთ წარმატებებს
პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.**

Dear colleagues,

Welcome to the new edition of The GSA news. I hope that by now this magazine has become your favorite publication. For many years we've been trying to deliver most updated, timely and thoughtful information and opinion on issues that are critical for dental profession. Your feedback has been very valuable in shaping content and format of the magazine and I encourage you to continue providing your views and suggestions about the articles that we offer to our readers.

In this issue we will highlight modern technologies of adhesive bridge and the advantages of new method compared to conventional bridge; the optimal restoration method of extensively decayed teeth with adhesive technique of directed polymerization; general signs of Autism spectrum disorders and recommendations for treatment of respective patients; management of allergic reactions in dental practice, protocols for management of anaphylactic shock and Quincke's oedema and many other interesting topics.

I am looking forward to seeing you in Batumi at The Eights International Congress that will bring together the World's leading dentists. The congress will highlight research programs on wide spectrum of issues, such as teeth restoration, endodontics, periodontics and oral mucosa pathology, implantology and maxillo-facial surgery, orthodontics and prosthetic dentistry, etc. Exhibition of modern dental equipment and materials will be held within the congress framework to keep you updated about the new developments in the respective area.

I wish you all success in your professional career and personal life.



მთავარი რედაქტორი
ჩეთვან გოგილაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი
გიორგი მანაშვილი

სარედაქციო საბჭო
ნინო ვალაშვილი
ვლადიმერ მარგველაშვილი
სერგეი რადლინსკი
ვლადიმერ სადოვსკი
მიხოდ უგრიძე
პერმან შორიშვალი

სარედაქციო კოლეგია
ზ. გერსამია
ზ. გვერდამა
ზ. კაკაპაძე
ქ. კობახიძე
ი. კუხანოვი
კ. მარჯალეიშვილი
თ. მიქარევა
ს. სამხარაძე
თ. შიგნიაშვილი
ზ. ჩიჩუა
ლ. ჯავა

ტექნიკური რედაქტორი
გვარდია მახათაძე

უურნალ GSA news-ში
პუბლიკაციების დაბეჭდვის
მსურველებმა
მოგვმართეთ მისამართზე:
თბილისი, რ. თაბუკაშვილის 27,
„საქართველოს სტომატოლოგთა
ასოციაცია“
ტელ. (032) 2 30-97-11
(+995) 95 53-23-53
www.gsa.ge
e-mail: info@gsa.ge

პარციალის კონფიდენციალური და ღონისძიებები

ჩვენი სიახლეები 3

რესტავრაცია

ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზები 10
კბილის ფესვის რესტავრაცია მიმართული
პოლიმერიზაციული კუმშვადობის ადჰეზიური ტექნიკით . . 24
SDR დენტინის რაციონალური შემცვლელი. სწრაფი,
ესთეტიკური და ეკონომიკურად მომგებიანი რესტავრაციები
საღეჭი კბილებისათვის 30

პუტიზები და სტომატოლოგია

სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის
თავისებურებები აუტისტური სპექტრის აშლილობის
მქონე ბავშვებში 34

პლარგია და სტომატოლოგია

ალერგიული რეაქციების პრევენცია და მენეჯმენტი
სტომატოლოგიაში 42

იგალანტოლოგია

იმპლანტოლოგიური ჩარევის დონეები
სტომატოლოგიაში 49
პერიოდიმპლანტიტის 4-ეტაპიანი მკურნალობა
“CIST” (Cumulative Interceptive Supportive Therapy)
პროტოკოლის მიხედვით და პროცედურის
ეფექტურობის კლინიკური შეფასება 53

ყან-სახის ტირული

სწორი მეთოდის შერჩევა ქვედა ყბის პლასტიკური
ოპერაციების დროს 60

იქსპერიმენტული კვლევა

ექსპერიმენტული სტომატიტის პირობებში აზოტის
ოქსიდის როლი პირის ღრუს ლორწოვან გარსში
სისხლის ნაკადის რეგულაციაში 64

პასუხები საინფერესო ბევრობები

68

პრაქტიკული სტომატოლოგია

70

ჩვენი სიახლეები


GSA

აღმოსავლეთ ევროპის იმპლანტოლოგთა V საერთაშორისო კონფერენცია

2011 წლის 11-12 მარტს ქ. ლვივში (უკრაინა) აღმოსავლეთ ევროპის იმპლანტოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი გაიმართა – მონაწილეთა რაოდენობამ 1500-ს გადააჭარბა. კონგრესის სამეცნიერო კომიტეტის წევრები საქართველოდან პროფ. გ. მენაბდე და პროფ. ვ. მარგველაშვილი იყვნენ. 12 მარტს კონგრესის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელშიც 20-ზე მეტმა მომხსენებელმა მიიღო მონაწილეობა (უიურის თავმჯდომარე ი. მაზური). სასიხარულოა ის ფაქტი, რომ პირველი ადგილი და სპეციალური პრიზი ჩვენმა თანამემამულემ – ლალი ქოჩიაშვილმა დაიმსახურა. მეორე და მესამე ადგილი, გერმანიის და უკრაინის წარმომადგენლებს ხვდათ წილად.



GSA

ლექცია ვილნიუსის უნივერსიტეტის

2011 წლის 14 მარტს, ქ. ვილნიუსის უნივერსიტეტში პროფ. ვ. მარგველაშვილის ლექცია ჩატარდა, რომელსაც 100-ზე მეტი მსმენელი დაესწრო. საინ-



ტერესო პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, მასში ღიატველმა ექიმებმა და რეზიდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.


GSA

პირის ღრუს პირურგთა და იმპლანტოლოგთა საზოგადოების დაფუძნების ღონისძიება

2011 წლის 18 აპრილს კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის მცირე დარბაზში საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა პირის ღრუს ქირურგთა და იმპლანტოლოგთა საზოგადოების დაფუძნების ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ექიმი-სტომატოლოგები და რეზიდენტები თბილისიდან, ბათუმიდან, იმერეთის და სამეგრელოს რეგიონებიდან.

საღამო გახსნა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ქეთი გოგილაშვილმა. მან საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციაში პირის ღრუს ქირურგთა და იმპლანტოლოგთა საზოგადოების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა და მოწვეულ სტუმრებს საზოგადოების ხელმძღვანელი – ქირურგი და ორთოპედი, კლინიკა „ცედექსის“ ლოკალური ხელმძღვანელი ორთოპედიულ და ქირურგიულ სტომატოლოგიაში, ილიას სახ. უნივერსიტეტის მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებელი კახა მაზმიშვილი წარუდგინა.

საზოგადოების თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას პირის ღრუს ქირურგთა და იმპლანტოლოგთა საზოგადოების ფუნქციები გააცნო და ამავდროულად, სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

სიტყვით გამოვიდნენ: გიორგი მენაბდე, ზურაბ ჩიჩუა, თენგიზ ლობჟანიძე, მამუკა გოგიძერიძე და კახაბერ გურგენიძე.

პირის ღრუს ქირურგთა და იმპლანტოლოგთა საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ახალგაზრადა სტომატოლოგთა საზოგადოებამ.





RADIX-ის | საერთაშორისო სტომატოლოგიური კონგრესი

2011 წლის 30 აპრილს, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მხარდაჭერით RADIX-ის | საერთაშორისო სტომატოლოგიური კონგრესი გაიმართა. პირველი დღე პაროდონტის ანთებითი დაავადებების კომპლექსური მკურნალობის თანამედროვე ასპექტებს დაეთმო.

კონგრესის ოფიციალური ნაწილი პროფესორ ქეთევან გოგილაშვილის მოხსენებით „პაროდონტის დაავადებათა მკურნალობა – თანამედროვე სტომატოლოგის აქტუალური პრობლემა“ გაიხსნა. საინტერესო მოხსენება წარმოადგინა ჰაჯეტებეს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯავიდ აპედებილმა – „პლასტიკური პერიოქიორუგია ღრძილის რეცესიის დროს“. კლინიკა „ცედექსის“ ექიმმა-ორთოდონტმა, ლალი კოჭლაშვილმა „პაროდონტის დაავადებათა კომპლექსურ მკურნალობაში ორთოდონტის როლზე“ ისაუბრა. კლინიკა „დენტექსი 95“-ის ექიმმა-სტომატოლოგმა მარიამ ზურმუხტაშვილმა პაროდონტის დაავადებათა სამკურნალო-პროფილაქტიკური თერაპიული მოვლის საშუალებები მიმოიხილა. ლიმბასის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფის, „მრჩეველის“ წარმომადგენელმა, სოფიო მეტრეველმა მათი ლაპორატორიის ნოვაციური შეთავაზება – „პაროდონტის დიაგნოსტიკის ახალი ტექნოლოგიები“ წარმოადგინა. კონგრესის პირველი დღე პროფ. ზურაბ ჩიჩუას „საინტერესო კლინიკური შემთხვევების“ გაცნობით დასრულდა.

კონგრესის მეორე დღე, კორპორაცია Dentsply-ის ექიმ-კონსულტანტის, ნათია რუსაძის ლექცია-მასტერებასით გაიხსნა. მოხსენებებით წარსდგნენ ასოც. პროფესორი მანანა კალანდაძე და პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი ლექციებით: „საინტერესო შეკითხვები ბავშვთა თერაპიულ სტომატოლოგიაში“ და „Pro-Argin ტექნოლოგიით დამზადებული ჰიპერმერნობელობის სამკურნალო პროფესიული ხაზი – Colgate Sensitive Pro-Relief“. პროფესორ რუსუდან ქარსელაძის მოხსენება „ალერგია – გლობალური პრობლემა (მედიკამენტური ალერგიის შემთხვევები სტომატოლოგიაში)“ და მ.დ. მანანა სოსიაშვილის მასტერ-კლასი ალერგიულ სინჯებზე ყველაზე სადისკუსიო თემები აღმოჩნდა. მოხსენებით „ბავშვთა ფსიქოლოგია, ექიმის და პაციენტის ურთიერთობის ფსიქოლოგია“ – წარსდგა NLP-ს საერთაშორისო ოსტატი, გეშტარდ თერაპევტი, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ერიქსონის ჰიპნოზის სერტიფიცირებული სპეციალისტი მარინა გოქსაძე.



„ექიმის შეცდომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობებზე“ კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ქალბატონმა ნუნუ კვანტალიანმა ისაუბრა.

სტუდენტურ სექციაში გამარჯვებულები ნინო ცინცაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ანა ბოკუჩავა (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი) და გვანცა ტაბაღუა (სტ. კლინიკა „ცედექსი“) კომპანია „ალფა-დენტმა“ დააჯილდოვა.

კონგრესის მიმდინარეობისას გაიმართა სტომატოლოგიური მასალების, ტექნიკის და ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციის გამოფენა.



საერთაშორისო კონგრესი თურქეთში

2011 წლის 25-28 მაისს ქ. სტამბოლში (თურქეთი) მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის (FDI) უწყვეტი პროფესიული განვითარების ეგიდით საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა, რომელსაც 3 000-მდე მონაწილე ესწრებოდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ამ კონგრესზე მიწვეულ სპიკერთა შორის იყო ქართველი სტომატილოგი, ტაფტის უნივერსიტეტის (აშშ) ლეროვანი უჯრედებისა და ქსოვილოვანი ინჟინერიის დეპარტამენტის მკვლევარი, დოქტორანტი მარიამ მარგველაშვილი. აღსანიშნავია, რომ მოწვეულ სპიკერებს შორის იყო ცნობილი იმპლანტოლოგი ქ. ტორონტოდან (კანადა) პროფ. გ. ზარბი (მის მიერ 1985 წელს არის შემოთავაზებული დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებული ძვლის არქიტექტონიკის კლასიფიკაცია).



2012 №14

ამ კონგრესის ყველა სპიკერი აღიარებულ იქნა ამერიკის სტომატოლოგთა ასოციაციის (ADA) გამგეობის მიერ. ქართველი დოქტორანტის მოხსენებამ, რომელიც სტომატოლოგიაში ღეროვანი უჯრედების გამოყენების პერსპექტივას შეეხებოდა, დიდი მოწონება დაიმსახურა, მან ოთხი მოწვევა მიიღო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის ამავე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 2012 წლის მაისში მიწვეულ იქნა ქ. ანკარაში (თურქეთი).



სამუშაო ვიზიტი ქ. ზენევაში

2011 წლის მაისში, ქ. ზენევაში (შვეიცარია) ორდლიანი სამუშაო ვიზიტით მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის (FDI) პრეზიდენტი დრ. რობერტო ვიანა, ალმასრულებელი დირექტორი უან ლუკ ეიზელი, კომიტეტების თავმჯდომარები და საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ, მათ შორის პროფ. ვ. მარგველაშვილი. შეხვედრის მიზანი 2012-2016 ნებებში მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის სამუშაო გეგმის და პოლიტიკის შემუშავება გახლდათ.



საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის VII საერთაშორისო კონგრესი

2011 წლის 8-9 ივნისს ქ. ბათუმში, სასტუმროში „ინტურისტ პალასი“ საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის VII საერთაშორისო კონგრესი გაიმართა. კონგრესს 300-ზე მეტი სტომატოლოგი ესწრებოდა, როგორც საქართველოს რეგიონებიდან, ისე უცხოეთიდან.



კონგრესზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი გიორგი მენაბდე, კონგრესის აღმასრულებელი დირექტორი პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი და მოწვეული სტუმრები.



კონგრესზე სამეცნიერო მუშაობა სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. ყბა-სახის ქირურგთა და იმპლანტოლოგთა სექციაზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ქართველმა და უცხოელმა კოლეგებმა: დავიდ კეინანმა, მოპამედ ზაპალკამ, გიორგი მენაბდემ, იაროსლავ ზაბლოცკიმ, იულია ჩუმაკოვამ, ჰერმან შნორბახმა, ლევა პრიტულამ და ჯაბარ ჰასანოვამა.

მეორე სექციაზე დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა მოესმინა ისეთი საინტერესო საკითხები,





როგორიცაა ენდოდონტიურ პრაქტიკაში როტაციული ინსტრუმენტებით მუშაობის თანამედროვე ტექნიკა (მომხს. მურატ სავური), ნანოშემავსებლებით ოპტი-მიზებული პლასტიკური კერამიკა (მომხს. ვიქტორ დაუბი), რესტავრაციები სტომატოლოგიაში ბოლო თაობის კომპოზიტებით (მომხს. ელენა მენდოზა), თანამედროვე კონცეფციები ენდოდონტიაში (მომხს. ჯონან კალიფი), ადამიანის დეროვანი უჯრედები და სტომატოლოგის მომავალი (მომხს. მარიამ მარგველაშვილი), მედიკამენტური ალერგიის მართვის თანა-მედროვე პრინციპები (მომხს. რუსულან ქარსელაძე) და სხვა.

კონგრესის პარალელურად, დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა კომპანია Dentsply-ის მასტერ-კლასი, სადაც თითოეულ მონაწილეს ნიკელ-ტიტანის ინსტრუმენტების PathFile და ProTaper-ების დახმარებით ენდობლოკებზე, ენდომოტორის გამოყენებით არხის დამუშავების საშუალება მიეცათ. მასტერ-კლასის მონაწილეებს გადაეცათ Dentsply-ის სერტიფიკატი და ენდოდონტიური ანანური.

კონგრესის ფარგლებში კომპანიებმა „ელკამედი“, „ეს-თი-ეს-ჯი“, „დენტალ-მასტერ ჯი“, „ალფა-დენტი“, „პლანმეკა“, „ალფა-გეიტი“, „ჯი-პი-სი“, „ეურომედექს ფრანსი“ სტომატოლოგიური მასალებისა და დანადგარების გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა.

კონგრესის გენერალური სპონსორი იყო კომპანია „ქოლგეით-პალმოლიფი“, ოქროს სპონსორი კომპანია „გლაქსო სმიტკლაინი“.

მხარდაჭერები:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს სტომატოლოგთა და უბა-სახის ქირურგთა ასოციაცია
- საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პირის ღრუს ქირურგთა და იმპლანტოლოგთა საზოგადოება
- საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაცია
- ახალგაზრდა სტომატოლოგთა საზოგადოება
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „RADIX“-ი



მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის კონგრესი

2011 წლის 14-17 სექტემბერს ქ. მეხიურში ჩატარდა მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის 99-ე კონგრესი, რომელშიც ტრადიციულად მონაწილეობა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის დელეგაციამაც მიიღო. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასოციაციის გენერალური მდივანი ვ. მარგველაშვილი, მედიცინის დოქტორი გ. ქოჩიაშვილი, მედიცინის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი მ. კალანდაძე და ნ. გეგეჭვიორი. კონგრესზე 120-მდე მსოფლიოში აღიარებულმა სპიკერმა წარადგინა თა-



ნამედროვე სტომატოლოგის უახლოესი მიღწევები. გარდა სამეცნიერო სიახლეებისა, კონგრესის გენერალურ ასაბლეაზე მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები იქნა განხილული, რომლებმაც ასახვა ჰპოვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში (პოლიტიკური გადაწყვეტილებები წარმოდგენილი იქნება GSA news-ის მე-15 ნომერში). უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციაში 3 ახალი სახელმწიფო: ეგვიპტე, ლაოსი და ვანუატუ განევრიანდა და წევრების ჯამურმა რიცხვმა 141-ს მიაღწია. პროფ. მარგველაშვილის თავმჯდომარეობით კომუნიკაციების კომიტეტის სხდომა და ეროვნული მეკავშირე ოფიცირების ფორმუმი ჩატარდა. კონგრესის სამეცნიერო პროგრამის პარალელურად გაიმართა გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიოს სტომატოლოგიური ინდუსტრიის 1000-მდე კომპანიამ მიიღო, წარმოდგენილი იყო თანამედროვე სტომატოლოგიური მასალები და ტექნოლოგიები. დატვირთული და საინტერესო გახლდათ სოციალური პროგრამაც – უნდა აღინიშნოს მეხიურს ცნობილი, მზისა და მთვარის პირამიდები, ცნობილი მხატვრის ფრიდა კალოს სახლ-მუზეუმი და მექსიკის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი.



დენტალ-თაილისობა 2011

2011 წლის 14 ოქტომბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ FDI – მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის ეგიდით, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია „დენტალ-თაილისობა 2011“ ჩატარდა, რომელსაც ექიმი-სტომატოლოგები, რეზიდენტები და უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენ.

კონგრესზე წარმოდგენილი იყო საინტერესო საკითხები: „პაროდონტიტი – ინფექცია პირის ღრუში, დაავადების ნინამონიტორული ფაქტორები“, „ნანი-



ლობრივი მოსახსნელი პროთეზის საფუძვლები – სტრესის მოხსნა“, „ყბების აპიკალური ბაზისის სიგრძე – დისტალური ოკლუზის კორექციის ორთოდონტული გასაღები“, „ბრუქსიზმი – დიაგნოსტიკა, სიმპტომები და მკურნალობის მეთოდები“ და „ბიოაქტიური იმპლანტების გამოყენება დახურული სინუს ლიფტინგების დროს“.

კონფერენციის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატი.

15 ოქტომბერს კონფერენციის ფარგლებში საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო, საქველმოქმედო აქცია დენტა-



ლურ იმპლანტოლოგიაში „უებილო ქვედა ყბის იმპლანტაცია და მოუხსნელი დროებითი პროთეზების დამზადება ერთ დღეში“. აქციაში ქართველ იმპლანტოლოგებთან ერთად მონაწილეობას უკრაინელი, თურქი, ბულგარელი და გერმანელი იმპლანტოლოგები იღებდნენ.

აქციის მასპინძელი კლინიკები იყო: ვ. მარგველაშვილის სტომატოლოგიური კლინიკა, „დენტექსი 95, „ცედექსი“, ესთეტიკური სტომატოლოგიის ცენტრი „ელიტი“, „როიალ-დენტი“, „დენტო კლუბი“, „კლინიკა მედი“, „დენსი“, „ევროდენტი“, „V.P“ სტომატოლოგიური კლინიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტში უკრაინის იმპლანტოლოგთა ასოციაციის მიწვევით ქ. დნეპროპეტროვსკში (უკრაინა) პროფ. ვ. მარგველაშვილი და მედიცინის დოქტორი ზ. ციკოლია იმყოფებოდნენ. დნეპროპეტროვსკში საერთაშორისო აქციის ფარგლებში საქველმოქმედო აქცია ჩატარდა „გავაუმჯობესოთ ჩვენი მშობლების ცხოვრების პირობები“. აქციის ფარგლებში უფასო იმპლანტაცია გაუკეთდა 80 პაციენტს. ჩაინერგა 320 იმპლანტი და იმავე დღეს დამზადდა დროებითი მოუხსნელი პროთეზი ყველა პაციენტისთვის. აქციის დასრულების შემდგომ ქართველ სტომატოლოგებს უკრაინის იმპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა პროფ. ი. ზაბლოცკიმ საერთაშორისო საქველმოქმედო აქციის ესტაფეთა გადასცა, დაიგეგმა აქციის ჩატარება საქართველოში, რომელიც სწორედ 15 ოქტომბერს წარმატებით განხორციელდა ქ. თბილისში.



STA – Single Tooth Anaesthesia System

პრეზენტაცია

2011 წლის 1 ნოემბერს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარდა უახლესი კომპიუტერული, უმტკივნეულო ანესთეზის აპარატის STA (Single Tooth Anaesthesia System) პრეზენტაცია, რომელსაც ექიმი-სტომატოლოგები და რეზიდენტები ესწრებოდნენ.

პრეზენტაცია ჩატარა ამერიკული კომპანია Milestone Scientific-ის წარმომადგენელმა Dale Johnson-მა.

აღნიშნული პრეზენტაციის ორგანიზატორი იყო კომპანია „დენტალ-ჯორჯია“, მხარდამჭერი საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია.



OSSTEM-ის პირველი ევროპული კონგრესი

2011 წლის 4-5 ნოემბერს პოლონეთის ქ. კრაკოვში მსოფლიოში სახელგანთქმული იმპლანტოლოგიური ფირმა OSSTEM-ის პირველი ევროპული კონგრესი ჩატარდა, რომელსაც ევროპის 35 ქვეყნის 350-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. ასოციაციის გენერალური მდივანი პროფ. ვლადიმერ მარგველაშვილი



კონგრესის მოდერატორად იყო მიწვეული. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენი თანამემამულე ესოდენ წარმომადგენლობით კონგრესს მართავდა. კონგრესზე წარმოდგენილი იყო პრინციპულად ახალი ტექნოლოგია ლია სინუს ლიფტინგის შესასრულებლად. აღნიშნული მეთოდით ლია ეთერში ჩატარდა ორი ოპერაცია (მასტერ-კლასი) მსოფლიოში სახელგანთქმული კორეელი იმპლანტოლოგის დრ. იონგ-სერკის მიერ.



საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ლეპიდა-სემინარი თელავში

2011 წლის 12 ნოემბერს ქ. თელავში საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ლექცია-სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ ექიმი-სტომატოლოგები კახეთის რეგიონიდან. ლექცია-სემინარი გახსნა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის კახეთის რეგიონის ხელმძღვანელმა გვანცა ქურ-



ციკაშვილმა. ლექციებს ესწრებოდნენ საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის აჭარის, სამეცნიერებლოს, იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონის ხელმძღვანელები. ლექცია-სემინარზე ასოციაციის გამგეობის წევრებმა საინტერესო საკითხებზე ისაუბრეს, მათ შორის: „ენდოდონტიური მკურნალობის თანამედროვე მეთოდები“ (მომხსენებელი: საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მმდ. ქეთევან გოგილაშვილი); „ახალი საგანმანათლებლო სტრუქტურის შექმნა სტომატოლოგიაში“ (მომხსენებელი საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი გიორგი მენაბდე). „დენტალური იმპლანტოლოგია – წარსული, აწმყო და მომავალი“ (მომხსენებელი საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი, საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი).



თანამედროვე მედიცინის კლინიკური ასაეჩტები

2011 წლის 10 დეკემბერს, ქალაქ თელავში რადიქსის კახეთის რეგიონული ორგანიზაცია დაფუძნდა, რომლის ხელმძღვანელად ექიმი – სტომატოლოგი თეა გიგაშვილი დაინიშნა.

ორგანიზაციის პრეზენტაციის პარალელურად, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მხარდაჭერით, სამეცნიერო კონფერენცია – თანამედროვე მედიცინის კლინიკური ასპექტები გაიმართა. კონფერენცია ზურაბ ალხანიშვილის მოხსენებით გაიხსნა – „აივ ინფექციის თავისებურებები და შიდსთან ასოცირებული სტიგმა“. კლინიკა „დენტექსი 95“-ის ექიმმა სტომატოლოგმა, ილიას უნივერსიტეტის მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკულევარმა, მარიკა ზურმუხ-

2012 №14

ტაშვილმა „თანამედროვე პაროლისტოლოგის ასპექტებზე: პაროლისტის ეტილოლოგიაზე, დიაგნოსტიკასა და კონსერვაცული მკურნალობის პრინციპებზე“ ისაუბრა. პირველი ბლოკი რადიქსის გენერალური მდივნის, კლინიკა „ცედექსის“ ექიმისტომატოლოგის გვანცა ტაბალუას მოხსენებით დასრულდა – „კბილის გათეთრების მეთოდები და გამოყენებული საშუალებები“.

მოხსენებით წარსდგა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია, კომპანია „ქოლგეით-პალმოლივი“ და კომპანია „ნიკომედი“. ღონისძიების ყველა სტუმარს მათ მიერ დაწესებული სამკურნალო და ჰიგიენური მოვლის საშუალებები გადაეცათ. კლინიკა „ცედექსის“ ინიციატივით, რადიქსის ექიმები თელავის ბავშვთა სახლს ეწვივნენ და საჩუქრად პირის ღრუს ჰიგიენური საშუალებები გადასცეს.

და – „აუტისტური სპექტრის აშლილობა და ქცევის პოზიტიური მართვა“.

კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ: „სტომატოლოგიური კლინიკა „CEDEX“, კომპანია „გლაქსოს-მიტკლაინი“, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია, კომპანია „ქოლგეით-პალმოლივი“ და კომპანია „ნიკომედი“. ღონისძიების ყველა სტუმარს მათ მიერ დაწესებული სამკურნალო და ჰიგიენური მოვლის საშუალებები გადაეცათ. კლინიკა „ცედექსის“ ინიციატივით, რადიქსის ექიმები თელავის ბავშვთა სახლს ეწვივნენ და საჩუქრად პირის ღრუს ჰიგიენური საშუალებები გადასცეს.

2012 Hong Kong FDI Annual World Dental Congress Preliminary programme

FDI World Dental Federation
Leading the world to Optimal Oral Health



29 August - 1 September 2012

Leading the world into a new century of oral health

ადაგიური ბიძისებრი პროთეზები

ტ.ს. დოკომენტი, 6.3. პირსახოვა

(სანკტ-პეტერბურგი)

კბილთა რადიკალური პრეპარირების თავიდან აცილების მცდელობებმა ხიდისებრი კონსტრუქციის მყარი ფიქსაციის დროს, ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზების შექმნამდე მიგვიყვანა. ლიტერატურაში ამ ტერმინის სხვადასხვა სინონიმები გვხვდება: პონტიკი (Pontik) (Bassett J.L 1997), როტჩეტოვის ან მერილენდის ხიდი, მანეტერნის ხიდი, პროთეზი ერთ სეანსში და სხვა.

ადჰეზიური ხიდის დამზადების თანამედროვე ტექნოლოგიის მიხედვით ხდება დანაკლისი კბილის (კბილთა მწკრივის მცირე ზომის დეფექტი) აღდგენა კომპოზიტური საბჟენი მასალის და არმირებული ბოჭკოვანი ლენტის გამოყენებით, კონსტრუქცია მაგრდება მეზობელ კბილებზე. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია მინიმალურ-ინვაზიური მუდმივი, დროებითი ან პირობითად დროებითი ადჰეზიური ხიდისებრი კონსტრუქციების დამზადება.

ტრადიციული ხიდისებრი პროთეზისგან განსხვავებით, ამ მეთოდის გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას საყრდენი კბილების დამზოგველი პრეპარირება წარმოადგენს.

ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის დამზადებისას, კბილის პრეპარირების სიდიდე მხოლოდ 3,36-7.03%-ს შეადგენს (საშუალოდ 5.09%). ჩანართისთვის კბილის ქსოვილის დანაკარგი 12.0-21.57%-ია (საშუალოდ 15.52%), რაც სამჯერ აღემატება ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზისთვის საჭირო პრეპარირების ხარისხს. ჩამოსხმული ან მეტალოკერამიკის გვირგვინისთვის კბილის პრეპარირებისას ქსოვილის დანაკარგი შეადგენს 40.7-48.97% (საშუალოდ 44.27%), რაც 8.7 ჯერ აღემატება ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზისთვის საჭირო პრეპარირების ხარისხს.

ამერიკის სტომატოლოგთა ასოციაციის მონაცემებით, მეტალოკერამიკის გვირგვინებით პროთეზირების შემდგომმა გართულებებმა 55 წლის ზევით, ამერიკელების 50% კბილების სრულ დაკარგვამდე მიიყვანა (R.E.Lombardi). ასე, რომ მეტალოკერამიკის კონსტრუქციების ფართო გამოყენება ერთი კბილის ადენტიის დროს, მითუმეტეს ინტაქტური საყრდენი კბილების შემთხვევაში, მიზანშენონილი არ არის. აქედან გამომდინარე, ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის დამზადების ტექნოლოგიის დახვენის აუცილებლობა ეჭვს აღარ იწვევს.

პროთეზის დამზადებული ადჰეზიური ბიძისებრი პროთეზის დამზადების ჩვენები

1. კბილთა მწკრივის მცირე ზომის დეფექტები (მაქ-სიმუმ 2 ფრონტალური კბილი ან 2 პრემოლარი, ან ერთი დანაკლისი მოლარი), როცა:
 - ერთი ან ორივე საყრდენი კბილი ინტაქტურია
 - საყრდენი კბილების კონვერგენცია 20 გრადუსზე მეტია
 - პაროდონტიტის დროს შინირება 1 ან რამდენიმე კბილის დანაკლისით
2. ესთეტიკური თვალსაზრისით, დანაკლისი კბილის სასწრაფო ჩანაცვლება
3. პაციენტის სურვილი შეინარჩუნოს საყრდები კბილების პულპის სიცოცხლისუნარიანობა, უარი პროთეზირების კლასიკურ მეთოდებზე
4. პირის ლრუში ალერგიული რეაქციის გამოვლენა ლითონზე.

ადჰეზიური ბიძისებრი პროთეზის დამზადების მათოდები

1. პირდაპირი – უშუალოდ პირის ლრუში
2. არაპირდაპირი – ლაბორატორიაში მოდელზე (სურ. 1) ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის ლაბორატორიაში დამზადებას რიგი უპირატესობანი გააჩნია:
 - მნიშვნელოვნად მცირდება პაციენტის ვიზიტის ხანგრძლივობა: I ვიზიტი – საყრდენი კბილების მომზადება; II ვიზიტი – კონსტრუქციის ფიქსაცია
 - ლაბორატორიის ხარჯზე შესაძლებელია ექიმისტომატოლოგის დროის და შრომითი რესურსის დანახარჯის შემცირება
 - გამორიცხულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ლრძილიდან სისხლდენა, ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფა. აღნიშნულმა ფაქტორებმა



სურ. 1. ლაბორატორიაში დამზადებული ხიდისებრი პროთეზის მინაბოჭკვან საფუძველზე

შესაძლოა გავლენა იქონიოს კონსტრუქციის პირის ღრუში დამზადებისას მისი ფიქსაციისა და ადჰეზიის ხარისხზე

- მოდელირების და პოლირების ყველა ეტაპის ვიზუალური კონტროლი, მასალის პოლიმერიზაცია ლაბორატორიაში კონსტრუქციის მაღალ ხარისხს და სიმტკიცეს უზრუნველყოფს.

პირდაპირი მეთოდის უპირატესობას კონსტრუქციის ერთ ვიზიტში დამზადება და არაპირდაპირ მეთოდთან შედარებით მისი ნაკლები ღირებულება წარმოადგენს.

როგორც ინვაზიურ (საყრდენი ფართობის ფორმირებით), ისე არაინვაზიურ მეთოდს თავისი უპირატესობანი გააჩინა. არაინვაზიური მეთოდის მთავარი უპრატესობა არის ის, რომ არ საჭიროებს გაუტკივარებას და პროთეზირების შედეგით უკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია კბილის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ინტრაკორონალური ტექნოლოგიის შემთხვევაში ადგილი აქვს საყრდენი კბილების გვირგვინთა ბუნებრივი რელიეფის შენარჩუნებას. მისი გამოყენება შესაძლებელია ღრმა კარიესის შემთხვევაშიც – გაკეთებული კონსტრუქცია ხელს არ უშლის ენდოდონტიური მკურნალობის ჩატარებას (აუცილებლობის შემთხვევაში). გარდა ამისა, ხიდების დამზადების ინვაზიური ტექნოლოგიის გამოყენება ლოგიკურია საყრდენ კბილებზე I, II და III კლასის კარიესული დეფექტების არსებობის დროს.

EVERSTICK C&B გამოყენების ჩვენებაში

- ზედაპირულად-დასაფიქსირებელი ხიდისებრი პროთეზები
- ჩანართებზე დამაგრებული ხიდისებრი პროთეზები
- გვირგვინებზე დამაგრებული ხიდისებრი პროთეზები
- ჰიბრიდული ხიდისებრი პროთეზები
- დროებითი ხიდისებრი პროთეზები
- დროებითი ხიდისებრი პროთეზები ორეტაპიანი იმპლანტაციის დროს

EVERSTICK C&B-ის საფუძველზე დამზადებული პრესტრუქციის უაირაფესობანი

- მინიმალური ინვაზიურობა
- სიმტკიცე, რომელიც მეტალოკერამიკის კონსტრუქციის სიმტკიცეს არ ჩამოუვარდება
- კბილის ქსოვილებთან და კომპოზიტურ მასა-ლებთან კარგი ადჰეზია

- ერთ ვიზიტში დამზადების შესაძლებლობა
- შექცევადობა, მკურნალობის სხვა მეთოდების არჩევის შესაძლებლობა
- უკვე შესრულებული რესტავრაციის შეკეთების და მოდიფიკაციის შესაძლებლობა
- უმეტალო კონსტრუქციის პიპოალერგიულობა და მაღალი ესთეტიკური მაჩვენებლები
- ფინანსური მოგება როგორც პაციენტისათვის, ისე ექიმისთვის.


პრესტრუქციის სიმტკიცე

ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის ფუნქციური სრულფასოვნებისა და გამძლეობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მაარმირებელი მასალის სიმტკიცე. დღეს-დღეობით, გავრცელებულია მინაბოჭკოვანი ზონრები, რომელთა სიმტკიცე უბრალო ლითონთა შენადნობების სიმტკიცეს არ ჩამოუვარდება (1000 მპა). ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, ყველაზე უფრო მტკიცე (1500 მპა-მდე) კომპოზიტური ფისით ქარხნული წესით შევსებული მინაბოჭკოვანი მასალაა. მის სიმტკიცეს პოლიმერიზაციის შემდეგ სრული ერთგვაროვნება და კომპოზიტთან ქიმიური კავშირი განაპირობებს.

everStick C&B – ეს არის ერთმიმართულებიანი მინაბოჭკოვანი ლერძი (ხარიხა), რომლის ეფექტური დიამეტრი 1,5 მმ-ია. მისი ერთი ლერძი შეიცავს 4000 ცალკეულ მინაბოჭკოს, სიმტკიცეა 1280 მპა. everStick C&B უფრო მტკიცეა, ვიდრე მეტალოკერამიკისა და სხვა მაარმირებელი მასალისგან დამზადებული კონსტრუქციები (Scott R Dyer 2005).

Scott R Dyer-ის მიერ ჩატარებულმა 3-ერთეულიანი ხიდისებრი კონსტრუქციის სიმტკიცის ტესტებმა აჩვენა, რომ მეტალოკერამიკის კონსტრუქციას გააჩნია 1140 ნ. სიმტკიცე ზღვრული დატვირთვის მიმართ, ხოლო everStick C&B-ის საფუძველობზე დამზადებულ ანალოგიურ კონსტრუქციას – 1280 ნ. ამასთანავე, everStick C&B-გან დამზადებულმა კონსტრუქციამ საყრდენი კბილების გვირგვინისთვის, დამუშავების გარეშე (ფიქსაცია ჩანართით + ბოჭკოს ზედაპირული ფიქსაცია) აჩვენა შედეგი – 1686 ნ, რაც მეტალოკერამიკის კონსტრუქციის მაჩვენებელს 1,5-ჯერ აღემატება.

კვლევაში მონაწილე სხვა მინაბოჭკოვანი მასალის მაჩვენებლებმა ვერ მიაღწია 1000 ნ-ს (რომელიც დადგენილი იყო, როგორც ზღვარი გვერდითი კბილების მიდამოს პროთეზებისთვის). Targis/Vectris სისტემისგან დამზადებული კონსტრუქციის ზღვარი იყო 9216, Fibre Kor-ის – 5866. Connect – 767. (სურათი 2).



სურ. 2. სხვადასხვა მასალისგან დამზადებული 3-ერთეულიანი პრო- თეზების გამოკვლევა ზღვრულ დატვირთვაზე

9 წლის განმავლობაში Dentrio-ს ლაბორატორიაში (ტამპერე, ფინეთი) ჩატარებულმა გამოკვლევამ Stick-Tech ტექნოლოგით დამზადებული კონსტრუქციის მაღალი სიმტკიცე დაადასტურა. ამ დროის განმავლო- ბაში, ლაბორატორიაში დამზადდა 1627 გვირგვინი, 1105 ხიდისებრი პროთეზი, 1942 ზედაპირული რეტეი- ნერი და ჩანართი, 243 ვინირი. სულ – 4917 კონსტრუ- ქცია, მათ შორის 3704 ერთეული ადჰეზიური ფიქ- საციით. კონსტრუქციის ფრაქტურა და დემონდინგი მხოლოდ 0.6% ში აღინიშნა.

შედარებისთვის, საინტერესოა ლიტერატურის მო- ნაცემები სხვა მასალისგან დამზადებული ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზების სიმტკიცის შესახებ. ს. გრიში- ნის 2006 წლის მონაცემების მიხედვით, Fibrekor-სგან დამზადებული ხიდისებრი პროთეზების შემთხვევაში პირველი 3 წლის განმავლობაში უარყოფითი შემთხვე- ვების რაოდენობა შეადგენდა 1,37%-ს, 5 წლის გან- მავლობაში - 4,40%-ს, 7 წლის განმავლობაში 7,69%-ს და 9 წლის განმავლობაში 15,66%-ს. მთლიანობაში, ადჰეზიური პროთეზების ექსპლუატაციის მანძილზე 7.69%-ში აღინიშნა ცემენტის გამორცხვა, 8.79%-ში კომპიზიტური მოპირკეთების დეფექტები, 6.59%-ში – ფიქსაციის ადგილებში მეორადი კარიესის განვითა- რება, ხოლო 4.95%-ში გინგივიტი. პეტრიკასის მონა- ცემებით (2004წ.). 3-5 წლის შემდეგ 13%ში მეორადი კარიესი გამოვლინდა, ხოლო 20%-ში – გინგივიტის მოვლენები.

პრეკარირება და ადჰეზიური მომზადება

არაპირდაპირი ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზე- ბისთვის საყრდები მოედნების მომზადება ხდება კბი- ლის ჩანართისთვის გამოყენებული პრეპარირების წესების მიხედვით (inlay, onlay) და დამოკიდებულია საყრდენი კბილების დაზიანების ხარისხზე.

ღრუს პრეპარირების პრინციპები კბილის ჩანარ- თისთვის (ვ.ა. ანდრეევა და თანაავტორები, 2007წ.):

1. ღრუს ეძლევა ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნ- ველოყოფს ღრუში ჩანართის დაუბრკოლებლად შეტანას და გამოტანას.
2. რეციდივული კარიესის თავიდან აცილების მიზ- ნით, საჭიროა კარიესული ქსოვილის სრულყო-

ფილად მოცილება და ღრუს პროფილაქტიკური გაფართოება.

3. ღრუს ფსკერი და კედლები უნდა იყოს გამძლე ღეჭვითი დატვირთვის მიმართ
4. რთული ღრუს ფორმირებისას, როცა პრეპარი- რებას საჭიროებს კბილის რამდენიმე ზედაპირი, საჭიროა რეტენციული პუნქტების და საფეხურე- ბის შექმნა 1 დან 2,5მმ-მდე
5. ღრუს უნდა გააჩნდეს საკმარისი სიღრმე და ის უნდა აღწევდეს დენტინის სიღრმეში
6. ღრუ უნდა იყოს ასიმეტრიული ან უნდა პერინდეს დამატებითი ჩაღრმავება, რომელიც შეასრულებს ორიენტირის როლს კონსტრუქციის ღრუში შეტა- ნისას.

სხვადასხვა კლასის ღრუს პრეპარირების პრინცი- პები ჩანართებისთვის:

I კლასი – მექანიკური ზემოქმედების მიმართ კბი- ლის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, პრეპარირე- ბისას აუცილებელია ბორცვების და შემაერთებელი ღარების მიდამოში კბილის ქსოვილების დაზოგვა, ღრუს კედლებსა და ფსკერს შორის მახვილი კუთხეე- ბის ფორმირების თავიდან აცილება. ღრუს ფსკერის ფორმირება ხორციელდება კედლების პერპენდიკულა- რულად. დასაშვებია მსუბუქი დაცერება უფრო სქელი კედლის მიმართულებით

II კლასი – ღრუს კედლები პარალელური უნდა იყოს. არარსებული კედლის მიმართულებით ჩანართის გადანაცვლების თავიდან ასაცილებლად, საღეჭ ზე- დაპირზე ახდენენ დამატებითი მოედნის ფორმირებას. ძირითადი და დამატებითი ღრუების შემაერთებელი საზღვრის სიგანე არ უნდა იყოს საღეჭი ზედაპირის სიგანის 1/3-ზე ნაკლები. ორი საკონტაქტო ზედაპი- რის დაზიანების შემთხვევაში ღრუს ფორმირება უ- ცილებელია MOD (მეზო-ოკლუზიურ-დისტალური) ტიპის მიხედვით.

III კლასი – მხოლოდ საკონტაქტო ზედაპირის და- ზიანების და გვერდითი კბილის არარსებობის შემთ- ხვევაში, ღრუს ფორმირება ხდება სამკუთხედის სა- ხით, რომლის ფუძე მიმართულია მინანქარ-ცემენტის საზღვრისკენ, ხოლო წვერო – საჭრელი კიდისკენ. ღრუს ფსკერი უნდა იყოს გამობურცული – კბილის საკონტაქტო ზედაპირის პარალელურად. გვერდი- თი კბილის არსებობის შემთხვევაში, ღრუს ფორმა უახლოვდება კუბს. ჩანართის გადანაცვლების თავი- დან აცილების მიზნით, სასისკენა ზედაპირზე აუცი- ლებელია დამატებითი ღრუს შექმნა.

IV კლასი – თხელი საჭრელი კიდის მქონე კბილებ- ში დამატებითი მოედნის შექმნა სასისკენა ზედაპირზე

მიზანშეწონილია ბრმა ხვრელის მიდამოში. კბილის ერთი კუთხის დაშლის შემთხვევაში სასურველია ღრუსთვის ყუთისებური ფორმის მიცემა და საჭრელი კიდის გასწრივ ღარის ფორმირება. ორი კუთხის დაზიანების დროს აუცილებელია ორი ღრუს ფორმირება და მათი ღარით შეერთება საჭრელი კიდის გასწრივ.


პირდაპირი ადჰეზიური ხიდისებრი კონსტრუქციისთვის საყრდენი კბილების მომზადება ხორციელდება ადჰეზიური ტექნიკის და მინიმალურ-ინვაზიური პრეპარირების თანამედროვე პრინციპების დაცვით. ასეთი მიდგომა გამართლებულია ადჰეზიური სისტემების ეფექტურობით. თანამედროვე ადჰეზიურ სისტემებს ადჰეზიის მაღალი მაჩვენებლები გააჩნია, როგორც მინანქრის, ასევე დენტინის მიმართ, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ინტაქტური მაგარი ქსოვილების პრეპარირება.

გვერდით მიდამოში საყრდენი მოედნები განთავსებული უნდა იყოს პროქსიმალური კონტაქტების პუნქტების არეში. საყრდენი მოედნის ფსკერის ოპტიმალური განთავსება საკონტაქტო პუნქტების ზონაშია. ღრუს სილრმე ისე უნდა განისაზღვროს, რომ ოკლუზიური დატვირთვის ადგილებში, მინაბოჭკოვანი მასალის ქვეშ დარჩეს დაახლოებით 2 მმ სივრცე კომპიზიციური მასალისთვის. თუ საყრდენი მოედნის ფართობი საოკლუზიო ზედაპირის 1/3-ზე ნაკლებია, მინანქრის დაცერების (ფალცი) ფორმირება საჭირო არ არის, ფართო ღრუს შემთხვევაში საღეჭიედაპირზე წვრილდისპერსიული ალმასის ბორით ფორმირდება 2მმ მინანქრის დაცერება.

რაც უფრო დიდია ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის საყრდენი მოედნის ფართობი, მით მეტია პროთეზის საიმედოობა და სიმტკიცე.

საყრდენი მოედნების პრეპარირებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით „უმჯობესია ღრმა და მოკლე, ვიდრე გრძელი და ზედაპირული“. ღრმა ღრუ ზედაპირულთან შედარებით უფრო მტკიცეა, შესაძლებელია ბოჭკოვების ერთმანეთზე მოთავსება დიდი რაოდენობით. (სურათი 3 ა, სურათი 3ბ).

ფართო ღრუ ვინწრო ღრუსთან შედარებით ტორსული დატვირთვის მიმართ მეტ მედგობას უზრუნველყოფს.




სურ. 3. საყრდენ კბილებზე ღრუს პრეპარირების დიზაინი

- ა. ცუდი
- ბ. კარგი ღრმა ღრუ დიდ სიმტკიცეს უზრუნველყოფს
- გ. ცუდი
- დ. კარგი ფართო ღრუ დიდ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ველყოფს (სურათი 3გ, სურათი 3დ). გარდა ამისა, ყველა საყრდენ კბილზე სასურველია პრეპარირების სილრმე დაახლოებით ერთნაირი იყოს. თუ ერთ-ერთ საყრდენ კბილზე კარიესული ქსოვილის ან ძეველი საბუქი მასალის მოცილების გამო ძალან ღრმა ღრუს ფორმირება მოხდა, ეს ღრუ საბუქი მასალით წინასწარ უნდა იქნას აღდგენილი საკონტაქტო პუნქტის დონემდე.

ფრონტალურ არეში საყრდები მოედნების მდებარეობის შეთანასონება უნდა მოხდეს პროქსიმალურ საკონტაქტო პუნქტებთან და საოკლუზიო კონტაქტებთან. მოედანს ეძლევა ღარის ფორმა, კედლების ფსკერში გადასვლის ადგილი უნდა იყოს მომრგვალებული და თავიდან უნდა ავიცილოთ მახვილი კუთხის შექმნა. ღრუს სილრმე ისე უნდა განისაზღვროს, რომ ოკლუზიური დატვირთვის ადგილებში მინაბოჭკოვანი მასალის ზემოთ დარჩეს დაახლოებით 2 მმ სივრცე კომპოზიციური მასალისთვის. სუსტი დატვირთვის ადგილებში საკმარისია მინაბოჭკოვანი მასალის გადაფარვა კომპოზიტის თხელი ფენით. ძლიერი დატვირთვის უბნებში ორალურ ზედაპირზე წვრილდისპერსიული აღმასის ბორით ხდება მინანქრის დაცერების ფორმირება 2მმ-ზე. დაუტვირთავ მიდამოში – მინანქრის ფალცის გაკეთება არ არის აუცილებელი. ვესტიბულურ ზედაპირზე მინანქრის დაცერების ფორმირება ხდება ესთეტიკური მოსაზრებით (სარესტავრაციო სისტემა Estelite-თვის, გამოხატული „ქამელეონის-ეფექტით“, დაცერება საკმარისია 2მმ-ით).

Scott R.Dyer-მა 2005 წელს გამოიკვლია სამ-ერთეულიანი (ზედა ყბის მოლარის დეფექტის ჩათვლით) ხიდისებრი პროთეზის სტატიკურ დატვირთვისადმი მედეგობაზე ღრუს პრეპარირების დიზაინის დაფიქსაციის მეთოდის გავლენა. კვლევამ აჩვენა, რომ Stick Tech ტექნოლოგიით შესრულებული ზედაპირული ფიქსაციით (პრეპარირების გარეშე) და ჩანართებით დამაგრებული ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზი სიმტკიცით არ ჩამოუვარდება კლასიკურ ხიდისებულ პროთეზს და აღემატება ჩანართებით ფიქსირებული ხიდისებრი პროთეზის სიმტკიცეს (სურათი 4).



სურ. 4. everStick C&B-სგან დამზადებული ხიდისებრი პროთეზის შედარებითი სიმტკიცე საყრდენი კბილების სხვადასხვა სახის პრეპარირების დროს

გამოკეულების შედეგები:

- ხიდისებრი პროთეზი გვირვეინებულ საყრდენით 1783 6
- ხიდისებრი პროთეზი საყრდენინდ ჩინართებით 13136
- ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზი ზედაპირული ფიქსაციით (პრეპარირების გარეშე) 17586
- კომპინერბული ხიდისებრი პროთეზი საყრდენად ჩანართებით და ზედაპირული ფიქსაციით 18366

ბოჭკოვანი ღერძის ფორმირება

ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის დაგეგმვისას, ოკლუზია უნდა შეფასდეს საარტიკულაციო (საოკლუზიო) ქაღალდის საშუალებით. ამ გზით მოწმდება, არის თუ არა მასზე მინაბოჭკოვანი მასალისა და კომპოზიტის ფენისთვის საკმარისი ადგილი (უნდა გავითვალისწიოთ 2მმ სისქის კომპოზიტის ფენა საოკლუზიო კონტაქტების მიდამოში).


ფრონტალური მიდამო

საჭრელი კბილის ადენტია. მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კონსტრუქცია ვესტიბულურ-ორალური მიმართულებით დიდ დატვირთვას განიცდის. დაჭიმვის გამო, მოსალოდნელია ბზარის გაჩენა ხელოვნურ და საყრდენ კბილებს შორის, ამიტომ საკონტაქტო პუნქტების მიდამოში ელასტიური დატვირთვის კომპენსაციისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით თხევადი კომპოზიტის გამოყენება. ძირითადი ღერძის განთავსება ხდება ფრონტალურ სიბრტყეში, საჭრელ კიდესთან მაქსიმალურად ახლოს. ცენტრალური საჭრელის აღდგენისას, მიზანშენონილია დამატებითი არმირების ღერძის გამოყენება ვერტიკალურ სიბრტყეში, ის ხელოვნურ კბილს დამატებით საყრდენს შეუქმნის (სურათი 5ა).

ეშვის ადენტია. ძირითადი არმირების ღერძი ამ შემთხვევაში იღუნება სიბრტყეში: საყრდენი და ხელოვნური კბილის მიდამოში გაივლის ფრონტალურად, ხოლო საყრდენი პირველი პრემოლარის არეში – საგიტალურად. ადჰეზიურ კონსტრუქციის აუცილებლად სჭირდება გაძლიერება დამატებითი ვერტიკალური ღერძით, რამეთუ საპროთეზო ეშვი არის კბილთა მწკრივში ძირითადი და განიცდის მნიშვნელოვან დატვირთვას გვერდით ოკლუზიაში. რესტავრაციის დროს, ეშვის მდებარეობა მუდმივად უნდა იქნას შედარებული სიმეტრიულ თანამოსახელე კბილთან, რადგან, როგორც წესი, რესტავრაციის დროს ეშვს გადაანაცვლებენ ორალურად (სურათი 5ბ).

გვერდითი კბილების მიდამო

პირველი პრემოლარის ადენტია. ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზი, რომლითაც ხდება პირველი პრემოლარის შევსება, ყველაზე ხშირად გვხვდება კლინიკურ პრაქტიკაში. აღსადგენი კბილი არ განიცდის დიდ



სურ. 5. ხიდისებრი პროთეზების ბოჭკოვანი საფუძველი

დატვირთვას, მაგრამ არმირების ღერძის კონსტრუქცია მაინც იღუნება ფრონტალურიდან საგიტალურ სიბრტყეში. ამიტომ საყრდენი მოედნები უნდა განლაგდეს აუცილებლად პროქსიმალური საკონტაქტო პუნქტების მიდამოში, მინაბოჭკოვანი ღერძის გაძლიერება კი უნდა მოხდეს თხევადი კომპოზიტის საკმარისი რაოდენობით (სურათი 5გ).

მეორე პრემოლარის ადენტია. კონსტრუქცია მარტივია და შედგება ერთი ღრძილისკენ გადახრილი, პორიზონტალურ სიბრტყეში განლაგებული მინაბოჭკოვანი ღერძისგან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქცია არ განიცდის დიდ დატვირთვას, მისი გაძლიერება დამატებითი ვერტიკალური ღერძითაა შესაძლებელი (სურათი 5გ).

ორი მეზობელი კბილის ადენტია. ორი დანაკლისი კბილის (ორი საჭრელი, საჭრელი და ეშვი, ეშვი და პრემოლარი, ორი პრემოლარი) აღდგენისას კონსტრუქციაში ემატება კიდევ მეორე საყრდენი ღერძი. თუ ძირითადი ღერძი ფიქსირდება ჩანართებით, მაშინ მეორე ფიქსირდება ზედაპირულად, ვესტიბულურ მხარეს. თუ ძირითადი საყრდენი ღერძი განთავსებულია ზედაპირულად ვესტიბულურ მხარეს, მაშინ დამატებითი ღერძი ფიქსირდება ორალურად. ზედაპირული ფიქსაციის შემთხვევაში არ დაუშვათ ძალიან გრძელი ღერძის ფორმირება და რაც შეიძლება, მტკიდროდ მოახდინეთ მინაბოჭკოვანი მასალის კბილის ქსოვილებთან ადაპტაცია სპეციალური ინსტრუმენტის – Refix D (იხ. GSA news № 11 გვ. 20) საშუალებით. ეს საჭიროა იმისათვის, რომ კონსტრუქციამ პაციენტს არ შეუქმნას დისკომფორტი და არ დაარღვიოს რესტავრაციის გარეგნული სახე.

მოლარის ადენტია. მინაბოჭკოვანი ღერძები უნდა განთავსდეს ელასტიკური დატვირთვის კონცენტრაციის ზონების შესაბამისად:

- ძირითადი საყრდენი ღერძი (გასწვრივი) თავსედება საოკლუზიო სიბრტყეში, ღრძილთან სიმრუდის დაცვა აუცილებელია (ღერძი უნდა იყოს ღრძილთან მაქსიმალურად მიახლოებული, ისე, რომ დარჩეს სივრცე თავისუფალი გამორეცხვისა და მინაბოჭკოვანი მასის კომპოზიტის ფენით დაფარვისთვის)
- მეორე საყრდენი მინაბოჭკოვანი ღერძი ფიქსირდება ზედაპირულად ვესტიბულური მხრიდან, უერთდება ძირითად საყრდენ ღერძს მისი ღრძილთან სიმრუდის ექსტრემალურ ადგილას და უზრუნველყოფს ხიდისებრი პროთეზის ვესტიბულურ სიბრტყეში გამაგრებას.
- საყრდენ ღერძებზე ფიქსირდება 1 ან 2 დამარება განივი ღერძი, რომლებიც უზრუნველყოფს

ადჰეზიური კონსტრუქციის სიმტკიცეს ტრანს-ვერსალურ სიბრტყეში.

დამატებითი განვი ღერძები ადჰეზიურ კონსტრუქციას ამაგრებს ტრანსვერსალურ სიბრტყეში. პროფ. Vallittu-სა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გასწრივი და სხვადასხვა მიმართულების მქონე ღერძები არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას სიმტკიცეზე. ბოჭკოების ტრანსვერსალური განლაგება (ძირითადის მიმართ პერპენდიკულარული) კი მნიშვნელოვანდ აძლიერებს კონსტრუქციას (სურათი 5დ).

შუალედური ნაცილის ფორმირება

ჰიგიენური თვალსაზრისით, ხიდისებრი პროთეზების მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუალედური ნაცილის ფორმას და მის დამოკიდებულებას საპროთეზო ველის ქსოვილებთან, ალვეოლური მორჩის ლორნოვან გარს-თან, საყრდენი კბილების ლრძილთან, ტუჩის, ლოყის, ენის ლორნოვანთან. შუალედური ნაცილის ფორმა ფრონტალური და გვერდითი კბილების მიდამოში ერთმანეთისგან განსხვავდება. ფრონტალურ კბილთა რკალში შუალედური ნაცილი ლრძილს უნდა ეხებოდეს ზენოლის გარეშე (შემხები ფორმა), გვერდითი კბილების მიდამოში კი პროთეზის სხეულსა და ლორნოვან გარსს შორის უნდა დარჩეს ცარიელი სივრცე, რომელიც ხელს არ შეუშლის ლეჭვის პროცესში საჭმლის მასების გადაადგილებას (გამოსარეცხი, საირიგაციო სივრცე).

ხიდისებრი პროთეზის შუალედური ნაცილის ფორმებია:

- შემხები – წინა კბილებისთვის
- დაკიდული – მაღალი კლინიკური გვირგვინების შემთხვევაში
- დაკიდული – დაბალი კლინიკური გვირგვინების შემთხვევაში
- უნაგირისებრი

შემხები ფორმის დროს ზონდით მოწმდება ლორნოვან გარსზე ზენოლა. თუ ზონდი ადვილად შედის პროთეზის სხეულის ქვეშ, ე.ი. ლრძილზე არ არის ზენოლა და ამავდროულად, არ არის ხილული ნაპრალი, რომელიც ღიმილის და საუბრის დროს არაესთეტიურად გამოიყერება.

გვერდითი კბილების მიდამოში შუალედური ნაცილის ფორმირება ისე უნდა მოხდეს, რომ დარჩეს საირიგაციო სივრცე და პროთეზის შუალედური ნაცილის ქვეშ არ დაგროვდეს საჭმლის ნარჩენები, რაც ამ უბნის ლორნოვანი გარსის ქრონიკულ ანთებას გამოიწვევს.

სწორედ ამიტომ, ხდება საკმაოდ დიდი საირიგაციო სივრცის დატოვება, განსაკუთრებით ქვედა ყბაზე, ზედა ყბაზე, ესთეტიკური თვალსაზრისით, ქვედა ყბასთან შედარებით, საირიგაციო სივრცე ნაკლებია, ხოლო ეშვისა და ფრონტალური კბილების მიდამოში ის მინიმუმადეა დაყვანილი. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის მიმართ მიღვომა ინდივიდუალურია.

განვი კვეთზე შუალედური ნაცილის ფორმა სამკუთხედს მოგვაგონებს. უნაგირისებურ ფორმასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ადრე უნაგირისებურ შუალედს იყენებდნენ მხოლოდ მოსახსნელ ხიდისებრ პროთეზებში იმის გამო, რომ არსებობდა ლორნოვან გარსზე ზენოლის საშიშროება. უკანასკნელ წლებში კი, მაღალესთეტიკური მეტალოკერამიკის კონსტრუქციების დანერგვასთან ერთად, ამ მეთოდის მომხრეებიც გამოჩნდნენ.

რეკომენდაციები შუალედური ნაცილის ფორმირებასთვის

გამოსარეცხი სივრცის ფორმირებისთვის საურველია პლასტიკური ქუდაკის ტიპის მატრიცების გამოყენება (სურათი 6). უნივერსალური თხევადი კომპოზიტი Estelite Flow Quick ნენევის ქვეშ შეყვავთ ქუდაკში. ამ გზით გარანტირებულია შესაბამისი ფორმის შუალედური ნაცილის ფორმირება (კონსტრუქციის შესუსტების რისკის გარეშე).

მეორე ვარიანტი – ლავსანის ლენტის გამოყენებაა. მისი სიგანე ცოტათი ადემატება კბილთა მნიჭრივის დეფექტის სიგრძეს. ლენტი იღუნება ღარის ფორმის შესაბამისად, თავსდება ლერძის ქვეშ და ფიქსირდება პროქსიმალური კონტაქტების არეში ორი გამჭვირვალე სოლით. სოლი ახდენს ადგილის რეზერვირებას ლრძილის დერილისტვის. ლრძილთან მატრიცის მჭიდრო კონტაქტის მიზნით, ფიქსაციამდე მატრიცას ვესტიბულურ მხარეს მსუბუქად აწვებიან ლრძილისკენ.

არსებობს ასევე შუალედური ნაცილის კოფერდამით ფორმირების ტექნიკა (სურათი 7). თავისიუფალი საირიგაციო



სურ. 6. ქუდაკის ტიპის მატრიცით საირიგაციო სივრცის ფორმირება



სურ. 7. საირიგაციო სივრცის ფორმირება კოფერდამით

სივრცის ფორმირებისთვის, ს. გრიშნი გვირჩევს ღრძილის საიზოლაციო კომპოზიტური საბური მასალის DenMat (USA) ან პოლივინილსილინესანურ საანაბეჭდო მასალის მაკორეგირებელი ფენის გამოყენებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კონსტრუქციის საკონტაქტო პუნქტებს, სადაც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი (სტრესული) დატვირთვა. აღნიშნულ უბნებში კომპოზიტური მასალის სისქე არ უნდა იყოს 1,5-2მმ-ზე ნაკლები.

სიდისებრი პროთეზის გიომეტრია

ხიდისებრი პროთეზის სხეულზე მოქმედი დატვირთვის გადანაწილების ხასიათი და სიდიდე, პირველ რიგში, დამოკიდებულია დატვირთვის ადგილა და მიმართულებაზე, ასევე ხიდისებრი პროთეზის სიგრძესა და სიგანეზე. ცხადია, რომ ადამიანის ცოცხალი ორგანოების და ქსოვილებისთვის მექანიკის კანონები არ არის აბსოლუტური. თუმცა კლინიცისტისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საყრდენი კბილების ფუნქციურ გადატვირთვაზე პაროდონტის ქსოვილების საპასუხო რეაქცია, არამედ ასევე დატვირთვის გადანაწილების გზების ცოდნა, როგორც ხიდისებურ პროთეზში, ასევე საყრდენი კბილების პაროდონტში.

თუ ფუნქციური დატვირთვა მოდის ხიდისებრი პროთეზის შუალედური ნაწილის ცენტრში, მაშინ მთლიანად კონსტრუქცია და პაროდონტის ქსოვილები იტვირთება თანაბრად და იმყოფება ყველაზე მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში. მაგრამ ღეჭვის პროცესში ასეთი პირობები ძალიან იშვიათად იქმნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შუალედური ნაწილის სიგრძის გაზრდისას პროთეზის სხეული შეიძლება ჩაიღუნოს და გამოიწვიოს საყრდენი კბილების დამატებითი ფუნქციური გადატვირთვა კბილების შემხვედრი ან კონვერგირებადი გადახრის გამო.

საყრდენი კბილების პაროდონტის ქსოვილებში შესაძლო ცვლილებების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, რომ პროთეზის შუალედურ ნაწილს გააჩნდეს

საკმარისი სისქე და არ აჭარბებდეს დასაშვებ სიგრძეს. ერთ-ერთ საყრდენ კბილზე ზედმეტი დატვირთვისას ხდება ორივე საყრდენი კბილის გადანაცვლება. ამ გადანაცვლების ცენტრია საპირისპირო, ნაკლებ დატვირთული საყრდენი კბილი. ამით აიხსნება საყრდენი კბილების დივერგენციის ტენდენცია.

ქვედა ყბის გვერდითი მოძრაობისას, ვერტიკალური დატვირთვა საღეჭი ზედაპირის ბორცვების საშუალებით ტრანსფორმირდება ჰორიზონტალურად. ეს იწვევს საყრდენი კბილების გვერდით გადანაცვლებას. საბოლოო ჯამში, ხიდისებრი პროთეზი მოძრაობს სიგრძივი ღერძის გარშემო.

სიდისებრი პროთეზის კონსტრუირების

ძირითადი პრიცეპიაზი:

1. ხიდისებრი პროთეზის საყრდენი ელემენტები და მისი შუალედური ნაწილი ერთ ხაზზე უნდა მდებარეობდეს. ღერძიდან გადახრა, შუალედური ნაწილის გამრუდება იწვევს ვერტიკალური და ჰორიზონტალური დატვირთვის ტრანსფორმაციას. შუალედური ნაწილის სიმრუდის შემცირება ხელს შეუწყობს ტრანსფორმირებული ღეჭვითი დატვირთვის როტაციული მოქმედების შემცირებას.
2. პროთეზირებისთვის იდეალური საშუალო სიმაღლე კლინიკური გვირგვინის მქონე კბილებია. მაღალი კლინიკური გვირგვინების შემთხვევაში დეკომპენსაციის სტადიაში ტრაგმული ოკლუზის ჩამოყალიბების საფრთხე მნიშვნელოვნად იზრდება. დაბალი კლინიკური გვირგვინების შემთხვევაში კი – ხიდისებრი პროთეზის კონსტრუირება გაძნელებულია.
3. ხიდისებრი პროთეზის შუალედური ნაწილის სიგანე ნაკლები უნდა იყოს დანაკლისი კბილების საღეჭი ზედაპირების სიგანეზე. ნებისმიერი ხიდისებრი პროთეზი საყრდენი კბილების პაროდონტის ქსოვილების სარეზერვო პოტენციალის ხარჯზე ფუნქციონირებს, ამიტომ შუალედური ნაწილის ფართობის შევიწროება საყრდენ კბილებზე დატვირთვას შეამცირებს. ხიდისებრი პროთეზის კონსტრუქციის დაგეგმვისას, მიზანშენილია ანტაგონისტი კბილების და მათი სახეობის (ხელოვნური, ბუნებრივი) გათვალისწინება. თუ დატვირთვა ანტაგონისტებს დაკარგვის გამო ერთ-ერთ საყრდენთან კონცენტრირდება, მაშინ ამ ადგილას შუალედური ნაწილი შეიძლება გაკეთდეს უფრო ვიწრო. საღეჭი ზედაპირის გაზრდა ხელს უწყობს საყრდენი კბილების გადატვირთვას. ამის

- მიზეზი დატვირთვის მიმღები ზედაპირის საერთო ფართობის გაზრდა და, ასევე, პროთეზის კიდეზე მოქმედი როტაციული ძალების წარმოქმნაა.
4. აუცილებელია ხიდისებრი პროთეზის საყრდენ ელემენტებისა და მეზობელ ბუნებრივ კბილს შორის საკონტაქტო პუნქტების აღდევნა. ეს ხელს უწყობს კბილთა მწკრივის უწყვეტობის შენარჩუნებას და ღეჭვითი დატვირთვის, განსაკუთრებით მისი პორიზონტალური კომპონენტის თანაბარ გადანაწილებას, რაც თავის მხრივ, საყრდენი კბილების მდგრადობას განაპირობებს და მათ მეზიალურ გადახრას თავიდან აგვაცილებს.
 5. ხიდისებრი პროთეზის საოკლუზიო ზედაპირის მოდელირებისას, დეფექტის არეში, უნდა მოხდეს სწორი ოკლუზიური შეთანასოვნების აღდევნა პაციენტის ფუნქციური ოკლუზის შესაბამისად.

ხიდისებრი პროთეზის შემთხვევაში ურთიერთობის მიზანი (არაინვაზიური მეთოდი) სურათი 8

აუცილებელი მასალა

- everStick C&B – მინაბოჭკოვანი მასალა დიამეტრით 1,5მმ, კონაში 4000 ფალკეულ ბოჭკოთი.
- ადჰეზიური სისტემა – ფირმა Tokyama Dental-ის ადჰეზიური სისტემებიდან ამ შემთხვევაში უმჯობესია Bond Force.

- მაღალი დენადობის მქონე კომპოზიტი, საყრდენ კბილებზე ბოჭკოს ადაპტაციისთვის – მაღალი დენადობის Estelite Flow Quick High Flow, ან საშუალო დენადობის- Estelite Flow Quick.
- ხიდის საირიგაციო სივრცის ფორმირებისთვის – მაღალი დენადობის კომპოზიტი Estelite Flow Quick.
- კომპოზიტი ხიდის გვირგვინოვანი ნაწილის მოდელირებისთვის – პასტისებური კონსისტენციის Estelite Sigma Quick ან საშუალო დენადობის კომპოზიტი Estelite Flow Quick. მასალის ფერის დადგენა VITA შეალის მიხედვით. საორიენტაციოდ გამოიყენება მეორე მხარის სიმეტრიული კბილები. კბილის სხეულის აღსაღენად გამოიყენება ოპალესცენტური ფერები, საჭრელი კიდის შესაქმნელად – მინანქრის ფერები. ფერთა შერჩევის სქემა IV კლასის ღრუს რესტავრაციის სქემის ანალოგიურია (იხ. GSA news, №12, გვ.32).

რესტავრაციის დაგეგმვა. ხდება ოკლუზიური შეთანასოვნების შემოწმება და მინაბოჭკოვანი ღერძის მდებარეობის დაგეგმვა. ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის სტაბილურობისთვის საჭიროა, რომ მინაბოჭკოვანი ღერძი ფარავდეს საყრდენი კბილების 2/3-ს და მოთავსებული იყოს საჭრელ კიდესთან მაქსიმალურად



სურ. 8. ფრონტალურ არეში ხიდისებრი პროთეზის შექმნის ეტაპები

ახლოს. შუალედური ნაწილის მიდამოში ღერძს უნდა ჰქონდეს კბილთა მწკრივის ანალოგიური სიმრუდე, ისე რომ ბოჭკოვანი მასალა ხელოვნური კბილის ზუსტად შუაში მოხვდეს.

კბილის ზედაპირის განმენდა პემზით ან არაფრორიებული პასტით, ჩამორეცხვა წყლით, გაშრობა ჰაერით. პრეპარირება არ ხდება. გამონაკლისს წარმოადგენს საყრდენ კბილებში II, III, IV კლასის ღრუთა არსებობა. ასეთ შემთხვევაში ღრუ მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით (იხ. “პრეპარირება და ადჰეზიური მომზადება”).

საოპერაციო ველის იზოლაცია. საოპერაციო ველის სრული იზოლაციისთვის აუცილებელ პირობას კოფერდამის სისტემის გამოყენება წარმოადგენს. თუ კოფერდამის გამოყენება შეუძლებელია, სასურველია სექციური მატრიცის ან ღრძილის პლასტიკური საიზოლაციო საშუალებების გამოყენება.

მინაბოჭკოვანი სიგრძის განსაზღვრა. ფლოსის, კორდის ან ბრტყელი ფოლგის საშუალებით იზომება მინაბოჭკოვანი მასალის საჭირო რაოდენობა. გაზომვისას გათვალისწინებული უნდა იქნას კბილთა კონტურები და შუალედური ნაწილის არეში კონსტრუქციის ვესტიბულური სიმრუდე. საჭირო სიგრძის მინაბოჭკოვანი მასალა იზომება და იჭრება სილიკონის დამცავ ბუდესთან ერთად. უნდა მოვერიდოთ მასალის დროზე ადრე ამოღებას. მოჭრილი ფრაგმენტი უნდა დავიცათ სამუშაო ნათურის სინათლისგან.

ზედაპირის ადჰეზიური დამუშავება. არაპრეპარირებულ მინანაქარზე IV და V თაობის ადჰეზიური სისტემებით მუშაობისას, სასურველია მუავური კონდიცირება 45-60 წამის განმავლობაში. თვითგრავირებადი ადჰეზივების შემთხვევაში დასაშვებია წინასარი მუავური დამუშავება 10-15 წმ (არაუმტეს 20 წმ). უფრო მეტი დროით მუავის დაყოვნებამ შესაძლოა ადჰეზიის მაჩვენებლების შემცირება გამოიწვიოს. ადჰეზიური მომზადების დანარჩენი ეტაპები სრულდენა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით. ხდება ადჰეზივის ფოტოპოლიმერიზაცია.

Tokyama dental-ის ადჰეზივის Bond Force გამოყენებისას წინასარი მუავური დამუშავება აუცილებელი არ არის. უნდა მოხდეს ადჰეზივის აქტიური აპლიკაცია 20 წმ-ის განმავლობაში არაპრეპარირებულ მინანქარზე, ჰაერით გაშრობა 10 წმ და პოლიმერიზაცია 10 წმ.

სიდისებრი პროთეზის აგება

წაბიჯი 1. ადჰეზივით დამუშავებულ ზედაპირზე თავსდება მაღალი დენადობის კომპოზიტის თხელი

ფენა (0,5 მმ), არ ტარდება კომპოზიტის პოლიმერიზაცია!

წაბიჯი 2. ხდება მინაბოჭკოვანი მასალის ადაპტაცია კბილის ზედაპირთან და წინასწარი პოლიმერიზაცია. წინასწარი პოლიმერიზაციის დრო ჰალოგენური ნათურისთვის 5 წმ-ია, LED ნათურისთვის – 2 წმ. გამოყენება ინსტრუმენტები – Stick Stepper და Refix D (იხ. GSA news №11 გვ. 20). Stick Stepper იცავს მინაბოჭკოვან მასალას დროზე ადრე პოლიმერიზაციისგან, Refix D – საშუალებას იძლევა მინაბოჭკოვანი მასალა მჭიდროდ ადაპტირდეს კბილის ზედაპირზე და მასალის წინასწარი პოლიმერიზაცია მოხდეს გამჭვირვალე სილიკონის გავლით. ამ ინსტრუმენტით მუშაობისას შესაძლებელია ბოჭკოვანი მასალის გადაადგილება, ამიტომ მუდმივად უნდა ხდებოდეს მისი მდებარეობის კონტროლი. სილიკონის ქვეშ პოლიმერიზაციისას დასხივების დრო ორმაგდება.

საყრდენ კბილებზე ბოჭკოვანი მასალა მაქსიმალურად დიდი უბანზე თავსდება, რაც ზრდის ადჰეზიის ფართობს და კონსტრუქციის სიმყარეს. შუალედურ ნაწილში ღერძი ქმნის ვესტიბულურ სიმრუდეს, რომელიც იმეორებს კბილთა მწკრივის კონტურს. ღერძი უნდა განთავსდეს საჭრელ კიდესთან მაქსიმალურად ახლოს, ღერძსა და ღრძილს შორის უნდა დარჩეს თავისუფალი სივრცე საირიგაციოდ. საჭიროების შემთხვევაში ფიქსირდება განივი ბოჭკოვანი დერძი.

წაბიჯი 3. მინაბოჭკოვანი მასალის ზედაპირი იფარება დენადი კომპიზიტის ფენით. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მინაბოჭკოვანი მასალა მთელ სიგრძეზე იყოს დაფარული კომპოზიტით, განსაკუთრებით საყურადღებოა ინტერპროექსიმალური უბნები, რომელებიც მომატებული ელასტიკური დატენირების ზონებს წარმოადგენს. ბოჭკო და კომპოზიტი პოლიმერიზდება თითოეულ სეგმენტზე 40 წმ-ის განმავლობაში.

წაბიჯი 4. ხიდისებრი პროთეზის შუალედური ნაწილის აგება. საირიგაციო სივრცის მოდელირება ხდება შესაბამისი რეკომენდაციების მიხედვით (იხ. შუალედური ნაწილის ფორმირება). ხიდის დანარჩენი ნაწილის ფორმირება წარმოებს თავისუფალი მიდგომით. კომპოზიტის შეტანა ხდება შრეობრივად, მწარმოებლის რეკომენდაციების მიხედვით.

კომპოზიტის ფენის სისქე საოკლუზიო კონტაქტების არეში უნდა იყოს 1-2 მმ. ეს პირობა კონსტრუქციის სიმყარის მიზნით, მკაცრად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში – კომპოზიტის ატკერია ან კონსტრუქციის ფრაქტურაა მოსალოდნელი. კბილთაშორის შუალედებში საჭიროა დარჩეს თავისუფალი

სივრცე ჰიგიენის დასაცავად. ამ მიზნით რეკომენდებულია კბილთაშორისი სოლების გამოყენება.

ნაბიჯი 5. საბოლოო დამუშავება. ფინირება, პოლირება. ოკლუზიური შეთანასოვნების შემოწმება. უნდა აღინიშნოს, რომ არმირებული კონსტრუქცია საბოლოოდ მყარდება 24 საათის შემდეგ. ეს უკანასკნელი პაციენტს აუცილებლად უნდა მიეთითოს რეკომენდაციებში.

ეიზისეპრი პროთეზის აგება გვერდითი

პბილების მიზანი

(ინვაზიური მათოლი) სურათი 9

აუცილებელი მასალა

- everStick C&B – მინაბოჭკოვანი მასალა დიამეტრით 1,5მმ, კონაში 4000 ცალკეული ბოჭკოთი. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, დაბალი კლინიკური გვირგვინების არსებობისას დამატებითი ლერძის შესაქმნელად მოსახერხებელია

კლინიკური შემთხვევა

საჭრელის დეფექტის ჩანაცვლება ბოჭკოვან-არმირებული პირდაპირი კომპოზიტური ხიდისებრი პროთეზით. პაციენტი ე. 32 წლის. საწყისი მდგრადირება: დანაკლისი კბილი 1.1. აღინიშნება 1.3 2.3 კბილზე რეტენირით დამაგრუბული ადჰეზიური ხიდისებრი პროთეზის დემონტინგი. 1.3 2.1. 2.2 2.3 კბილების აპროქსიმალურ ზედაპირებზე მრავლობითი კარიესული ღრუები. რესტავრაციისას გამოყენებული მასალები: ბოჭკო everStick C7B 4,0 სმ, ადჰეზიური სისტემა Bond Force, Estelite Flow Quick High Flow OPA2, Estelite Flow Quick OA3, Estelite Sigma OA2 da OA3.



1. საწყისი მდგრადირება



2. რეტენირის დემონტინგი. ხედი სასის მხრიდან.



3. რეტენირი მოცილებულია. მაგარი ქსოვილების და ლირნოვანი გარსის მდგრადირება.



4. ღრუები დამუშავებულია, დაფებულია საიზოლაციო სისტემა Optidam (Kerr). ხდება ადჰეზიურის Bond Force აპლიკაცია.



5. ბოჭკოვანი ლერძის ადაპტაცია და პრეპოლიმერიზაცია



6. დამატებითი ლერძის ფიქსაცია



7. გამჭვირვალურ ბოჭკოს შენიდვა Estelite Flow Quick High Flow OPA2



8. საირიგაციო სივრცის ფორმირება ხუფისებური მატრიცა Estelite Flow Quick OA3



9. საირიგაციო სივრცის ფორმირება, ქუდაკის ტიპის მატრიცა Estelite Flow Quick OA3



10. ქუალებური ნაწილის ფორმირება Estelite Sigma OA2 OA3



11. რესტავრაციის საბოლოო სახე



12. რესტავრაციის საბოლოო სახე

everStickPerio-s გამოყენება. ამ მინაბოჭკოვანი მასალის დიამეტრია 1,2 მმ, კონაში 2000 მინაბოჭკოოთი.

- ადჰეზიური სისტემა. ფირმა Tokyama Dental-ის ადჰეზიური სისტემები – BondForce ან One-Up Bond F+.
- მაღალი დენადობის კომპოზიტი ბოჭკოს კბილის ქსოვილებთან ადაპტაციისთვის – მაღალი დენადობის Estelite Flow Quick High Flow, ან საშუალო დენადობის – Estelite Flow Quick.
- ხიდის საირიგაციო სივრცის ფორმირებისთვის – მაღალი დენადობის ოპალესცენტური შეფერილობის კომპოზიტი Estelite Flow Quick.
- კომპოზიტი ხიდის გვირგვინოვანი ნაწილის მოდელირებისთვის – პასტისებური კონსისტენციის Estelite Sigma Quick, Estelite Sigma Quick Posterior ან საშუალო დენადობის კომპოზიტი Estelite Flow Quick. მასალის ფერის დადგენა VITA შეალის მიხედვით. ფერთა შერჩევის სქემა II კლასის ღრუს რესტავრაციის სქემის ანალოგიურია (იხ. GSA news, №12, გვ.30).

რესტავრაციის დაგეგმვა

ხდება ოკლუზიური შეთანასოვნების შემოწმება და მინაბოჭკოს ღერძის მოთავსების დაგეგმვა. ამ ეტაპზე, საოკლუზიო ქაღალდის საშუალებით მოწმ-

დება, ასევე, არის თუ არა საკმარისი თავისუფალი სივრცე მინაბოჭკოს ზემოთ კომპოზიტის ფენისათვის (2 მმ კომპოზიტის ფენაზე გათვლით).

კბილების ზედაპირთა განმენდა პემზით ან არაფრირირებული აპრაზიული პასტით, ჩამორჩეცვა, გაშრობა ჰაერით. **საყრდენი კბილების პრეპარირება:** ძველი საბური მასალის მოცილება, კარიესული ღრუების დამუშავება თანამედროვე ადჰეზიური ტექნიკის მოთხოვნების მიხედვით, შესაბამის სილრმეზე საყრდენი მოედნების პრეპარირება. ძველი საბური მასალის მოცილებისას მკაცრად უნდა შეფასდეს საყრდენ კბილებზე არსებული რესტავრაციები, დაუშვებელია ქიმიური გამყარების კომპოზიტის ბუნის დატოვება.

საყრდენი მოედნების პრეპარირებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით „უმჯობესია ღრმა და მოკლე, ვიდრე გრძელი და ზედაპირული“. საყრდენი მოედნების ფსკერის განლაგების ყველაზე ოპტიმალური ადგილი საკონტაქტო პუნქტების მიდამოა. ეს ზონა საღეჭელო კბილებში კბილის გვირგვინის საოკლუზით და შეა მესამედების საზღვარზე მდებარეობს. ყველა შემთხვევაში პრეპარირების სილრმე ისე უნდა გაითვალის, რომ დარჩეს თავისუფალი სივრცე კომპოზიტის 2 მმ ფენისათვის.

სასურველია ყველა საყრდენ კბილზე პრეპარირების სილრმე თანაბარი იყოს. თუ ერთ-ერთ საყრდენ



სურ. 9. გვერდითი კბილების მიღამში ხიდისებრი პროთეზის შექმნის ეტაპები

კბილზე კარიესული ქსოვილის ან ძველი საბური მასალის მოცილების გამო ძალიან ღრმა ღრუს ფორმირება მოხდა, ეს ღრუ წინასწარ უნდა აღდგეს საბური მასალით საკონტაქტო პუნქტამდე.

საოპერაციო ველის იზოლაცია. აუცილებელი პროცედურა საოპერაციო ველის სრული იზოლაციისათვის კოფერდამის სისტემის გამოყენებაა. თუ კოფერდამის გამოყენება შეუძლებელია, სასურველია სექციური მატრიცის ან ღრძილის პლასტიკური საიზოლაციო საშუალებების გამოყენება.

მინაბოჭკოს სიგრძის განსაზღვრა. ფლოსის, კორდის ან ბრტყელი ფოლგით იზომება მინაბოჭკოს საჭირო რაოდენობა. გაზომვისას გათვალისწინებული უნდა იქნას კბილთა კონტურები და შუალედური ნაწილის არეში კონსტრუქციის ვესტიბულური სიმრუდე. საჭირო სიგრძის მინაბოჭკოვანი მასალა იზომება და იჭრება დამკავ ბუდესთან ერთად. უნდა მოვერიდოთ მასალის დროზე ადრე ამოღებას. მოჭრილი ფრაგმენტი უნდა დავიცვათ სამუშაო ნათურისგან.

ზედაპირის ადჰეზიური დამუშავება. ადჰეზივის აპლიკაცია ხდება როგორც საყრდენ ღრუში, ისე საყრდენი კბილების აპროესიმალურ და ლოყისკენა ზედაპირებზე. ეს საჭიროა დამატებითი ღერძის ფიქსაციისთვის. საყრდენი ღრუს ადჰეზიური მომზადება ხორციელდება მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. არაპრეპარირებული მინანქრის ინტერპროესიმალური და ორალური ზედაპირების ადჰეზიური მომზადება:

- IV და V თაობის ადჰეზიური სისტემებით მუშაობისას სასურველია მუშავური დამუშავება (ეჩირება) 45-60 წამის განმავლობაში.
- თვითერჩირებადი VI და VII თაობის ადჰეზივების შემთხვევაში დასაშვებია წინასწარი ეჩირება 10-15 წამის (არაუმეტეს 20 წმ) განმავლობაში. ადჰეზიური მომზადების დანარჩენი ეტაპები სრულდენა მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით.
- Tokyoma dental-ის ადჰეზივის Bond Force გამოყენებისას წინასწარი მუშავური დამუშავება აუცილებელი არ არის. უნდა მოხდეს ადჰეზივის აქტიური აპლიკაცია 20 წმ-ის განმავლობაში არაპრეპარირებულ მინანქარზე.

ადჰეზიური მომზადების მომდევნო ეტაპები ხორციელდება მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. ხდება ადჰეზივის ფოტოპოლიმერიზაცია.

ხიდისებრი პროთეზის აგება.

ნაბიჯი1. ადჰეზივით დამუშავებულ ზედაპირზე თავსდება მაღალი დენადობის კომპოზიტის თხელი ფენა (0,5 მმ), არ ხდება კომპოზიტის პოლიმერიზაცია!

ნაბიჯი 2. ხდება ძირითადი საყრდენი მინაბოჭკოვანი ღერძის ადაპტაცია კბილის ზედაპირთან და წინასწარი პოლიმერიზაცია. გამოიყენება ინსტრუმენტები: StickCarrier ფიქსაციისთვის და Stick Stepper, ინსტრუმენტი რომელიც იცავს მინაბოჭკოვან მასალას დროზე ადრე პოლიმერიზაციისგან. არსებობს ძირითადი ღერძის RefixD ინსტრუმენტით ერთმომენტიანი ადაპტაციის ტექნიკა. დასხივების დრო ჰალოგენური ნათურისთვის 5 წმ-ია, LED ნათურისთვის კი – 2 წმ. სილიკონის ქვეშ პოლიმერიზაციისას დასხივების დრო ორმაგდება.

შუალედურ ნაწილში მინაბოჭკოვან ღერძს ღრძილისკენ ედლევა გამოხატული სიმრუდე, ისე ფორმირდება, რომ დარჩეს 1-2 მმ თავისუფალი ადგილი საირიგაციო სივრცისთვის. კბილთაშორის შუალედებში, ასევე, საჭიროა თავისუფალი სივრცის დატოვება (ჰიგიენის დაცვის მიზნით).

ნაბიჯი 3. ადჰეზივით დამუშავებულ ინტერპროესიმალურ და ლოყისკენა ზედაპირებზე თავსდება დენადი კომპოზიტის თხელი ფენა (0,5 მმ), არ ხდება კომპოზიტის პოლიმერიზაცია!

ნაბიჯი 4. ვესტიბულურად მეორე საყრდენი ღერძის ფიქსაცია და თხევადი კომპოზიტის მცირე ულუფით მისი შეერთება ძირითად საყრდენთან. წინასწარი პოლიმერიზაცია თითო კბილზე 5-10 წმ. ვესტიბულური ბოჭკოს ფიქსაცია მიზანშეწონილია ჩატარდეს სილიკონის ინსტრუმენტის RefixD-ის დახმარებით. ეს საშუალებას მოვცემს, ერთის მხრივ, გავზარდოთ ადჰეზიის ფართობი და შესაბამისად მინაბოჭკოვანი მასალის არაპრეპარირებულ მინანქართან მოჭიდვულის ძალა, გარდა ამისა, თავიდან ავიცილოთ ვესტიბულური კონტურების არასასურველი გაზრდა. მაგრამ RefixD-ით მუშაობისას აუცილებელია მინაბოჭკოვანი მასალის მდებარეობის მუდმივი კონტროლი.

ნაბიჯი 5. პერპენდიკულარული ღერძების ფიქსაცია უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიმტკიცეს ტრანსვერსალურ სიბრტყეში და ეფექტურად ამაგრებს შუალედურ ნაწილს.

ნაბიჯი 6. მინაბოჭკოვანი მასალის ზედაპირი იფარება დენადი კომპოზიტის ფენით. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მინაბოჭკოვანი მასალა მთელ სიგრძეზე იყოს დაფარული კომპოზიტით, განსაკუთრებით საყურადღებოა ინტერპროესიმალური უბნები, რომლებიც მომატებული ელასტიკური დატვირთვის ზონებს წარმოადგენს. ამასთანავე, კომპოზიტსა და ღრძილს შორის უნდა დარჩეს თავისუფალი სივრცე ჰიგიენური პროცედურების ჩასატარებლად. საბოლოო პოლიმერიზაცია თითოეულ სეგმენტზე წარმოებს 40

წმ-ის განმავლობაში.

ნაბიჯი 7. ხიდისებრი პროთეზის შუალედური ნაწილის აგება.

გამოსარეცხი სივრცის ფორმირებისთვის სასურველია პლასტიკური მატრიცების გამოყენება. უნივერსალური თხევადი კომპოზიტის Estelite Flow Quick მასალა წნევის ქვეშ შედის მატრიცის ჩაღრმავებაში.

ამ გზით გარანტირებულია საჭირო ფორმის შუალედური ნაწილის ფორმირება (არ არის კონსტრუქციის შესუსტების რისკი).

სხვა ვარიანტია ლავსანის ზონრის გამოყენება. მისი სიგანე ცოტათი აღმატება კბილთა მწერივის დეფექტის სიგრძეს. ზონარი იღუნება ღარის ფორმით, თავსდება ღერძის ქვეშ და ფიქსირდება პროექსიმალუ-

კლინიკური შემთხვევა

მოლარის დეფექტის ჩანაცვლება ბოჭკოვან-არმირებული პირდაპირი კომპოზიტური ხიდისებრი პროთეზით პაციენტი ნ. 32 წლის. საწყისი მდგომარეობა: დანაერლისი კბილი 4.6.; 4.7 კბილის მეზიო-ოკლუზიურ-დისტალურ ზედაპირზე ბუნებრივი; 4.5. კბილის დისტალურ-ოკლუზურ ზედაპირზე ბუნებრივი. რესტავრაციისას გამოყენებული მასალები: ბოჭკო everStick C7B 4,5 სმ, ადაპტიური სისტემა Bond Force, საშუალო დენა-დობის Estelite Flow OA2 A2, , Estelite Sigma OA2 და A2




1. საწყისი მდგომარეობა



2. ლრუების შესახედაობა პრეპარირების და ოპტიდამის ფიქსაციის შემდეგ



3. ელასტიკური კორდის საშუალებით მინაბოჭკოვანი მასალის სიგრძის გაზომვა



4. ადაპტურ შრედ Estelite Flow Quick (OA3) აპლიკაცია პილომერიზაციის გარეშე



5. პირველი მინაბოჭკოვანი ლერძის ადაპტაცია, პირველადი დასხივება



6. ვესტიმულურად მეორე მინაბოჭკოვანი ლერძის ფიქსაცია, პირველადი დასხივება



7. ორი განვითი ბოჭკოს ფიქსაცია



8. მინაბოჭკოვანი მასალის ზედაპირზე Estelite Flow Quick (OA3) აპლიკაცია



9. კონტურული ქუდაკის ტიპის მატრიცის დაყენება



10. საირგაციო სივრცის ფორმირება Estelite Flow Quick (OA3)



11. ადაპტიური ხიდის შეალედური ნაწილის და საყრდენი კბილების საოკლუზით ზედაპირების ანატომირებული ფორმის მოფელირება



12. რესტავრაციის საბოლოო სახე

რო კონტაქტების არეში 2 გამჭვირვალე სოლით. სოლი ახდენს ადგილის რეზერვირებას ღრძილის დვრილის-თვის. ფიქსაციამდე მატრიცა ვესტიბულურ მხარეს მსუბუქად ფიქსირდება ღრძილზე, იმისათვის, რომ მოხდეს შემხები შუალედური ნაწილის ფორმირება.

ხიდის დანარჩენი ნაწილის ფორმირება ხდება თავისუფალი მიღომით. კომპოზიტის შეტანა ხდება შრეობრივად, მნარმოებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით. კომპოზიტის ფენის სისქე საოკლუზიო კონტაქტების არეში უნდა იყოს 1-2მმ. ეს პირობა აუცილებლად უნდა შესრულდეს კონსტრუქციის სი-

მყარისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია კომპოზიტის ატკერა ან კონსტრუქციის ფრაქტურა.

კბილთაშორის შუალედებში საჭიროა დარჩეს თავისუფალი სივრცე ჰიგიენის დასაცავად. ამ მიზნით, რეკომენდებულია კბილთაშორისი სოლების გამოყენება.

ნაბიჯი 8. საბოლოო დამუშავება. ფინირება, პოლირება. ოკლუზიური შეთანასოვნების შემოწმება. უნდა აღინიშნოს, რომ არმირებული კონსტრუქციის საბოლოო სიმტკიცე მიიღწევა 24 საათის შემდეგ. ეს პაციენტს აუცილებლად უნდა მიეთითოს რეკომენდაციებში.

Abstract

ADHESIVE BRIDGE

T.S. Dvornikova, N.v. Kirsanova
(St. Petersburg)

Due to modern technology of adhesive bridges the missing tooth is restored with glass fiber and composite restorative materials. There are several methods of adhesive bridges: direct and indirect, surface retained and inlay retained. The biomechanics, indications and the questions of the strength and durability of adhesive bridges are reviewed in this article. The step-by step building instructions and how to make adhesive bridges with the material of Japanese company Tokyoma Dental everStick C&B and restorative materials of Estelite group are also discussed. At the end of article 2 clinical cases are presented.



სწრაფი თვიზილგამაყურებელი

ძლიერი ანთების სანინა აღმდეგო

გაუმჯობესებული ამტანობა



დღეში 1-ჯერ

Chiesi

მნარმოებელი: Chiesi, 010400

ქაილის ფესვის რასტავრაციის მიმართული პოლიმერული განვითარების აღკაზირი ზეპირი

ზურაბ გარსამია

მედ. დოქტ., ესთეტიკური სტომატოლოგიის ცენტრ „ელიტის“ მთავარი ექიმი,
„კბილთა რესტავრაციის სკოლის“ ხელმძღვანელი

ძლიერ დაშლილი კბილების აღდგენის საკითხი ექიმი-რესტავრატორისთვის კვლავ რჩება ერთ-ერთ რთულ პრობლემად მკურნალობის მეთოდის შერჩევის თვალსაზრისით. კბილთა რესტავრაციაზე საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც კბილის ჯანმრთელობის, ფუნქციის და ესთეტიკის აღდგენისკენაა მიმართული. უშუალოდ კბილის ფესვის აღდგენისას, პრიორიტეტული ის მეთოდები და ტექნოლოგიებია, რომლებიც გამოყენებული მასალების ბიონიტეგრაციასა და ფუნქციურ მდგრადობას უზრუნველყოფს. დღეისათვის დაშლილი კბილების აღსაღენად მრავალრიცხოვანი მეთოდია მოწოდებული, თუმცა მათი უმრავლესობის ნაკლს გამოყენებული მასალის ელასტიკურობა წარმოადგენს, რაც ბიომექანიკის კანონების მიხედვით ფესვის დასუსტებული კედლების სანინააღმდეგოდ „მუშაობს“. თანამედროვე ადჰეზიურ სტომატოლოგიაში დაგროვილი ცოდნა საშუალებას გვაძლევს აღნიშნულ პრობლემას შევხედოთ კბილის ქსოვილებისა და გამოყენებული მასალების ბიომექანიკური თვისებების შეფასების კუთხით და, ასევე, თანამედროვე ადჰეზიური მასალების შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებიც სარესტავრაციო მასალის და კბილის სარესტავრაციო ზედაპირის მტკიცე შეკავშირებას უზრუნველყოფს.

კბილთა დაშლის ხარისხი

გვირგვინოვანი ნაწილის აღსაღენად, კბილის ალვეოლისზედა ნაწილის კლინიკური მდგომარეობის მიხედვით, ფესვთა ოთხ ტიპს გამოყოფენ (ფ. H. ცუკანოვა 1986):


- I ტიპი – ფესვები შენარჩუნებული ღრძილზედა ნაწილით (2მმ და მეტი)
- II ტიპი – ფესვები ღრძილის დონეზე შენარჩუნებული კედლებით
- III ტიპი – ფესვები ღრძილებული კიდეებით;
- IV ტიპი – ფესვები დაშლილი ბიფურკაციით

დარჩენილი მაგარი ქსოვილების შეფასებისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ასევე, ფესვის შენარჩუნებული დენტინის მოცულობის შეფასებაც, რაც თავის მხრივ, შესაძლოა გადამზყვატი აღმოჩნდეს კბილის აღდგენის მეთოდის შერჩევისას. ამიტომ გთავაზობთ

ფესვის დაშლის ხარისხის შეფასების შემდეგ კლასიფიკაციას:


- I ტიპი – ფესვის დენტინი უცვლელი სახით შენარჩუნებული (სურ. 1)
- II ტიპი – ფესვის დენტინის არარსებობა დაზიანების ხარისხზე დამოკიდებულებით (სურ. 2).

აღდგენის მეთოდის შემდგომი შერჩევა დამოკიდებულია ფესვის შენარჩუნებული დენტინის მოცულობაზე. ფესვის დაშლის I ტიპის შემთხვევაში (როცა დენტინი შენარჩუნებულია), გვირგვინოვანი ნაწილის აღდგენა უმჯობესია ჩატარდეს სტანდარტული ქარხნული წყირების საშუალებით. ეს უფრო დამზიდველი მეთოდია ფესვის დენტინთან მიმართებაში. დავეთანხმები მრავალი სპეციალისტის აზრს და აღვნიშნავ, რომ წყირები არ ახდენს ფესვების გამაგრებას, პირიქით, უფრო ასუსტებს მათ. ფესვის დაშლის I ტიპის დროს წყირი განიხილება როგორც „ფესვის რეტენცია“ გვირგვინოვანი ნაწილის აღსაღენებად, ამიტომ დამზიდველი პრეპარირების პრინციპების გათვალისწინებით, სტანდარტული წყირის დამაგრების მიზნით მაგარი ქსოვილების მცირე რაოდენობით მოცილება აღნიშნულ შემთხვევაში უფრო გამართებულია, ვიდრე ლაბორატორიული წესით დამზადებული ჩანართის მოთავსება. ჩვენს სტომატოლოგიურ ცენტრში, მსგავსი კლინიკური შემთხვევების არსებობისას პასიურ მინაბოჭკოვან წყირებს ვიყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ მინაბოჭკოვანი წყირების დრეკადობის მოდული დენტინის დრეკადობის მოდულზე მაღალია, ფესვის კედლები მხოლოდ უმნიშვნელო დატვირთვას განიცდის, რადგან მისი კომპენსაცია დარჩენილი დენტინის დიდი მოცულობის ხარჯზე ხდება. ამ შემთხვევაში დენტინი ე.წ. ელასტიკური „სარტყლის“ როლს ასრულებს, რომელიც ფესვის კედლის მთელ



სურ. 1 ფესვის დაშლის I ტიპი
ა) სიგრძივი კვეთა
ბ) განივი კვეთა

სურ. 2 ფესვის დაშლის II ტიპი
ა) სიგრძივი კვეთა
ბ) განივი კვეთა




ზედაპირზე დატვირთვას თანაბრად ანანილებს (სურ. 3).

აქტიური ანკერული წყირების გამოყენება იმ კლინიკურ სიტუაციებშია დასაშვები, როდესაც უფრო მაღალი რეტენციის ხარისხია საჭირო. აღნიშნულ შემთხვევაში, სასურველია აქტიური წყირის პასიურში გადაყვანა, ფიქსაციის მიზნით მხოლოდ 2-3 ხრახნის არხის შესასვლელში დატოვება. შენარჩუნებული დენტინის საკმარისი რაოდენობის არსებობისას ძალათ კონცენტრაცია ფესვის ამ ნაწილში უმნიშვნელო იქნება (სურ. 4).

სრულიად სხვაგვარადაა საქმე II ტიპის ფესვთა შემთხვევაში, სადაც დენტინის მოცულობითი რაოდენობის დეფიციტი აშკარად არის გამოხატული. უმეტეს შემთხვევაში საყოველთაოდ მიღებულ მეთოდს ლაბორატორიულ პირობებში ფესვის ჩანართების დამზადება წარმოადგენს, რომლის მასალად ქრომ-კობალტის შენადნობს ან ე.წ. „მოდურ“ ცირკონიუმის ოქსიდს იყენებენ. დღეისათვის არსებული მეთოდების სიმრავლის მიუხედავად, თითოეული მათგანის უარყოფით მხარედ გამოყენებული მასალის ელასტიკურობა ითვლება. ჩანართები რესტავრაციის საფუძვლის მაგარი ქსოვილების გადატვირთვას ახდენს და შეიძლება ფესვის სიგრძივი მოტეხილობა გამოიწვიოს. ასეთი გართულებები ყველაზე ხშირად გათხელებული კედლების მქონე ფესვებში გვხდება. როგორ მოვიქცეთ აღნიშნულ სიტუაციაში? რომელი მასალის გამოყენება იქნება მიზანშეწონილი და რატომ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით კბილის ქსოვილების ბიომექანიკური თვისებების შეფასებისა და თანამედროვე ადჰეზიური სისტემების შესაძლებლობების კუთხით, რომლებიც დღეს თანამედროვე ადჰეზიურ სტომატოლოგიას წარმოადგენს. მაგრამ თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რა მიზნებს ვისახავთ II ტიპის ძლიერ დაშლილი ფესვების აღდგენისას:


- დარჩენილი მაგარი ქსოვილების შენარჩუნება



სურ. 5. II ტიპის ფესვის I ტიპში ტრანსფორმაცია

- ფესვის დენტინი
- კომპოზოციური საბური მასალა პირდაპირი რესტავრაციისთვის
- მექანიკური დატვირთვის ამორტიზაცია და გადანანილება.

ჩვენს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად, საჭიროა II ტიპის ფესვის I ტიპში ტრანსფორმაცია და დანაკლისი დენტინის მოცულობის აღდგენა ბუნებრივი დენტინის მსგავსი ბიომექანიკური მახასიათებლების მქონე საშუალებით (სურ. 5.). როგორც ცხრილიდან ჩანს, ასეთ მასალას კომპოზიციური საბური მასალა წარმოადგენს პირდაპირი რესტავრაციისთვის.



სურ. 4 ანკერული წყირის გამოყენება ფესვის დაშლის I ტიპის დროს.
არხის შესასვლელში არსებულ ხრახნები ხელს უწყობს დამატებით ფიქსაციას.

სხვადასხვა მასალის დრეკადობის მოდულთა მნიშვნელობები

მასალა	დრეკადობის მოდული, გპა
ეპოქსიდური ფისი	4
დენტინი	15
კომპოზიციური საბური მასალა	16
პირდაპირი რესტავრაციისთვის	
მინაბოჭკოვანი მასალა	40
მინანქარი	50
ოქროს შენადნობი	85
ტიტანი	110
ცირკონიუმის ოქსიდი	210
ქრომ-კობალტის შენადნობი	220

პოლიმერიზაციული კუმპადოპა

ყველა პოლიმერულ მასალას პოლიმერიზაციული კუმშვადობა გააჩნია. ეს ნაკლი, ასევე, კომპოზიციურ საბური მასალებსაც აქვს. პოლიმერიზაციული კუმშვადობა რესტავრაციის დროს წარმოქმნილი გართულებების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ქვემოთ განხილული იქნება პოლიმერიზაციული კუმშვადობის წარმოქმნის ძირითადი ფაქტორები და რესტავრაციის დროს მათი თავიდან აცილების შესაძლო გზები.

1. პოლიმერიზაციის დრო. პოლიმერიზაცია ორი ფაზისაგან შედგება: პრეგელის ფაზა – როდესაც მასალა ჯერ კიდევ ასე ვთქვათ „დამყოლია“ და პოსტგელის ფაზა – როგორცაც პოლიმერიზაცია დასრულებულია და სხვადასხვა სახის დეფორმაცია უკვე შეუძლებელია (სურ. 6).

პოლიმერიზაციული კუმშვადობის თვალსაზრისით, ყველა სტრუქტურული დეფორმაცია პრეგელის

ფაზაში მიმდინარეობს და რაც უფრო ხანმოკლეა ეს პერიოდი, მით უფრო დიდ დეფორმაციას განიცდის მასალა. სხივური ეფექტით გამყარებად მასალებს ეს ფაზა ხანმოკლე აქვს და შესაბამისად კუმშვადობის მაჩვენებელიც დიდია. (სურ.7). თვითგამყარებად მასალებში კი პოლიმერიზაცია დროში გაჭირებულია და შესაბამისად, კუმშვადობა ნაკლებია და მასალის მოცულობაში თანაბრადა გადანაწილებული,

2. C-ფაქტორი – კარიესული ღრუს ფორმა. რაც უფრო მეტი ზედაპირია სარესტავრაციო ღრუში, მით უფრო მეტ დაძაბულობას განიცდის კომპოზიციური საბური მასალა და შესაბამისად, პოლიმერიზაციული კუმშვადობის მაჩვენებელიც მაღალია. C-ფაქტორის მიხედვით, ყველაზე არასახარბიერო პირობები ბლეკის მიხედვით | კლასის ღრუს შემთხვევაშია. თუ შევადარებთ || ტიპის ძლიერ დაშლილი ფესვების ღრუს ფორმას ბლეკით | კლასის ღრუს ფორმასთან, საოცარ მსგავსებას დავინახავთ (სურ. 8)

3. შეტანილი მასალის მოცულობა ასევე ახდენს გავლენას კუმშვადობის ხარისხზე. სხივგამყარებად კომპოზიტებს კუმშვადობის განსაკუთრებით დიდი მაჩვენებელი გააჩნია, რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული შეტანილი ბჟენის ულუფაზე. ამიტომ ფოტოპოლიმერიზაციულ მასალებში კუმშვადობასთან ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი მასალის შრეობრივი (ფენა-ფენა) შეტანაა, რაც რთულად განსახორციელებულია || ტიპის დაშლილი ფესვების შემთხვევაში.



სურ. 6.

პოლიმერიზაციის პროცესის სქემატური გამოსახულება: Pre-Gel – პრეგელის ფაზა; Post-Gel – პოსტგელის ფაზა, G – პრეგელის ფაზის პოსტგელის ფაზაში გადასვლის წერტილი.




სურ. 7.

სხივური ეფექტით გამყარებადი კომპოზიტის პოლიმერიზაციის ფაზა, დროში შემცირებული პრეგელის ფაზით.

მიმართული კუმშვადობის ტექნიკა

კომპოზიციურ საბური მასალაში წარმოქმნილი რადიკალთაშორისი დაძაბულობის შესაბამისად,



1 2

სურ. 8 ღრუთა მსგავსება ფორმის მიხედვით


ა) ბლეკის მიხედვით | კლასის ღრუ

ბ) || ტიპის დაშლილი ფესვის ღრუ

ბერტოლოტიმ ბლეკით | კლასის ღრუების აღდგენის მეთოდი შეიმუშავა. მეთოდი გულისხმობს ღრუს 2/3-მდე პირველ ფენად ქიმიური გამყარების კომპოზიტის შეტანას, ხოლო დარჩენილი 1/3-ის სხივგამყარებად მასალით შევსებას. ამ მეთოდს მიმართული კუმშვადობის ტექნიკა უდევს საფუძვლად. აღნიშნული ტექნიკის თანახმად, ქიმიურად გამყარებადი მასალა გამყარებისას სხივური კომპოზიტისგან განსხვავებით, პოლიმერიზაციის პროცესში შეკუმშვას კბილის უფრო თბილი ზედაპირებიდან იწყებს, რის შედეგადაც ღრუს კედლებსა და ფსკერზე მასალის უფრო მტკიცე ადაპტაცია მიიღწევა (სურ.9).


მიმართული კუმშვადობის ტექნიკას რიგი უპირატესობები გააჩნია:

1. პოლიმერიზაცია დროში გაჭირებულია, რის შედეგადაც კბილის კედლებზე მოქმედი სტრესი მცირდება
2. მასალის შეტანა ხდება ერთიან ულუფად;
3. მიმართული კუმშვადობის საშუალებით მჭიდრო კიდოვანი (მარგინალური) ადაპტაცია მიიღწევა.



სურ. 9. ბერტოლოტის მეთოდი ბლეკით | კლასის ღრმა ღრუებისთვის:

1. კბილის ღრუს სარესტავრაციო ზედაპირები
2. ქიმიური გამყარების კომპოზიციური საბური მასალა
3. სხივური ეფექტით გამყარებადი კომპოზიციური მასალა



სურ. 10. მიმართული კუმშვადობის ადპენიური ტექნიკა || ტიპის დაშლილი ფესვებისთვის

1. ფესვის შენარჩუნებული კედლები
2. ქიმიური გამყარების კომპოზიციური საბური მასალა. კომპოზიტის შეკუმშვას მიმართულება ნაჩვენებია ისრებით

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ბლეკით | კლასის ღრუს, ისე || ტიპის ძაშლილ ფესვების C-ფაქტორის მაღალი მაჩვენებელი და ფოტოპოლიმერული მასალებისთვის შეზღუდული შეღწევადობა გააჩნია, || ტიპის ძაშლილ ფესვების რესტავრაციის მიზნით მიზანშენონილია მიმართული კუმშვადობის ტექნიკით ქიმიურად გამყარებადი კომპოზიტის გამოყენება (სურ 10).

ადჰეზიური ტექნიკა

ადჰეზიურმა სტომატოლოგიამ განვითარების გრძელი გზა განვლო. ამ დროის განმავლობაში ადჰეზიურმა სისტემებმა რევოლუციური ცვლილებები განიცადა, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა რესტავრაციული სტომატოლოგიის შესაძლებლობები. თუმცა, სტომატოლოგიურ ბაზარზე მრავალფეროვანი ადჰეზიური სისტემების ფონზე, ექიმ-რესტავრატორს ხშირად უხდება როგორც გამოყენებული მასალის, ისე კონკრეტული სისტემის მიხედვით ადჰეზიური სისტემის სწორი არჩევანის გაკეთება.

თანამედროვე კლასიფიკაციით, ადჰეზიური სისტემები სხვადასხვა ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ქვემოთ დაწვრილებითაა განხილული რამდენიმე მათგანი.

პოლიმერიზაციის საშუალების მიხედვით განასხვავებენ: სხივგამყარებად, თვითგამყარებად და ორმაგი გამყარების ადჰეზიურ სისტემებს.

დანიშნულების მიხედვით: მინანქარ-დენტინის (სხივგამყარებადი მასალის ადჰეზიისთვის), უნივერსალურ ადჰეზიურ სისტემას (სხივგამყარებადი, ქიმიურად გამყარებადი და ორმაგი გამყარების მასალის ადჰეზიისთვის) და მრავალფუნქციურ ადჰეზიურ სისტემებს (კომპოზიტების, კერამიკის, ამალგამის, შენადნობების ადჰეზიისთვის).

დაშლილი ფესვის აღდგენის მიზნით, მიმართული კუმშვადობის ტექნიკით ქიმიურად გამყარებადი კომპოზიტიური საბური მასალის გამოყენებისას, ადჰეზიური სისტემა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებლდეს:

- დანიშნულების მიხედვით – უნდა იყოს უნივერსალური ადჰეზიური სისტემა, შეთავსებადი ქიმიურად გამყარებად კომპოზიტთან.
- გამყარების მეთოდის მიხედვით – ღრუს ტოპოგრაფიული მდებარეობის და სხივის შეღწევადობის (ძნელად შეღწევადი) გათვალისწინებით, ადჰეზიური სისტემა თვითგამყარებადი, ან ორმაგი გამყარების უნდა იყოს.


ადჰეზიის ხარისხი, ძირითადად, მასალის სარესტავრაციო ზედაპირთან შეხების ფართობზე და უშუალოდ ადჰეზიის ძალაზეა დამოკიდებული. კარგი

ადჰეზიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, ადჰეზიური სისტემის არჩევანი, ხარისხიანი პრეპარირება, სამუშაო ველის კოფერდამით ან სარეტრაქციო ძაფით იზოლაცია და ადჰეზიური ტექნიკის პროტოკოლის ზუსტი დაცვა.


რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დარჩენილ ქსოვილებთან ადჰეზიის ძალის თვალსაზრისით, ფესვის || ტიპის ძაშლისას უფრო სახარბიელო სიტუაცია გვაქვს | ტიპთან შედარებით, რადგან || ტიპის დროს მეტია სარესტავრაციო ზედაპირის ფართობი, ხოლო | ტიპის შემთხვევაში, წკირის ჩასმისა და დამატებითი რეტენციის შესაქმნებლად გვიჩევს გარკვეული რაოდენობის პირობითად ინტაქტური დენტინის „შენირვა“.

შიდა დაქაბულობის (სტრასის) კონცენტრაცია

ფესვის მიმართული კუმშვადობის ტექნიკით აღდგენის შემდეგ აუცილებელია კბილის გვირგვინის რესტავრაცია. კონსტრუქციის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით, ერთგვაროვნების მისაღწევად, ტაკვის აღდგენა BISGMA ან მისი მოდიფიკაციების UDMA, TEGDMA, D3MA ორგანული მატრიცის მქონე კომპოზიტური მასალითაა შესაძლებელი (ერთადერთ პირობას გამოყენებული ქიმიური და სხივური გამყარების მასალების ადჰეზიური შეთავსებადობა წარმოადგენს). აღნიშნულ შემთხვევაში, კომპოზიტში წარმოქმნილი დაძაბულობის კონცენტრაცია ღეჭვითი დატვირთვის წერტილში მოხდება (სურ 11) და შედეგად, ამ ადგილას თავს მოიყრის მასალის ე.წ. „დაღლილობა“, რამაც დატვირთვის ციკლურობის შემთხვევაში შეიძლება რესტავრაციის ნაწილობრივ და სრულ დაშლამდე მიგვიყვანოს. როცა ვსვავთ შეკითხვას, ჩავატაროთ თუ არა არმირება, პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები არა კბილი, არამედ კომპოზიტური რესტავრაცია მთლიანად. ძლიერ დაშლილი ფესვების მიმართული პოლიმერიზაციული კუმშვადობის ადჰეზიური ტექნიკით რესტავრაციის მთელი ჩვენი გამოცდილება ფესვის ღრძილზე-და და ფესვის ნაწილების არმირების აუცილებლობას ადასტურებს. მაარმირებელ ელემენტად ჩვენ ვიყენებთ მინაბოჭკოვან წკირს. მეთოდიკა ძალიან წააგავს ღრძილული არმირების ტექნიკას, 2. კომპოზიტური რესტავრაცია



სურ. 11 შიდა დაძაბულობის კონცენტრაცია დატვირთვის უბანში
1. ფესვის კედლები
2. კომპოზიტური რესტავრაცია



სურ.12. შიდა დაძაბულობის თანაბარი გადანაწილება მინაბოჭყვავანი წკირით არმირებული რესტავრაციის მთელ სიგრძეზე.

1. ფესვის კედლები
2. კომპოზიტური რესტავრაცია
3. მინაბოჭყვავანი წკირი

(სურ.12).

რომელიც ფართოდ გამოიყენება ფუნდამენტის გასამაგრებლად სახლების მშენებლობის დროს. მინაბოჭყვავანი წკირი, ჩვენს კლინიკურ სიტუაციაში, შიდა დაძაბულობის „დამანგრეველ“ როლს თამაშობს და დეფორმაციის ძალებს ხელს უშლის თავი მოიყაროს ლეჭვითი დატვირთვის ადგილებში. ამ გზით ეს ძალები თანაბრად ნაწილება კომპოზიტური რესტავრაციის მთელ ზედაპირზე (სურ.12).

კბილის შემდგომი საბოლოო ფუნქციურ-ესთეტიკური რესტავრაციის ჩატარება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდითაა შესაძლებელი.

დასკვნები

- დაშლილი კბილის აღდგენის ოპტიმალური მეთოდის შესარჩევად, კბილის ალვეოლისზედა ნაწილის შეფასებასთან ერთად, მიზანშეწონილია ფესვის დაშლის ხარისხის შეფასება და დარჩენილი დენტინის მოცულობაზე ორიენტირება. ამგვარად, ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ორი ტიპი:
- ფესვის დაშლის I ტიპი – ფესვის დენტინი შენარჩუნებულია შეუცვლელი სახით
- ფესვის დაშლის II ტიპი – აღინიშნება ფესვის დენტინის დეფიციტი დაზიანების ხარისხზე დამოკიდებულებით

პრილის კომპლექსური რესტავრაციის კლინიკური შემთხვევა



კბილი 11 დაშლილია ღრძილის კიდის დონემდე. დაკარგულია დენტინის მნიშვნელოვანი მიკულობა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კბილი მიეკუთვნება ფესვის დაშლის II ტიპს.

კბილის იერსახე სარეტრაქციო ძაფით იზოლაციის შემდეგ, მუავური დამუშავების პროცესში.

ფესვის რესტავრაცია ჩატარებულია ადჰეზიური ტექნიკის გამოყენებით მიმართული კუმშვადობით ქმიტურად გამყარებადი კომპოზიტის საშუალებით, ჩატარებულია არმირება მინაბოჭყვავანი წკირით.



კბილის ტაკვის რესტავრაცია ჩატარებულია ფოტოპოლიმერული კომპოზიტით.

საბოლოო პრეპარირების შემდეგ, პირველის ზევით მოთავსებულია მეორე სარეტრაქციო ძაფი

დასრულებულია კბილის ტაკვის მომზადება ანაბეჭდის ასაღებად.



ესთეტიკური რესტავრაცია წარმოადგენს პრესირების მეთოდით ლობორატორიაში დამზადებულ უმეტალო კერამიკის ნახევარგვინს

11 კბილის კომპლექსური რესტავრაცია ჯანმრთელობის, ფუნქციისა და ესთეტიკის აღდგენით

- I ტიპის დროს გვირგვინოვანი ნაწილის აღდგენა რეკომენდებულია ადჰეზიური ტექნიკით ქარხნული წესით დამზადებული ნკირებით, ეს მეთოდი მეტად დამზოგველია დენტინთან მიმართებაში.
- ფესვის II ტიპის დაშლისას დაკარგული დენტინის ალსადგენად რეკომენდებულია ქიმიურად გამყარებადი კომპოზიტით მიმართული კუმშვადობის ადჰეზიური ტექნიკის გამოყენება. ქიმიურ კომპოზიტსა და დენტინს დრეკადობის მოდულის მსგავსი მაჩვენებლები აქვთ.
- ასევე II ტიპის დაშლილი ფესვების შემთხვევაში

პიპლიოგრაფია

1. Ахмад И. Эстетика непрямой реставрации. – 2009 – С. 115-140
2. Иоффе Е.С. Post-новейшая система для восстановления зубов после эндотерапии. / Новое в стоматологии – 1997 – №4
3. Мерлати Д., Тентруп А., Менгини П. Эндоканальные штифты новый продукт из двуокиси циркония. / Клиническая стоматология – 2000 – №3
4. Николишин А.К. Современная эндоонтология. Полтава 1998
5. Нурт Р.В. Основы стоматологического материаловедения – 2004 – С. 50-60

მიზანშეწონილია კომპოზიტური რესტავრაციის არმირება მინაბოჭკოვანი ნკირით, რაც ხელს უწყობს შიდა დაძაბულობის შემცირებას და თანაბარ გადანანილებას.

- კბილის ფორმის საბოლოო აღდგენის მიზნით, პირდაპირი ან არაპირდაპირი რესტავრაცია უნდა ჩატარდეს ადჰეზიური ტექნიკით მინანქარ-დენტინის ადჰეზივების გამოყენებით ან მრავალფუნქციური ადჰეზიური სისტემებით იმ შემთხვევაში, თუ რესტავრაცია სხვადასხვა მასალებით სრულდება, მაგალითად, კერამიკა და კომპოზიტი.

6. Радлинский С. В. Биомеханика зубов и реставрация. / Дент Арт – 2006 – №2 – С. 42-48
7. Руле Ж., Уилсон Н., Фуцци М. Передовые технологии в оперативной стоматологии. – 2005 – С. 191-211
8. Сарфати Э., Хартер Ж.-К., Регите Ж. Развитие концепции восстановления депульпированных зубов. / Клиническая стоматология – 1997 – №1
9. Хидирбекишвили О.Э. Современная карiesология. – 2006 – С. 270-285
10. Храмченко С.Н., Казеко Л.А., Горегляд А.А. Современные адгезивные системы. / Учебно-методическое пособие – 2008

Abstract

RESTORATION OF EXTENSIVELY DECAYED TEETH WITH ADHESIVE TECHNIQUE OF DIRECTED POLYMERIZATION

Zurab Gersamia

Author suggests to choose the method of root restoration depending on degree of root tissue destruction. Two types of root destruction are discussed in article. In cases of root destruction type I core build-up is recommended with adhesive technique and pre-fabricated posts. In type II root destruction cases for dentin restoration is recommended to use chemical cured composite resin with adhesive technique of directed polymerization.

SDR დანიშნულების რაციონალური გეოგრაფიული მდგრადი და ეკონომიკური მომავალი რასტავრაციის საღწიო კიბილებისათვის

ნათია რუსაძე – კორპორაცია Dentsply-ის ექიმი-კონსულტანტი

კომპოზიციური სარესტავრაციო მასალები თანამე-დროვე სტომატოლოგიის განუყოფელი ნაწილი გახდა. მათი გამოყენების ჩვენებები საკმაოდ გაფართოვდა. ახალი სარესტავრაციო მასალების შექმნის დროს დიდი ყურადღება ესთეტიკურ მახასიათებლებს ექცევა. ამავე დროს, მასალების გამოყენება დიდ ძალისხმევას და სხვადასხვა ფერების შრეობრივ შეტანას საჭიროებს. ასეთი მაღალი კლასის რესტავრაციების წილი საერთო კომპოზიტურ ბჟენებთან შედარებით დაბალია. სალეჭი კბილების არეში სტომატოლოგები, ეკონომიურობის თვალსაზრისით, ხშირად ერთი ფერის კომპოზიტურ მასალას იყენებენ, რადგან თანამედროვე კომპოზიტებს კარგად გამოხატული ე.წ. „ქამელონის“ ეფექტი აქვს. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, სალეჭი კბილებისთვის ესთეტიკური კომპოზიციური ბჟენი ადვილად შეიძლება მივიღოთ მისალებ ფასში. თუმცა ერთი ფერის კომპოზიტები ოპტიმალური პოლიმერიზაციისთვის, ასევე, შრეობრივად, რამდენიმე პორციად შეგვა-ქვს. სალეჭი კბილების ალდგენისთვის დროის და ძალის ეკონომიის მიზნით და ამავე დროს, ხანგრძლივი ესთეტიკური ადჰეზიური რესტავრაციებისთვის კომპანია **DENTSPLY**-მ ახალი მასალა – **SDR** (დენტინის უნივერსალური შემცვლელი) შექმნა. წინამდებარე სტატიაში მოგიყვებით, თუ როგორ შეიძლება რამდენიმე ეტაპში ესთეტიკური რესტავრაციის შექმნა ადჰეზიური სისტემა **XP Bond**-ის, **SDR**-ის და **Ceram X mono**-ს გამოყენებით.

მეცნიერება კომპოზიტების შესახებ

კომპოზიტების ძირითადი კლასიფიკაცია შემავსებლის ნაწილაკების ზომაზეა დამყარებული. ყველაზე ხშირად შემდეგი კლასიფიკაცია გამოიყენება – კომპოზიტების დაყოფა ჰიბრიდულ, მიკროჰიბრიდულ და მიკროფილურ კომპოზიტებად. ჰიბრიდულ კომპოზიტებში შემავსებლის ნაწილაკის საშუალო სიდიდე შეადგენს 1-10მმ-ს, 0,4მმ-ზე ნაკლებია მიკროფილებში და 0,4-1მმ მიკროჰიბრიდულ კომპოზიტებში. ნაწილაკების კომპოზიტები, მაგალითად, **Ceram X mono** შეიცავს ნაწილაკებს, რომელთა ზომა 2,3 მმ-ია, ნაწილაკებს, რომელთა საშუალო ზომა 10მმ-ია და მინაკერამიკულ შემავსებლებს, რომელთა ზომა 1მკმ-ია.

კომპოზიტების კლასიფიკაციის შედეგად, ასევე, კონსისტენციის და ფუნქციის მიხედვით ხდება. ამ კლასიფიკაციით არჩევენ კომპოზიტებს წინა კბილებისთვის, უკანა კბილებისთვის (უნივერსალური) და დენად კომპოზიტებს. კომპოზიტები წინა კბილებისთვის, იდეალური შრეობრივი შეტანის შემთხვევაში, ბუნებრივი რესტავრაციების შექმნის საშუალებას იძლევა. ისინი კარგად პოლირდება და ზედაპირულ სიპრიალეს ინარჩუნებს. უნივერსალურ კომპოზიტებს აქვს პრემოლარებთან და მოლარებთან შესაფერისი მექანიკური სტაბილურობა და ესთეტიკა. მათი საშუალებით, ასევე, შრეობრივად შეტანის შემთხვევაში, წინა კბილების რესტავრაციაც არის შესაძლებელი. კომპოზიტის შრეობრივი შეტანა დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ამ ტექნიკის გამოყენება სწორი პოლიმერიზაციის და კარგი კიდოვანი მიმაგრებისთვის არის საჭირო. თხევადი კომპოზიტები, დღევანდელ დღემდე, ფისურების ჩასაბეჭდად ან | კლასის რესტავრაციებში (ოლუზიური დატვირთვის გარეშე) ლაინერის სახით გამოიყენებოდა, რადგან მათ დიდი მოცულობითი კუმშვადობა (რომელსაც დიდ პოლიმერიზაციულ სტრესამდე მიყენავართ), ასევე არასრული სიმტკიცე და დაბალი ცვეთმედეგობა გააჩნია.

გამომდინარე იქიდან, რომ თხევადი კომპოზიტის გამოყენება საკმაოდ მოსახერხებელია, კომპანია **DENTSPLY**-მ გამოუშვა „უნივერსალური კომპოზიტი“ სალეჭი კბილებისათვის სახელწოდებით **SDR**.

SDR-ის თვისებები და უპირატესობები

SDR სხივგამაგრებად სარესტავრაციო კომპოზიტს წარმოადგენს. აქვს თხევადი კონსისტენცია, მაგრამ ტრანსიციული თხევადი კომპოზიტებისგან თავისი ფიზიკური თვისებებით განსხვავდება. მინაშემაგსებლის შემადგენლობა SDR-ში მასის მიხედვით 68%-ს შეადგენს. SDR გამოდის ერთ ფერში, რომელიც კარგად აკეთებს კბილის ირგვლივ ქსოვილის ფერის იმიტაციის. რესტავრაციის ესთეტიკური შესახედაობა ძირითადად კომპოზიტის ზედა ფერით განისაზღვრება, რომლითაც SDR გადაიფარება. ეს კომპოზიტი სპეციალურად არის შექმნილი დენტინის შესაცვლელად | და || კლასის ლრუების დროს. მისი შეტანა დიდი პორციე-

ბით – 4მმ-მდეა შესაძლებელი. პოლიმერიზაციული სტრუქტური, როგორც ადჰეზიურ შრესთან მიმაგრების ხარისხზე პასუხისმგებელი ძირითადი ფაქტორი, 60%-მდეა შემცირებული კონკურენტულ პროდუქციასთან შედარებით. დაბალი სიბლანტე ღრუს კედლებთან იდეალურ ადაპტაციის გარანტიას იძლევა, რთულად მიღწევად ადგილებამდეც კი. საღეჭი კბილების საპროექციოდ, ცვეტმედეგობის და სიმტკიცის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, მინანქრის შრის აღდგენა ხდება უნივერსალური ან ნანოშემავსებლიანი კომპოზიტით, სისქით 2 მმ, მაგალითად, Ceram X, Esthet X HD ან Spectrum TPH3.

SDR-ის უპირატესობები – გამოყენების სწრაფი, მარტივი და ეკონომიური ტექნიკა, პოლიმერიზაციის დაბალი მაჩვენებელი – 1,5 მპა (შედარებისთვის: თხევადი კომპოზიტების საშუალო მაჩვენებელია 3-4 მპა), გამოყენებული პორციის მაქსიმალური სისქე 4მმ-მდე და შეთავსებადობა ყველა ადჰეზიურ სისტემასთან (მეტაკრილატის ბაზაზე). SDR-ის განვითარების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, როგორც დენტინის შემცვლელი კომპოზიტის, პოლიმერიზაციული სტრუქტურის შემცირებაა, რასაც სპეციალური მოდულატორები განაპირობებს. ისინი რეაქციაში შედის ფოტოინიციატორ კამფოროქინონთან და მასალაში დაძაბულობას პოლიმერიზაციის კოეფიციენტის შეუცვლელად ამცირებს. გამოკვლევების შედეგების ანალიზის მიხედვით, რომელიც ქ. მაინცის (გერმანია) უნივერსიტეტში ჩატარდა, მეცნიერები 3 ძირითად დასკვნამდე მივიღნენ: კუმშვადობის შედეგად განვითარებული სტრუქტური გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 2 ლიდერი თხევადი კომპოზიტების; SDR-ის დაბალი სიბლანტე არ იწვევს მაღალი კუმშვადობის შედეგად გამოწვეულ სტრუქტურას სხვა დაბალი კუმშვადობის მქონე კომპოზიტებთან შედარებით; SDR-ს აქვს შედარებითი უპირატესობა მანიპულაციურ თვისებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით პატარა და ღრმა ღრუებში, სადაც უნივერსალური კომპოზიტების გამოყენების დროს ჰაერის ბუმტუკების ნარმოქნის შანსი დიდია.



სურ. 1. საწყისი სიტუაცია 45, 46 კბილთა არეში



სურ. 2. 45 კბილის ღრმა კარიესული ღრუს გახსნა, ენდოდონტიკური ჩარევის საჭიროება



სურ. 3. 46 კბილზე დამატებითი კარიესული ღრუს ალმოჩენა მერების შემდეგ



სურ. 4. 45, 46 კბილები პრეპარი-კარიესული ღრუს ალმოჩენა მერების შემდეგ

კლინიკური შემთხვევა – საღაფი პპილის რესტავრაცია SDR-ით და Ceram X mono-თი

პაციენტი 29 წლის. პირველადი კარიესული დაზიანება 4.5 კბილის დისტალური კედლის არეში. დეფექტი ჩანდა რენტგენოლოგიური კონტროლის გარეშე, რადგან დისტალური მორგვის მინანქარზე შეიმჩნეოდა დისქოლორიზაცია (სურ.1). ამასთანავე, დაზიანება პროქსიმალურ ზედაპირზე გავრცელდა. ანესთეზის გაკეთების და პროფესიული განვითარების შემდეგ, კოფერდამის მოთავსებამდე, რესტავრაციის ფერი შეირჩა. სარესტავრაციოდ Dentsply-ს პროდუქტია იქნა გამოყენებული: დენტინის ნაცვლად, ძირითად ფენად SDR და მინანქრის ნაცვლად, ერთ ფენად Ceram X mono.

კონტამინაციის თავიდან აცილების მიზნით, ჩარევის ადგილის იზოლაცია კოფერდამით მოხდა. ამის შემდეგ გახსნა კარიესული ღრუ კბილის ქსოვილის მაქსიმალური შენარჩუნებით (სურ.2). ღრმა კარიესული ღრუ ალმოჩენდა პულპურ კამერასთან შეერთებული. ჩარევის ადგილი არ იყო დაინფიცირებული, ამიტომ ენდოდონტიკური მკურნალობა იმავე სეანსზე ჩატარდა. 4.5 კბილის პრეპარირების შემდეგ, დამატებით, ნერტილოვანი კარიესი 4.6 კბილის მედიალურ ზედაპირზე ალმოჩენდა (სურ.3). მინიმალური ინვაზიით, კიდოვანი მორგვის შენარჩუნებით, მოხერხდა 4.6 კბილის პრეპარირება (სურ.4). უმნიშვნელო ფალცის ფორმირების შემდეგ ჩატარდა 4.6 კბილის ტოტალური გრავირება, გამოყენებულ იქნა XP Bond და ანატომიური ფორმა CeramX mon ბუნებით იქნა აღდგენილი, ბუნების პოლირება მოხდა სრულ სიპრიალემდე (სურ.5), შემდეგ 4.5 კბილის ღრუ საფუძვლიანად გამოირეცხა ნელით, მოხდა გამოშრობა ჰაერის ნაკადით. ანატომიურად კონტურირებული Palodent-ის მატრიცა კბილ-თაშრივის სივრცეში, 4.5 და 4.6 კბილებს შორის



სურ. 5. 46 კბილის მედიალურ კედლებზე არსებული დეფექტის მინიმალურად ინვაზიური რესტავრაცია Ceram-X™ mono+ M2-ით, მიღებომა 45 კბილის მხრიდან



სურ. 6. 45 კბილის ტოტალური გრავირება სექციური მატრიცის წის, XP BOND®-ის აპლიკაცია წინასწარი ფიქსაციით

მოთავსდა. კედლებთან მჭიდრო ადაპტაცია ხის სოლის საშუალებით მოხდა. BiTine-ის რგოლის საშუალებით ჩატარდა მატრიცის ფიქსაცია და კბილების პრეპარირება, რის შედეგად, საბოლოოდ ადექვატური პროექსიმალური კონტაქტი იქნა მიღებული.

ლრუს გრავირება DeTrey Conditioner 36 გელის საშუალებით მოხდა – ჯერ მინანქრის (20 წმ), შემდეგ დენტინის – 15 წმ (სურ.6). ლრუ წყლით საფუძვლიანად გამოირცხა. ეს ეტაპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიტალურ კბილებში, რადგან ის პოსტოპერაციული მგრძნობელობის პრევენციას უწყობს ხელს. წყლის ნაჩრენები მოშორებულ იქნა ჰაერის ნაკადით. ალსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, გახსნილი კოლაგენური ბოჭკოების კოლაფსისგან დაცვის მიზნით, არ



სურ. 8. ადჰეზივის სხივური პოლიმერიზაცია

უნდა მოხდეს დენტინის გამოშრობა – ეს უკანასკნელი ადჰეზივის არასრულფასოვან ინფილტრაციას გამოიწვევს.

შემდეგ აპლიკატორის საშუალებით მინანქრის და დენტინის მთელ ზედაპირზე ერთკომპონენტიანი ადჰეზივი XP Bond მოთავსდა (სურ.7), ადჰეზივის ექსპოზიცია ღრუში 20 წმ, შემდეგ – გამხსნელის აქროლება ჰაერის სუსტი ნაკადის ზემოქმედებით, ადჰეზიური შრის პოლიმერიზაცია 10 წმ-ის განმავლობაში (სურ.8). ამის შემდეგ ზედაპირს აქვს პრიალა შესახედაობა და მზად არის კომპოზიტის შესატანად.

4.5 კბილის დენტინის დეფექტი შეივსო Dentsply-ს ახალი კომპოზიტით – SDR-ით. მასალის შეტანა კარპულიდან 4 მმ სისქეზე მოხდა, პოლიმერიზაცია – 20 წამი (სურ.9). ოკლუზიური ზედაპირის აღსადგენად გამოყენებულ იქნა უნივერსალური კომპოზიტი Ceram X mono. შეტანილ იქნა 2 მმ სისქის შრე, მოხდა პორცვების მოდელირება და პოლიმერიზაცია (სურ.10). მე-11 სურათზე ნაჩვენებია რესტავრაცია სამუშაოს



სურ. 7. უნივერსალური ადჰეზივი გრავირება სექციური მატრიცის წის, XP BOND®-ის აპლიკაცია წინასწარი ფიქსაციით



სურ. 10. დისტალური კიდოვანი ნის შეტანა II კლასის ღრუში, დემორგვის ფორმირება Ceram X™ mono+ M2-ით

დამთავრებისთანავე, კოფერდამი ჯერ მოხსნილი არ არის. მისი მოხსნის შემდეგ ალმასის ბორით და საპრიალებელი სისტემით Po Go რესტავრაციის დამუშავება მოხდა. მე-12 სურათზე გამოსახულია რესტავრაციის საბოლოო შედეგი, სადაც აშკარად ჩანს, რომ ის ესთეტიკური თვალსაზრისით ირგვლივ ქსოვილებს შეესაბამება.



სურ. 11. მინანქრის შრის აღდგენა და ფუნქციონალური ოკლუზიური ზედაპირის ფორმირება



სურ. 12. რესტავრაციული მუშაობის ესთეტიკური შედეგი Ceram X™ mono+ M2-ით

დასკვნა

მასალა SDR სწრაფ და ეკონომიურ კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის საშუალებით საღეჭი კბილების არეში მაღალხარისხიანი და ხანგრძლივი რესტავრაციების გაკეთება ხდება. SDR კლინიცისტს დენტინის დეფექტის ერთ ეტაპად აღდგენის საშუალებას აძლევს. საღეჭი ზედაპირის აღდგენა მეტაპრილატის ბაზაზე დამზადებული ნებისმიერი უნივერსალური კომპოზიტით შეიძლება. როგორც მაგალითიდან ჩანს, SDR-ის და Ceram X mono-ს კომბინაციით შესრულებული რესტავრაცია ბუნებრივად შეესაბამება კბილთა ქსოვილებს.

Magazine "Dynamics" article of Marcus Holzmeier

Abstract**SDR SMART DENTINE REPLACEMENT*****Natia Rusadze – OPL Dentsply***

SDR™ is the revolutionary way to save you time as it makes posterior direct restorations less cumbersome for the clinician. It is the first bulk-fill flowable composite base material:

- Bulk-fill in 4mm increments due to 60% reduction in shrinkage stress versus other composites
- Up to 40% time-saving over conventional layering composites
- Easy placement with the compula tip
- 1 universal shade
- Significantly reduced risk of post-op sensitivity due to excellent internal cavity adaptation and no void/air bubbles
- Long-term restorations and very low incidence of micro leakage
- Capped with any universal composite

ოქტანილობი

- | | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> • საიმედო ფაცვა პერიოდონტისა და გინგივითისგან • ებრძვის პერიოდონტულ პათოგენურ ბაქტერიებს • ფართო საექტრის ანტიბაქტერიული მოქმედება | <ul style="list-style-type: none"> • გამოიყენება ბაზვებსა და ორსულებში • ალკოლისა და ელორცეპსიდინის გარეშე • არ დებავს პბილებს • საკვების ან სითხის მიღება შესაძლებელია გამოვლებისთანავე |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|



ctenidol



პირველი და ერთადერთი პირის ტრუს სავჭები
ოქტანილის დივიდუალური ფირმი

სტრატეგიურ დავალებათა მკურნალობის თავისებურებები აუტისტური საექტრის აშლილობის მეორე პარავაგი

ზურაბ ალხანიშვილი

ექიმი სტომატოლოგი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „რადიქსი“ პრეზიდენტი

გაია რეიტორა-მონაბი

ნეიროფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მოწვევული პროფესორი

სიტუაციური ანალიზი

აუტისტური სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ადამიანთა რეაბილიტაციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო სტომატოლოგია. თუმცა, ამ პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურება მთელს მსოფლიოში ნაკლებად ხელმისაწვდომია (14, 5, 13, 7, 18). ამერიკის შეერთებულ შტატებში 2005 წელს ჩატარებული კვლევით ირკვევა, რომ ზოგადი პროფილის სტომატოლოგების 67% აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოზარდის, 60% კი ასა-ის მქონე ბავშვის მიღებაზე უარს აცხადებდა (5). მიზეზად სიმპტომების თავისებურება (13) დასახელდა. პრაქტიკულად იგივე მდგომარეობაა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებშიც. კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ სტომატოლოგები მენტალური აშლილობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, შედეგად კი – კონსულტაციებზე არასრულ და არასწორ ინსტრუქციებს გასცემენ (14).

შესაბამისად, სტომატოლოგიური სფეროს ნაკლები ხელმისაწვდომობა კიდევ ერთი მიზეზით არის განპირობებული – ეს პაციენტთა ინფორმირებულობის დაბალი დონეა. 2011 წლის მაისსა და ივნისში, აუტიზმის არაბულ ცენტრებში ბავშვთა პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ასა-ის მქონე ბავშვებში კარიესის და გინგივიტების მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებლებია, რაც ტკბილი და რბილი კონსისტენციის მქონე საკვების განსაკუთრებულ სიყვარულთანაა დაკავშირებული. მნიშვნელოვანი მიზეზია კბილების არარეგულარული მოვლა (კბილების გამოხეხვას და კბილის ძაფის გამოყენებას არ აქვს სისტემატიური ხასიათი ან საერთოდ არ არის პრაქტიკაში) და მშობლების არაინფორმირებულობა (არ ფლობენ ინფორმაციას, როგორ დაეხმარონ ბავშვს პირის ღრუს მოვლის საშუალებების დასწავლაში).

მაშასადამე, ზემოხსენებული მიზეზების გამო, სტომატოლოგიური სერვისების მისაწვდომობა, ასა-ის მქონე პაციენტებს, მეტ-ნაკლებად მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვთ შეზღუდული, რაც, პირველ რიგში, ექიმების და, აქედან გამომდინარე, პაციენტების დაბალი ინფორმირებულობითა განპირობებული. პრო-

ბლემის სათავედ ზოგიერთი მკვლევარი განათლების სისტემაში მენტალური აშლილობებისათვის არასაკმარისი დროის დათმობას მიიჩნევს. აშშ-ის უნივერსიტეტების სტომატოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა 50%-ს მენტალურ აშლილობათა მქონე პაციენტებთან არასდროს ჰქონია კონტაქტი, 68%-ის პრაქტიკული გამოცდილება 5 საათს შეადგენს, 22%-ის ერთ საათს არ აღმატება(18), ზოგადი პროფილის სტომატოლოგების $\frac{1}{4}$ -ს კი, ამ სფეროში თეორიული განათლებაც კი არასდროს მიუღია (3). თუმცა, ასას მქონე პირების მიმართ ნეგატიური განწყობა ორსაათიანი ლექციის მოსმენის შემდეგ რადიკალურად შეეცვალა (6). სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში, გადამზადების ცენტრები, დახმარების განვის სტრატეგიები და გაიდლაინები შეიქმნა (1). საქართველოში, ასა-ის მქონე პირთა სტომატოლოგიური მომსახურების სერვისების მდგომარეობის შესახებ ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სტომატოლოგიური განათლების სისტემებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მდგომარეობა გაცილებით სავალალო.

აუტისტური საექტრის აშლილობის ალასივიკაცია და კლინიკური ნიშვნები

სტომატოლოგთა მიერ მომსახურების განვეობის დაბალი მზაობა, ძირითადად, ასა-ის მქონე პირთა სოციალური ურთიერთობების დეფიციტითა განპირობებული. მენტალურ აშლილობათა დაგნოსტიკისა და სტატისტიკის სახელმძღვანელოს (DSM IV) (16) და დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-10) (10) მიხედვით, აუტიზმი, ასპერგერის სინდრომთან და განვითარების პერვაზიულ არასპეციფიკურ დარღვევასთან ერთად, აუტისტური სპექტრის აშლილობებშია გაერთიანებული და ნეიროგანვითარებითი დარღვევის შედეგია. განვითარების პერვაზიულ დარღვევათა ჯგუფს მიეკუთვნება რეტის სინდრომი და ბავშვთა დეზინტეგრაციული აშლილობებიც, რომლებიც აუტიზმისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით ხასიათდება.

ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის მნიშვნელოვანია ასა-ის მქონე პირებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების ცოდნა.

დღეისათვის ასა-თვის დამახასიათებელი სიმპტომების ტრიადა არსებობს:

1. მეტყველების განვითარების შეფერხება; ბავშვი შეიძლება საერთოდ არ ლაპარაკობდეს (17) ან გვიან დაიწყოს ლაპარაკი. შეიძლება მეტყველება მოულოდნელად შეწყვიტოს ან მხოლოდ რამდენიმე დაზეპირებულ ფრაზას კონტექსტის გარეშე იმეორებდეს, ახასიათებდეს ექოლალია (მოსმენილის გამეორება) (12). შეიძლება ძალიან კარგად ლაპარაკობდეს, მაგრამ, როგორც წესი, მეტყველებას კომუნიკაციისთვის ნაკლებად იყენებდეს. თუმცა, აუტიზმის მქონე ნებისმიერ ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის (სურათების), როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენება (15). ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან. სწორედ ამიტომ შეიქმნა PECS (Pictures Exchange Communication System) სისტემა, რომელიც აუტიზმის მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის გასაღებს წარმოადგენს. „სიტყვები ჩემთვის მეორე ენას წარმოადგენს. როცა ვინმე მესაუბრება, მისი სიტყვები ჩემთვის იმწამვე სურათებად გარდაიქმნება ხოლმე“, – წერდა ცნობილი მეცნიერი, აუტიზმის მქონე ტემპლ გრანდინი თავის ბესთსელერში „აზროვნება სურათებით“.
2. ატიპური სოციალური ურთიერთობები, რომელიც სოციალური კავშირებისა და კომუნიკაციის თვისობრივი დევიაციითა განპირობებული, რაც აისახება და ერთგვარად განპირობებულიცაა ბავშვის ემოციური განვითარების თავისებურებებით. მათთვის რთულია სახის გამომეტყველების, ჟესტების ენის, სხვისი და საკუთარი ემოციების გაგება, შეფასება და მათზე ტიპური რეაქციის მიცემა. (2)
3. ქცევითი აშლილობები და აზროვნების თავისებურება, რაც ზემოთაღნიშნულ საკითხებთანაა შეტიდული (8).

აღსანიშნავია, რომ ასა-ის თითოეული შემთხვევა საკუთარი კლინიკური თავისებურებებით ხასიათდება და აბსოლუტურად ინდივიდუალურია. პრაქტიკულად არ არსებობს ასა-ის მქონე ორი ადამიანი, რომელსაც იდენტური მახასიათებლები ექნება. ნიშნები და კოგნიტური დეფიციტი კი ასაკის, სიმძიმისა და მიმდინარეობის პირდაპირობობიულად ცვალებადობს. გამომწვევი მიზეზი უცნობია, თუმცა, ხშირად უკავშირებენ მეტაბოლური წონასწორობის დარვევას, ფეხმ-

ძიმობის პერიოდში გადატანილ სტრესს და ა.შ. ვლინდება ყველა რასასა და კულტურაში, ვაჟებში კი 4-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე გოგონებში (9). საქართველოს ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ, 2008-2009 წლებში, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა კვლევა „აუტისტური სპექტრის აშლილობები საქართველოში: დიაგნოსტიკისა და ეპიდემიოლოგის საკითხები“. საპილოტე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს ეპიდემიოლოგიური მონაცემები დიდად არ განსხვავდება მსოფლიო მონაცემებისგან (4) და დარღვევათა სიხშირე 0,89%-ს შეადგენს.

მოგლების ჩართულობა მცირებლოვანი პავონის აირის ღრუს პიგირის სავალებაში

5-6 წლის ასაკამდე ბავშვების პირის ღრუს ჰიგიენაზე პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ. პირის ღრუს დამაკმაყოფილებელი ჰიგიენური მდგომარეობა კი მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობისთვის. კბილების გამოხეხვის, როგორც უნარის, გამომუშავება ორი წლის ასაკიდან უნდა დაიწყოს. დასწავლის პროცესი ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. ასას მქონე ბავშვები და მათი მშობლები კი სხვა გამოწვევების წინაშე დგანან:

პირველ რიგში, სწორად უნდა შევარჩიოთ მისთვის მოსაწონი კბილის ჯაგრისი. როგორც წესი, კბილების გამოხეხვა სააბაზანში ხდება, თუმცა, საწყის ეტაპზე, ჩვენი მთავარი ამოცანა უნარის გამომუშავებაა, შესაბამისად, შეიძლება, ეს პროცედურები მისაღები ოთახის დივანზე ან რომელიმე ისეთ ადგილას ჩატარდეს, სადაც ბავშვი თავს უფრო კომფორტულად იგრძნობა.

თავდაპირველად ჯაგრისით ტუჩებზე შევეხოთ ან ჩავადებინოთ პირის ღრუში – საშუალება მივცეთ შეეჩვიოს. აქვე შეიძლება იმის სწავლებაც დაგვჭირდეს, რომ პირი უნდა გააღია. მისი გემოვნების შესაბამისად შევარჩიოთ კბილის პასტაც. საბავშვო კბილის პასტებს ხშირად აქვთ მარწყვის, ჟოლოს ან საღეჭირების გემო, რაც შეიძლება, მისთვის მოსაწონი აღმოჩნდეს.

თავად ვაჩვენოთ, როგორ უნდა გამოიხეხოს კბილები, ასეთი სახის ვიზუალური დემონსტრირება დადებითი დამოკიდებულების შექმნასა და დასწავლაში დაგვეხმარება. ბიპევიორისტების (ქცევითი თერაპევტების) მიერ ეს სწავლების ყველაზე ეფექტურ მეთოდად არის მიჩნეული. დასაშვებია, მივცეთ საშუალება, კბილები თავად გაგვიწინდოს.

საწყის ეტაპზე მოგვიწევს თავად გამოვუხეხოთ

კბილები, ამისთვის საჭიროა დავდგეთ ბავშვის ზურგს უკან ისე, რომ მისი თავი ჩვენს მკერდზე იყოს დაფიქ-სირებული, მუხუდოს მარცვლის ზომის კბილის პასტა ჯაგრისის ცენტრში მოვათავსოთ და ჯაგრისი პირის ლრუში ისე ვამოძრავოთ, როგორც ამას საკუთარი კბილების გამოხევისას ვაკეთებთ.

ანალოგიურ სტრატეგიებს გამოვიყენებთ კბილის ძაფის (ფლოსის) გამოყენების სწავლების დროსაც. დასაწყისისთვის შეგვიძლია პროცედურები მხოლოდ ერთ კბილზე ჩავატაროთ და მეზობელ კბილებზე მხოლოდ მას შემდეგ გადავიდეთ, რაც დავრწმუნდებით, რომ ბავშვი ნაკლებ წინააღმდეგობას გვიწევს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს ყოველდღიური რუტინის შემადგენელ მოსაწყებ პროცედურად იქნება აღქმული, ჩვენი გარჯა უშედეგო აღმოჩნდება. თავიდანვე უნდა შევქმნათ ხალისიანი განწყობა და შევეცადოთ, ბავშვის დამოკიდებულება იყოს მაქსიმალურად პოზიტიური. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი მთავარი მიზანია, ბავშვმა პირის ღრუს მოვლის დამოუკიდებელი უნარ-ჩვევა გამოიმუშავოს! შეიძლება გამოვიყენოთ წამმზომიც, რათა ბავშვი თავად მიხვდეს, როდის უნდა დაასრულოს პროცედურა.

რეკომენდებულია პროცესის ვიზუალური გეგმის შედგენაც – თავად დავხატოთ ან ფოტოგრაფის გადავალებინოთ კბილების გამოხეხვის მინიჭებულოვანი ეტაპები და გავაკრათ კედელზე. ეს მეთოდი ბავშვს დასწავლაში დაეხმარება და არ ექნება გაუცხოვების განცდა. ნახატები შეიძლება იყოს ლამინირებული და მარკერით მოინიშნოს ყოველი შესრულებული პროცედურა. არსებობს სხვა ვარიანტებიც: ლამინირებული ფოტოები ქრონოლოგიურად განვალაგოთ და ეტაპობრივად ჩამოვილოთ ან დავკიდოთ და თითო-თითო გადავაპრუნოთ.

შვედეთში, უმეოს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ოდონტოლოგიისა და ბავშვთა სტომატოლოგიის განყოფილებაში ჩატარებული კვლევის თანახმად, პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესში, ფოტოების გამოყენების სისტემის ამუშავებიდან 12 თვეში, აუტიზმის მქონე ბავშვებში კარიესის განვითარების ინტენსივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 18 თვის შემდეგ კი მშობლებს მიღწეული შედეგების შენარჩუნება გაცილებით გაუმარტივდათ (12).

მნიშვნელოვანია, რომ გამოხეხვის თითოეულ ეტაპზე ბავშვი წახალისოთ და გამოვიყენოთ სხვა-დასხვა სახის განმამტკიცებლები, შეიძლება ეს იყოს ვერბალური წახალისებაც – შექება, განეული შრომის აღნიშვნა და დაფასება.

რეკომენდებულია, სწავლება ჩვეულებრივი ჯაგრისით დაგინაბოთ და შემდეგ ელექტრო- ჯაგრისით შევცვალოთ. ელექტრო-ჯაგრისი, რიგ შემთხვევებში, შეიძლება გაცილებით კომფორტული და ეფექტური აღმოჩნდეს, ვინაიდან, მექანიკურთან შედარებით, ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს.

სტომატოლოგთან ვიზიტი

ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი სტომატოლოგთან პირველი ვიზიტია. სადემონტრაციოდ კბილების პროფესიული წმენდის პროცედურა ავილოთ და დავყოთ ეტაპებად:

1. სტომატოლოგთან მისვლა:

განსაკუთრებული ყურადღება ვიზიტისთვის მომზადებას უნდა დაეთმოს. პირველ რიგში, მშობელმა სასურველი სტომატოლოგი უნდა შეარჩიოს და დეტალურად აუხსნას მას ბავშვის ქცევის თავისებურებები. ასა-ის მქონე ბავშვს შეიძლება ჰქონდეს მომატებული მგრძნობელობა გარკვეული სახის სტიმულზე – შეხებაზე, ხმაზე ან მხედველობით გამდიზანებელზე. ეს სტიმული შესაძლებელია ბავშვის ძლიერი შფოთვის მიზეზი გახდეს. ერთობლივად უნდა დაიგეგმოს ვიზიტის თარიღიც ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პაციენტის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა დღის იმ კონკრეტულ მონაკვეთში.

ექიმმა მშობლებს კლინიკის ფოტოები უნდა გადაუგზავნოს, რათა ბავშვს ჰქონდეს გარემოს მიმართ ნაცნობობის განცდა. შეიძლება წინასწარი ვიზიტებიც დაიგეგმოს – ბავშვმა დაათვალიეროს კლინიკა, შეეხოს და აიღოს სტომატოლოგიური ინსტუმენტები, გადაადგილოს ნივთები, მოირგოს და მოერგოს გარემოს. ამ პერიოდში, სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარება რეკომენდებული არ არის. ექიმი უნდა დაუმეგობრდეს პაციენტს და შეეცადოს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, იგი უნდა საუბრობდეს მშვიდად და დაბალ ტონალობაში.

მშობლებმა უნდა მიმართონ პროცედურის სიმულაციას: სახლში შესაბამისი ტექნიკური ალქურვილობის გამოყენებით, უნდა შექმნან პროცესის ანალოგი. შემდეგ კი ბავშვის კალენდარში პირველი ვიზიტის თარიღიც მოინიშნება. პირველ მანიპულაციებს, სასურველია, ბავშვისთვის საყვარელი ადამიანებიც ესწრებოდნენ, თან ჰქონდეს სასურველი სათამაშოც.

მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ დღის განრიგის ვიზუალური ცხრილი, სადაც ნახატებით ან ფოტოებით წარმოდგენილი იქნება ყველა ის აქტივობა, რომელიც სტომატოლოგთან ვიზიტის დროს არის დაგეგმილი.

მოსაცდელი



პირველ ნახატზე გამოსახული უნდა იყოს მოსაცდელი – „დაველოდოთ ექიმს“. გასათვალისწინებელია, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვს, რიგში დგომა შეიძლება დისკომფორტს უქმნიდეს, რადგან მას უკან მდგომი ადამიანის შეხების ეშინია. შეხების შეგრძნება შეიძლება ჰიპერ- და ჰიპომგრძნობელობას შორის ძალიან სწრაფად ვარირებდეს. ზემგრძნობელობის შემთხვევაში, თუნდაც უმნიშვნელო შეხება ძლიერ დარტყმად აღიქმება, რაც ფიზიკურ ტკივილთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეხება მოულოდნელი და დაუგეგმავია. ჰიპომგრძნობელობის დროს კი გამოხატული სენსორული შიმშილი გვაქვს. ამ

სავარძელებელი დაწყობა



დაწილებული



დროს ბავშვი ნოხზე ან ავეჯის ქვეშ შეიძლება დახოხავდეს და ასე ცდილობდეს შეხებით მიღებული შეგრძნების ალექმის გაძლიერებას. ამ შემთხვევაში, ძლიერი ჩახუტება საუკეთესო გამოსავალია.

2. მეორე ეტაპი – სავარძელზე დაჯდომა:

ასა-ის მქონე ბევრ ბავშვს გარკვეული დროის განმავლობაში მშვიდად ჯდომა შეუძლია, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა ეს ჩვევა გამომუშავებული. ამიტომ, დაგვჭირდება კონსულტაცია მშობლებთან, ძიძასთან, მასნავლებლებთან ან აღმზრდელთან, რათა გავარკვიოთ, რამდენი ხანი შეიძლება ბავშვი დაგვემორჩილოს ან რა საშუალებით შეიძლება ეს მოვახერხოთ. ამისათვის საჭიროა, ბავშვმა ზუსტად

იცოდეს, მისგან რას მოვითხოვთ, მისი ქცევა რას ემ-სახურება და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს აქტივობა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ქვიშის საათი ან ხმოვანი სიგნალი, თუმცა, წინასწარ დაგეგმილი რეგლამენტი არ უნდა დაირღვეს. აუტიზმის მქონე ადამიანების-თვის რუტინას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს (10). მათი გარემო მკაცრადაა სტრუქტურირებული და არ უყვართ მოულოდნელი ცვლილებები – ეს შეიძლება შფოთვის და ნეგატიური ემოციების მიზეზი გახდეს. „დროში გაწელილი“ გადასვლები ძალზე გამაღიზიანებლა – უმჯობესია, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელი შუალედური დრო იყოს მინიმალური. ამ შემთხვევაშიც ძალიან დაგვეხმარება დღის განრიგის ვიზუალური ცხრილი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კი, მოსალოდნელი ცვლილებების შეტყობინება საკმარისია, თუმცა, მხოლოდ ვერბალური ინსტრუქცია შეიძლება გაუგებარი და დამაბნეველი აღმოჩნდეს.

3. სათვალის მორგება:

სათვალის მორგება და სინათლის გასწორება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. ასა-ის მქონე ბავშვების მხედველობა განსხვავებულია, უფრო დეტალებზეა ორიენტირებული, მაგალითად, როცა უყურებს ტყეს, ის შეიძლება ხედავდეს ცალკეულ ხეებს, თუმცა ტყის, როგორც ერთი მთლიანობის აღქმა გაუჭირდეს. ასევე უჭირთ თვალით კონტაქტი, ბევრი ბავშვი გარშემოყოფებს თვალებში არას-

გავიკათოთ სათვალე



დროს უყურებს. მათი მხედველობა შეიძლება იმდენად ზემოქმნილიარე იყოს, რომ, მაგალითად, მკვეთრი სინათლე ფიზიკურ ტკივილს იწვევდეს, ეს ყველაფერი კი თვალის ან მხედველობის სიმკვეთრის პრობლემებთან არ არის დაკავშირებული. ამიტომ მნიშვნელოვანია, წინასწარ ვიცოდეთ ბავშვის მდგომარეობა და სტრატეგიები შესაბამისად დავსახოთ.

4. პირის გაღება:

უნდა ვასწავლოთ, რომ პირი გააღოს და ღია დატოვოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ისინი ვერ იგებენ აბსტრაქტულ შინაარსს და უჭირთ წარმოსახვა. ამიტომ, თუ კბილის დაბუნებასაც გადავწყვეტი, სასურველია, ვუჩვენოთ კბილის მულაჟი, რისი საშუალებითაც თავად ნახავს და გაეცნობა კბილის ანატომიურ აგენტებას, რადგან სიტყვიერი ახსნა-განმარტება უშედეგო იქნება.

ჩაუ ჰითი



შეგვიძლია ავუხსნათ, რომელ კბილზე ვაპირებთ სასურველი მანიპულაციის ჩატარებას და ამ პროცესში იგი თავადაც ჩავრთოთ. მაგალითად, გადავათვლევინოთ კბილები: პირველი, მეორე, მესამე... ამით ბავშვიც გახალისდება და ნარმოდგენაც შეექმნება. ასა-ის მქონე ბავშვებს შეიძლება კარგად განვითარებული ინტელექტუალური უნარები ჰქონდეთ, განსაკუთრებით მათემატიკაში. მათ შორის ხშირად არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანებიც, რამაც გადაჭარბებული პოზიტიური მოლოდინებიც შექმნა და აუტიზმთან დაკავშირებული სტიგმა გაამყარა. რეალურად, მათი უმრავლესობა, თანატოლებისგან ინტელექტუალური განვითარებით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. სასურველია, ბავშვის გონებრივი განვითარების დონის შესახებ

დავთავოთ ჩატარები

1..2...3....




ინფორმაცია სტომატოლოგმა წინასწარ მიიღოს და მკურნალობის პროცესში მისი ჩართვის გეგმა ამის მიხედვით შეიმუშავოს.

5. კბილების გაწმენდა:

სასურველია, ინსტრუმენტის პირის ღრუში შეტანამდე ბავშვს საშუალება მივცეთ, მას ხელი მოჰკიდოს, გაეცნოს და დაათვალიეროს. მნიშვნელოვანია, შევამციროთ ბორმანქანის ხმა (თუ გვაქვს ამის შესაძლებლობა), მაქსიმალურად დავახშოთ ხმაურის ყველა წყარო, რადგან ასა-ის მქონე პაციენტს შეიძლება ხმების დიფერენცირება უჭირდეს, ვერ ანსხ-

გაისახის გამოართა



ვავებდეს ახლო და შორ ხმებს და ყველაფერი ერთ ტონალობაში ესმოდეს, ზოგიერთმა ხმამ შეიძლება ფიზიკური ტკივილი მიაყენოს და თუ ეს ხმა მოულოდნელია – შიშიც მოჰკვაროს. ეს კი საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ბავშვმა პრობლემური ქცევა გამოავლინოს და ამით მკურნალობის პროცესი შეფერხდეს.

ბოლო ეტაპზე, განრიგის ფოტოებზე ასახული უნდა იყოს პირის ღრუში წყლის გამოვლების და **შერჩეული განმამტკიცებლის გამოყენების** პროცესი. გან-

ცყლის გამოვლება



მამტკიცებლის შერჩევისას ქცევის მართვის სტრატეგიით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომელიც ქცევის დეტალური აღწერილობით და ფუნქციური ანალიზით, განმაპირობებელი სტიმულის და მოსალოდნელი შედეგების მოდიფიკაციით მის ცვლილებას ემსახურება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია განმამტკიცებლის

მშობელთან ერთად შერჩევა ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

განმტკიცება არის პროცესი, როცა ქცევა თანმ-დევი შედეგის გამო ძლიერდება. განმამტკიცებელი კი ორი სახის არსებობს: დადებითი (ჩვენთვის სასურველი ქცევის ბავშვისათვის სასიამოვნო ჯილდოთი განმტკიცება, რომელიც ასეთი ქცევის განმეორების ალბათობას გაზრდის) და უარყოფითი (ჩვენთვის არა-სასურველი ქცევის იგნორირება, არდაჯილდოვება,



რაც შემდგომში ამ ქცევის შესუსტებას და თანდათან ჩაქრობას გამოიწვევს).

ტრადიციულად, ქცევით თერაპიაში, ხუთი სახის დადებითი განმამტკიცებელი არსებობს:

1. კვებითი, რომელიც უნივერსალური განმამტკიცებელია, თუმცა ასა-ის მქონე ბავშვებთან რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. აუტიზმის მქონე ბავშვთა რაციონში, როგორც წესი, სულ რამდენიმე კერძი შედის. შესაძლებელია, ცხელი და ცივი საკვები ან მისი კონსისტენცია და გემო იმდენად გამაღიზიანებელი იყოს, მტკიცებულიც კი აღმოჩნდეს.
2. მატერიალური (საჩუქარი, სასურველი ნივთი)
3. აქტივობითი (სასურველი თამაში, საყვარელ ადგილს გასეირნება და ა.შ.)
4. გადაცვლადი (როცა ხდება ე.წ. ვარსკვლავების ან სიცილაკების შეგროვება, გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ კი მშობელი გადაუცვლის სასურველ განმამტკიცებელში)
5. სოციალური (გაღიმება, შექება, დაჯილდოვება).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უნივერსალური განმამტკიცებელი არ არსებობს. მისი

ეფექტურობა დამოკიდებულია ასაკზე, სქესზე, კულტურაზე, წარსულ გამოცდილებაზე, ინტერესებსა და სხვა ფაქტორებზე; ის უნდა იყოს დროული და შეზღუდული. აქვე უნდა გავითვალისწინოთ მოყირჭების (მოპეზრების) შესაძლებლობაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევების თანახმად, მკურნალობის და ქცევის დასწავლის პროცესში განმამტკიცებლების ჩართვის გარეშე მიღებული შედეგები არაეფექტური იქნება (11). ამერიკელი სტომატოლოგების 95%, რომლებიც ასა-ის მქონე პაციენტებთან მუშაობენ, სწორედ განმამტკიცებლის გამოყენების საშუალებით ქცევის მართვის სტრატეგიებით ხელმძღვანელობენ (7).

დასკვნა და ზოგადი რეკომენდაციები:

ასა-ის მქონე ბავშვების სტომატოლოგიური მომსახურება ზოგადი პროფესიონალის პროფესიონალის მიერ არის შესაძლებელი. ამ ბავშვებისთვის სტომატოლოგთან ვიზიტი განსაკუთრებული პროცესია, რომელიც მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე უნდა იყოს მორგებული. ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალმა აუცილებლად უნდა იცოდეს ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები და მკურნალობა არსებული რეკომენდაციების შესაბამისად წარმართოს:

1. ასა-ის მქონე ბავშვებისთვის სტომატოლოგიური ვიზიტის დაგეგმვა მშობელთან ერთად უნდა მოხდეს. ბავშვი წინასწარ უნდა შეეგუოს კლინიკის გარემოს და მკურნალობის ცალკეულ პროცედურებს.
2. ექიმმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის მომატებული მგრძნობელობა კონკრეტული სტიმულების მიმართ და მისი მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა.
3. მკურნალობის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას აქტივობათა ვიზუალური ცხრილი და განმამტკიცებლების შერჩევისას უნდა მოხდეს ქცევის მართვის სტრატეგიებით ხელმძღვანელობა.

საკვანძო სიტყვები: სტომატოლოგია, აუტისტური სპეციალისტი, აშლილობის მქონე ბავშვები, ინფორმირებულობის დაბალი დონე, სტომატოლოგთან ვიზიტის სიმულაცია, აქტივობათა ვიზუალიზაცია, ქცევის განმამტკიცებელი, მშობელთა ჩართულობა.

პიპლიორგრაფია

1. Autism Speaks™ . Dental Guide. 2010. (Colgate, PHILIPS Sonicare Toothbrush)/ www.autismspeaks.org
2. Baron-Cohen S. The cognitive neuroscience of autism. J Neurol Neurosurg Psychiatry 2004; 75(7):945–8.
3. Casamassimo PS, Seale NS. Access to dental care for children in the United States: a survey of general practitioners. J Am Dent Assoc 2003; 134:1630–40
4. Centers for Disease Control and Prevention. Prevalence of autism spectrum disorders: autism and developmental disabilities monitoring network, six sites, United States, 2000. MMWR Surveill Summ 2007; 56(1):1–11
5. Dao LP, Zwetchkenbaum S, Inglehart MR. General dentists and special needs patients: does dental education matter? J Dent Educ 2005; 69(10):1107–15.
6. DeLucia LM, Davis EL. Dental students' attitudes toward the care of individuals with intellectual disabilities: relationship between instruction and experience. J Dent Educ 2009; 73(4):445–53.
7. Dental Education and Dentists' Attitudes and Behavior Concerning Patients with Autism. Taryn N. Weil and Marita R. Inglehart, Dr.phil.habil. Journal of Dental Education. December 1, 2010 vol. 74 no. 12 1294-1307
8. Early Intervention for Autism Spectrum Disorders: A Critical Analysis By Johnny L. Matson, Noha F. Minshawi. 2006.
9. Green D, Flanagan D. Understanding the autistic dental patient. Gen Dent 2008; 56(2):167–71. Medline
10. International Statistical Classification of Diseases and Related Health Problems 10th Revision. World Health Organization. <http://www.who.int/classifications>
11. Johnson CD, Matt MK, Dennison D, Brown RS, Koh S. Preventing factitious gingival injury in an autistic patient. The journal of the American Dental Association. 1996;127:244-7.
12. Johnson CP, Myers SM, Council on Children with Disabilities. Identification and evaluation of children with autism spectrum disorders. Pediatrics 2007; 120(5):1183–215
13. Marshall J, Sheller B, Williams BJ, Mancl L, Cowan C. Cooperation predictors for dental patients with autism. Pediatr Dent 2007; 29(5):369–76.
14. Mohamed Abdullah Jaber, Dental caries experience, oral health status and treatment needs of dental patients with autism, Journal of Applied Oral Science, vol.19 no.3 Bauru May/June 2011
15. Pilebro C, Bäckman B. Teaching oral hygiene to children with autism. Int J Paediatr Dent. 2005;15:1-9
16. The Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders (DSM). DSM-IV (1994). A "text revision".American Psychiatric Association.
17. Waldman HB, Perlman SP, Wong A. Providing dental care for the patient with autism. J Calif Dent Assoc 2008; 36(9):662–70
18. Wolff AJ, Waldman HB, Milano M, Perlman SP. Dental students' experiences with and attitudes toward people with mental retardation. J Am Dent Assoc 2004; 135: 353–7.

Abstract

DENTAL DISEASES AND TREATMENT FEATURES IN CHILDREN WITH AUTISM SPECTRUM DISORDER

**Zurab Alkhanishvili – Doctor of Dental Medicine; President of Scientific Research Center “Radix”
Maia Osipova-Schöneich – Neuropsychologist, PhD in Psychology, visiting professor at faculty of
Physical Medicine and Rehabilitation in Tbilisi State Medical University**

Oral health is a very important component of healthy daily living. But for some children with autism oral health habits can be challenging. It can be due to the lack of awareness on dental care of persons with autism spectrum in health care professionals.

The article provides additional information for dental professionals about autism and what they can do to make each visit more successful. There is also information for families and caregivers on how to prepare for a dental visit, forms to use for the visit, and a visual schedule that can be used to help the child understand the steps involved in a routine dentist appointment. Information on oral care at home is also included.

NEW LINE DENTAL

ნუ ლანე დენტალ



Blue X imaging S.r.l



DEXCOWIN CO., Ltd

CREAMCO 3PORCELKIN

ტელ: [995 599] 97 34 98
[995 599] 17 21 70

new-line@new-line.com.ge
www.new-line.com.ge

აღმოჩენის რეაქცია და მათგან სტომატოლოგიაზე

ძალაში გოგილაშვილი

მედ. მეცნ. დოქტ., პროფესორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სტომატოლოგიური კლინიკა „Cedex“

გვარი ტაბაშვა

მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სტომატოლოგიური კლინიკა „Cedex“

21-ე საუკუნის დასაწყისში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, ალერგიულ დაავადებათა გავრცელების ზრდის ტენდენცია აღინიშნება. საერთაშორისო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო მოსახლეობის 35%-ს სხვადასხვა სახის ალერგიული დაავადება ანუსებს (European Allergy White Paper, 1997, 2005), მათ შორის 20%-ზე მეტი დაავადებულია იმუნოგლობულინ Ig E-ით გაშუალებული სწრაფი (დაუყოვნებელი) ტიპის ალერგიული რეაქციებით მიმდინარე ისეთი დაავადებებით, როგორიცაა ალერგიული ასთმა, პოლინიზი, ატოპიური დერმატიტი, ანაფილაქსიური შოკი და სხვა (WAO-ალერგიის მსოფლიო ორგანიზაცია, 2005).

ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა განმარტებით, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, ამის მიზეზი გაუარესებული გარემო პირობები გახლავთ: არაჯანსალი კვება, დაბინძურებული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ბუნებაში ტოქსიკური ნივთიერებების დასაშვებ ზღვარზე მაღალი მაჩვენებელი.

უახლესი სტატისტიკით, დედამიწის მოსახლეობის ყოველ მეათე ადამიანს ალერგიული დაავადება აღნიშნება. ბოლო 20 წლის მანძილზე ალერგიით დაავადებულთა რიცხვი 4-ჯერ გაიზარდა. WAO-ს მონაცემებით (World Allergy Organization) ალერგიული დაავადებები გავრცელების მიხედვით მთელ მსოფლიოში მე-3 ადგილს იკავებს.

სწორედ ამიტომ, ალერგიას სამართლიანად მიიჩნევენ თანამედროვე ცივილიზაციის დაავადებად და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმნიშვნელოვანეს

პრობლემად, რომელსაც სერიოზული ზეგავლენა აქვს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.


განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სტომატოლოგიურ კაბინეტში განვითარებული

ალერგიული რეაქციების მენეჯმენტი ექიმი-სტომატოლოგისა და დამხმარე პრესონალის მიერ. ევროპის უკანასკნელი მონაცემებით, გადაუდებელი სამედიცინო საჭიროების შემთხვევები სტომატოლოგიურ კაბინეტში ხშირად აღინიშნება. კერძოდ, ერთი წლის განმავლობაში ექიმ-სტომატოლოგთა 57%-ს დასჭირდა 3-ზე მეტი, ხოლო 36%-ს 10-ზე მეტი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა პაციენტისთვის სტომატოლოგიურ კაბინეტში (**A statement from The Resuscitation Council UK, revised february, 2012**).


ალედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი პრაქტიკოსი ექიმი-სტომატოლოგი იყოს მზად, სწრაფად და მიზანმიმდართულად მოახდინოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სტომატოლოგიურ კაბინეტში.

ალერგია – ისტორიული მიმოხილვა. ალერგიას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იცნობდნენ. ჩვ.წ-მდე 2641 წელს აღნერილ იქნა ანაფილაქსის შემთხვევა, რომლის მსხვერპლი ფარაონი მენესი (Menes) გახდა. ჰიპოკრატე თავის ნაშრომებში ზოგიერთი საკვების მიღების შემდეგ კანზე გაჩენილ ავადმყოფურ გამონაყარს მოიხსენიებს.

თუმცა, თავად ტერმინი „ალერგია“ მედიცინაში ავსტრალიელი მეცნიერის, პედიატრის, კლემენს ფონ პირკეს (Clemens Von Pirquet 1874-1929) მიერ 1906 წელს დაინირგა. მან პირველმა შეამჩნია პაციენტები ალერგიული გამოვლინებანი და იგარაუდა, რომ ისინი გარეგან ფაქტორთა (მტვრის ნაწილაკები, მცენარეთა მტვერი და ზოგიერთი საკვები) ზემოქმედების შედეგი იყო. პრობლემის შესწავლის შემდეგ პირკემ დაასკვნა, რომ ეს პაციენტები იყვნენ „Anders reagirendes“ ანუ, გასხვავებულად მორეაგირები. აღ-




ფარაონი მენესი ჩვ.წ-მდე 2641



ჰიპოკრატე ჩვ.წ-მდე 460-377

ნიშნულის საფუძველზე
მან მოგვაწოდა ტერ-
მინი „ალერგია“. „Allos“
– ბერძული სიტყვაა და
ნიშნავს განსხვავებულს
ან შეცვლილს, „ergos“
– ქმედებას. 1906 წელს
უურნალ „München Medi-
zinische Wochenschrift“-ში
მისი სტატია დაიბეჭდა,
სადაც პირკე წერდა:
„რეაქტიულობის ცვლი-
ლების ზოგადი პრინციპების გამო მე გთავაზობთ ტერ-
მინს „ალერგია“ – ვინაიდან „Allos“ ნიშნავს გადახრას
ინდივიდების ნორმალური ქცევიდან...“



ალნიშნული ტერმინის შემოღებამ მეცნიერებს
აქტიური კვლევების განხორციელებისკენ უბიძგა და
ალერგიის, როგორც დაავადების უფრო ღრმად შესწა-
ვლისკენ მოუწოდა.

რა არის ალერგია? EAACI-სა (European Academy of Allergy and Clinical Immunology) და WAO-ს ნომენკლა-
ტურის მიხედვით, **ალერგია არის ზემოქმნებელობის**
რეაქცია, რომელიც იმუნოლოგიური მექანიზმებითაა
განპირობებული.

ალერგიული დაავადებები იმუნური პასუხის რე-
გულაციის დარღვევით ხასიათდება. ასე, რომ ალერ-
გია იმუნოლოგიური რეაქტიულობის პათოლოგიური
ფორმაა.

ეტიოლოგია. ალერგია ორგანიზმზე ე.წ ალერგე-
ნის ზემოქმედების შედეგად ვითარდება. ალერგენები
ანტიგენური თვისებების მქონე ნივთიერებებია, რომ-
ლებიც ორგანიზმი ჰუმორულ და უჯრედულ იმუნურ
პასუხს იწვევს.

ალერგენები ორგანიზმში შესაძლებელია რესპი-
რაციული, ალიმენტური, კონტაქტური, პარენტერული,
ტრანსპლანტაციური გზით მოხვდეს.

ალერგიის იმუნური მექანიზმები. ალერგიის განვი-
თარების იმუნოლოგიურ მექანიზმში ალერგენებთან
ერთად მონანილებას ანტისხეულები იღებს. ალერ-
გია ეს არის ანტისხეულებით გაშუალებული იმუნუ-
რი რეაქცია. უმრავლეს შემთხვევაში ანტისხეულები,
რომლებიც ტიპიურად პასუხისმგებელია ალერგიული
რეაქციის განვითარებაზე, IgE იზოტიპს წარმოადგენს
და IgE-თი გაშუალებულ ალერგიას განაპირობებს,
თუმცა „ალერგიულ“ პირებში არა მხოლოდ IgE-თი
განპირობებული ალერგიები გვხვდება.

ალერგიული რეაქციების განვითარების სისწრაფის
მიხედვით ალერგიული რეაქციის 3 ტიპს გამოყოფენ:

- დაუყოვნებელი – ანტიგენის განმეორებითი შეყ-
ვანისას დაუყოვნებლივ განვითარებული ანტიგენ-
ანტისხეულის რეაქცია.
- მოგვიანებითი – ალერგიული რეაქცია ვლინდება
რამდენიმე საათის შემდეგ, მაგრამ არაუგვანეს
5-6 საათისა.
- დაყოვნებული – ალერგენის განმეორებითი შეყვა-
ნისას ალერგიული რეაქცია ვითარდება რამდენიმე
საათის, ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში.
ალერგიული რეაქციის 3 სტადიას განასხვავებენ:
იმუნოლოგიური, პათოქიმიური, პათოფიზიოლოგიური
(ფუნქციური და სტრუქტურული დაზიანების).
- იმუნოლოგიური სტადია – ალერგენის და ორგა-
ნიზმის პირველი კონტაქტით იწყება და ანტიგენ-
ანტისხეულით და/ან სენსიბილიზებული ლიმ-
ფოციტების ურთიერთქმედებით მთავრდება. ამ
დროს ორგანიზმი განიცდის სენსიბილიზაციას –
მგრძნობელობის მომატებას ანტიგენური ბუნების
მქონე ნივთიერების ზემოქმედებაზე. **ალერგიული**
რეაქცია კლინიკურად ამ დროს არ ვლინდება.
- პათოქიმიური სტადია – იწყება იმუნოლოგიური
სტადიის დასასრულს და ანტიგენ-ანტისხეულის
რეაქციის შედეგად დაზიანებული უჯრედებიდან
ალერგიის მედიატორების გამოყოფით სრულდება.
- პათოფიზიოლოგიური ცვლილებები – ვლინდება
ალერგიის მეორე სტადიაში გამოყოფილი ბიოლო-
გიურად აქტიური ნივთიერებების ზემოქმედების
შედეგად უჯრედების, ქსოვილების, სისტემების
მიმართ და ადგილობრივად ქსოვილებში ანთებითი
ხასიათის ცვლილებების განვითარებით ხასიათდე-
ბა: უჯრედის მემბრანის, სისხლძარღვების კედლე-
ბის განვლადობის გაზრდა, ქსოვილების შეშუპება,
ორგანოებისა და ქსოვილების კუნთოვანი უჯრე-
დების შეკუმშვა, ჯირკვლების პიპერსეკრეცია,
ნერვული რეცეპტორების გაღიზიანება.

ანაფილაქსიური შოკი

ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა
ევროპული აკადემიის დეფინიციით ანაფილაქსიური
შოკი არის უმძიმესი, სიცოცხლისათვის საშიში, გენე-
რალიზებული ან სისტემური, დაუყოვნებელი ტიპის,
IgE-თი გაშუალებული ჰიპერმგრძნობელობის რეაქცია.

ანაფილაქსიური შოკი განსხვავდება ანაფილაქ-
ტოიდური რეაქციისგან. ანაფილაქტოიდური რეაქ-
ცია – ეს არის არა IgE-თი გაშუალებული რეაქცია.
ამ შემთხვევაში გარკვეულმა ალერგენმა შესაძლოა
მოახდინოს პოზიერი უჯრედის დეგრანულაცია ქიმიუ-
რად აქტიური მედიატორების გამონთავისუფლებით,


საწყისი მედიატორის IgE-ს გარეშე.

გარდა ამისა, ანაფილაქტონიდური რეაქციის განვითარება ყოველთვის არის დოზადამოკიდებული განსხვავებით ანაფილაქსისგან, რომლის განვითარებაში ალერგენის არც დოზა და არც ორგნიზმში შეყვანის გზა გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. შოკის განვითარებისთვის ანტიგენის უმნიშვნელო რაოდენობაც კი საკმარისია, თუმცა დიდი დოზა რამდენადმე ამძიმებს შოკის მიმდინარეობას და ახანგრძლივებს მას.

პრაქტიკოსი ექიმი-სტომატოლოგისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ანაფილაქტონიდური რეაქციის კლინიკური სურათი და მართვის მენეჯმენტი ანაფილაქსის იდენტურია.

სიმპტომები

- ურტიკარია, ერითემა, რინიტი, კონიუქტივიტი;
- ხშირად აღინიშნება ჰიპერემია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მოგვიანებით შეიძლება ციანოზი განვითარდეს;
- ჰიპოვოლემია იქვევს წნევის დაქვეითებას და კოლაფსას. შეიძლება განვითარდეს გულის შეტევა;
- ზედა სასუნთქ გზებზე შესაძლოა კვინკეს ანგიონევროზული შეშუპების და ბრონქოსპაზმის განვითარება, რაც იწვევს ხმის ტემპრის შეცვლას;
- სუნთქვის მძიმე დარღვევებმა შესაძლებელია გულის შეტევა გამოიწვიოს;
- მუცლის არეში ტკივილი, გულისრევა, დიარეა, სიკვდილის შიში.



ანაფილაქსიური შოკი
ცნობიერების დაკარგვა;
ჰიპერემია, ურტიკარია;
ენის შეშუპება;
ბრონქოსპაზმი.

ანაფილაქსის უტყუარი ნიშნები. ანაფილაქსიური შოკის ნიშნები და სიმპტომები საკმაოდ ბევრია, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის უშუალოდ მხოლოდ ანაფილაქსიური შოკისთვის სპეციფიკური, თუმცა, გარკვეული ნიშნების კომბინაცია უფრო კონკრეტულად მიუთითებს ანაფილაქსიური შოკის არსებობაზე.

ანაფილაქსიური შოკის შემთხვევაში ერთდროულად სამი სიმპტომი ვლინდება:

- სიმპტომების უეცარი დაწყება და სწრაფი პროგრესირება;

- სიცოცხლისთვის საშიში – სასუნთქი გზების, სუნთქვის და სისხლის ცირკულაციის პრობლემები (Airway, Breathing, Circulation problems);
- კანისა და/ან ლორწოვანი გარსის ცელილებები (ჰიპერემია, ურტიკარია, ანგიონევროზული შეშუპება – ანგიოედემა)

მკურნალობა. ანაფილაქსიური შოკის განვითარების შემთხვევაში, მკურნალი ექიმის მიერ ჩატარებული ღონისძიებები უნდა იყოს სისტემური და მიმართული სიცოცხლისათვის საშიში პრობლემების აღმოსაფხვრელად. მკურნალობის ძირითადი პრინციპები ერთნაირია ნებისმიერი ასაკის პაციენტისთვის.

ანაფილაქსიური შოკის განვითარების დროს, პირველ რიგში შემდეგი ზოგადი პრინციპებით იხელმძღვანელეთ:

- უმკურნალე სიცოცხლისთვის საშიშ სიმპტომებს, როგორც კი მოახდენ მათ იდენტიფიკაცია!
- შეაფასე იმ დახმარების ეფექტი წინასწარ, რასაც უწევ ჟაციენტს!
- დროულად გააცნობიერე დამატებითი დახმარების საჭიროება და გამოიძახე სასწრაფო დახმარება, რაც შეიძლება დროულად!
- დაიხმარე შენი სტომატოლოგიური კლინიკის გუნდის წევრები – ეს რამდენიმე გადაუდებელი ღონისძიების ერთდროულად ჩატარების საშუალებას მოგცემს!
- იქონიე დახმარე გუნდთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია!
- გაითვალისწინე, რომ შენს მიერ განეული პირველადი დახმარება პაციენტისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ის სასწრაფო დახმარების მოსვლამდე პაციენტისთვის სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებას მოგცემს!

პირველი ნაბიჯი...

- შეინარჩუნეთ სიმშვიდე, დარწმუნდით რომ თქვენ და თქვენს ორგვლივ მყოფი ადამიანები უსაფრთხოდ არიან!
- შეაფასეთ პაციენტის ზოგადი მდგომარეობა შემდეგი მანიპულაციით: გონზე მყოფ პაციენტს ჰქონეთ – „როგორ ხართ?“, თუ პაციენტი კითხვაზე არ გპასუხობთ, კითხვა გაუმეორეთ. პაციენტის ნორმალური პასუხი კითხვაზე მიუთითებს, რომ სასუნთქი გზები სუფთა და გამავალია, პაციენტი კარგად სუნთქვს და ცნობიერება შენარჩუნებულია! თუ პაციენტი მოკლე წინადადებებით გპასუხობთ, შესაძლოა მას სუნთვის პრობლემები აღენიშნებოდეს! პასუხის გაცემის შეუძლებლობა, სუსტი პულსი და სასიცოცხლო ნიშნების არარსე-

ბობა პაციენტის ცუდად ყოფნაზე მიუთითებს და ასეთ შემთხვევაში სარეანიმაციო ღონისძიებები დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს!

როგორ უნდა მოთავსდეს პაციენტი სავარძელში ანაფილაქსიური შოკის განვითარების შემთხვევაში? პაციენტი სავარძელში აუცილებლად უნდა მოთავსდეს მისთვის კომფორტულ პოზიციაში, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

- პორიზონტალური მდგომარეობა, ანეული ქვედა კიდურებით იმ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ცირკულაციის პრობლემა, დაბალი წნევა. თუკი პაციენტი თავს გრძნობს სუსტად, არ შეიძლება მისი ფეხზე დგომა ან ჯდომა – ეს შესაძლოა გუ-

ლის შეტევის მიზეზი გახდეს;

- სუნთქვის და სასუნთქი გზების პრობლემების მქონე პაციენტებში, სუნთქვის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლოა უპირატესობა ჯდომით მდგომარეობას მიენიჭოს (ეს უკანასკნელი აადვილებს სუნთქვის პროცესს);
- ფეხმძიმე პაციენტები, ქვემო ღრუ ვენის კომპრესიის თავიდან ასაცილებლად, მარცხენა გვერდზე უნდა მოთავსდნენ;
- პაციენტები, რომლებსაც სუნთქვის პრობლემები არ გააჩნია, მაგრამ ცნობიერება აქვთ დაკარგული, უმჯობესია იყვნენ პორიზონტალურ და გვერდით მხარზე გადაწვენილ მდგომარეობაში.

ანაფილაქსიური შოკის გართვის აღზორითობი


(A statement from The Resuscitation Council UK, FOR DENTAL PRACTITIONERS AND DENTAL CARE PROFESSIONALS IN GENERAL DENTAL PRACTICE, revised february 2012).



1. პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება



2. პულსის შემოწმება



3. წნევის გაზომვა



4. პაციენტის გადაყვანა ტრენდელენბურგის პოზიციაში



3. წნევის გაზომვა



6. ადრენალინის საინექციო დოზის მომზადება



5. ანაფილაქსიური შოკის მართვის კარატის გახსნა



7. გლუკოკორიკოსტეროიდის საინექციო დოზის მომზადება

- სიცოცხლისთვის აუცილებელი ABC (Airway, Breathing, Circulation) ნიშნების შეფასება
- ზუსტი დიაგნოსტირება – უტყუარი სიმპტომოკომპლექსის არსებობა:
 - სიმპტომების უცარი დაწყება და სწრაფი პროგრესირება;
 - სიცოცხლისთვის საშიში პრობლემები – სასუნთქვის, სუნთქვის და სისხლის ცირკულაციის დარღვევა;
 - კანისა და/ან ლორწოვანი გარსის ცვლილებები;
- სასწრაფო დახმარების გამოძახება
- პაციენტის გადაყვანა ჰორიზონტალურ პოზიციაში
- ქვედა კიდურების ზევით აწევა
- ადრენალინის ინტრამუსკულური (IM) ან ინტრავენური (IV) ინექცია
შესაბამისი კვალიფიკაციის და აღჭურვილობის არსებობის შემთხვევაში
- ანტიკლისტამინის IM ან IV ინექცია
- გლუკოკორტიკოსტეროიდების IM ან IV ინექცია



8. ანტიკლისტამინის საინექციო დოზის მომზადება



9. საინექციო მიღამოს არეში კანის ანტისეპტიკური დამუშავება



10. ადრენალინის IM ან IV ინექცია



11. გლუკოკორტიკოსტეროიდისა და ანტიკლისტამინის IM ინექცია



13. კოლონიდური ხსნარის გადასასხმელი სისტემის დაყენება



12. კოლონიდური ხსნარის გადასასხმელი სისტემის დაყენება



14. ჟანგბადის ნილბის მორგება

15. O₂-ის მაღალი ნაკადით მიწოდება

- O₂-ის მაღალი ნაკადით მიწოდება
- კოლონიდური ხსნარის გადასხმა
- სასუნთქვი გზების გახსნა

ადრენალინის IM, IV საინექციო დოზები

IM ინექცია (1:1000)	1 მკგ/კგ	50 მკგ/0.5 მლ	150 მკგ/0.15 მლ	300 მკგ/0.3 მლ	500 მკგ/0.5 მლ
მოზარდი					✓
ბავშვი 12+ წ					✓
ბავშვი 6-12 წ				✓	
ბავშვი 6 წ-მდე			✓		
IV ინექცია (1:10.000)					
მოზარდი		✓			
ბავშვი	✓				

თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ინექცია გაიმეორეთ ყოველ 5 წუთში! Max. 5 მლ

განზავება 1:1000 (= 1000 მკგ ადრენალინი 1 მლ-ში)
განზავება 1: 10, 000 (= 100 მკგ ადრენალინი 1 მლ-ში)

ანტიჰისტამინების და კორტიკოსტეროიდების IM, IV საინექციო დოზა

IM, IV ინექცია	ანტიჰისტამინი (Chlorphenamine)	გლუკოკორტიკოსტეროიდი (Hydrocortisone)
მოზარდები, ბავშვები 12+ წ	10 მგ	200 მგ
ბავშვები 6-12 წ	5 მგ	100 მგ
ბავშვები 6 თვე - 6 წ	2.5 მგ	50 მგ
ბავშვები 0-6 თვე	250 მგ	25 მგ

კოლოიდური ხსნარის დოზირება

IV კოლოიდური ხსნარი	500/1000 მლ	20 მლ/კგ
მოზარდები	✓	
ბავშვები		✓



16. სასუნთქი გზების გახსნა



სასუნთქი გზების გასახსნელად საჭირო
ინსტრუმენტთა ნაკრები

კვინვას აგიონევროზული შემუავა (აგიონედება)

აღნიშნული პათოლოგია პირველად აღწერა გერმანელმა ექიმმა, ჰენრიჰ კვინვემ (1842-1922), რომლის გვარიც სახელად დაერქვა ამ დაავადებას.

ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ევრო-

პული აკადემიის დეფინიციით, კვინვეს შეშუპება წარმოადგენს მწვავე, სიცოცხლისთვის საშიშ ალერგიულ რეაქციას, რომლის დამახასიათებელი ნიშანი კანის, კანქვეშა უჯრედისის, ფასციების და კუნთების უცარი შეშუპებაა. აღნიშნული მდგომარეობა შესაძლოა ნებისმიერ ასაკში განვითარდეს. კვინვეს შეშუპება თავისი ბუნებით ძალიან წააგავს ჭინჭრის ციებას და მისგან მხოლოდ კანის და ლორწოვან გარსთა დაზიანების სილრმით განსხვავდება. ძალიან ხშირად კვინვეს შეშუპება და ჭინჭრის ციება ერთდროულად ვლინდება.

იმუნოლოგიური მექანიზმი. კვინვეს შეშუპებას დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქცია უდევს საფუძვლად. ქსოვილების შეშუპება გამოწვეულია სისხლძარღვთა მომატებული გამტარობით, რასაც ალერგენთან კონტაქტის დროს სენსიბილიზებული პონიერი უჯრედებიდან და ბაზოფილებიდან მედიატორების (ჰისტამინი, პროსტაგლანდინები, ლეიკოტრინები, ციტოკინები და სხვ.) გამოყოფა განაპირობებს.

სიმპტომები. კვინვეს შეშუპება ყველაზე ხშირად ფაშარი უჯრედისის მქონე ადგილებში ვითარდება, ესენია - ტუჩები, ქუთუთოები, ლოყები, პირის ღრუს ლორწოვანი გარსი. შეშუპება მკვრივია (ზენოლისას კანის ზედაპირი არ იჭყლიტება), რადგან შეშუპებითი სითხე დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას.

დამახასიათებელი ნიშნები:

- თვალის და პირის ღრუს მიდამოს შეშუპება;
- თვალის ლორწოვანი გარსის შეშუპება;
- სუნთქვის გაძნელება;
- მუცლის სპაზმური შეკუმშვა.

აღსანიშნავია, რომ კვინვეს შეშუპების დროს კანი ხდება ელასტიკური, მოთეთრო ფერის, იშვიათად მოვარდისფრო. სუბიექტური შეგრძნება არ ფიქსირდება. უმეტეს შემთხვევაში, კვინვეს შეშუპება რამდენიმე საათიდან 2-3 დღემდე შეიძლება შენარჩუნდეს. დაავადებამ რიგ შემთხვევაში შესაძლოა სიცოცხლისთვის სახიფათო ფორმები მიიღოს.

სტომატოლოგიურ პრაქტიკაში განსაკუთრებით საშიშია კვინვეს შეშუპება ხორხის მიდამოში (ვითარდება შემთხვევათა 30%-ში). ამ დროს პაციენტს ეცვლება ხმის ტემპრი, უვითარდება „მყეფავი“ ხველა, უჩნდება ქოშინი და უჭირს სუნთქვა, სახე ხდება ციანოზური. აღნიშნულ შემთხვევაში პაციენტისთვის აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ხორხის მიდამოში განვითარებული შეშუპების დროს მოსალოდნელია სტენოზის და ასფიქსიის განვითარება, ამ ტენის შეშუპება, რაც შესაძლოა ლეტალური გამოსავალით დასრულდეს.

კვინკეს შეზუაების მაურნალობის აღმოჩითი

(A statement from The Resuscitation Council UK,
FOR DENTAL PRACTITIONERS AND DENTAL
CARE PROFESSIONALS IN GENERAL DENTAL PRACTICE,
revised february 2012).

- სიცოცხლისათვის აუცილებელი ABC (Airway, Breathing, Circulation) ნიშნების შეფასება
- ზუსტი დიაგნოსტირება – უტყუარი სიმპტომების პლექსის არსებობა:
 - თვალისა და პირის ღრუს მიდამოს შეშუპება;
 - თვალის ლორწოვანი გარსის შეშუპება;
 - სუნთქვის გაძნელება;
- სასწრაფო დახმარების გამოძახება
- ჰაციენტის გადაყვანა ჰორიზონტალურ პოზიციაში
 - თავის ოდნავ უკან გადაწევა
 - ადრენალინის IM ან IV ინექცია

შესაბამისი კვალი-ფიკაციის და აღჭურ-ვილობის არსებობის შემთხვევაში



კვინკეს ანგიოენეროზული შეშუპება

- ანტიჰისტამინების IM ან IV ინექცია
- გლუკოკორტიკოსტეროიდების IM ან IV ინექცია
- O₂-ის მაღალი ნაკადით მიწოდება
- კოლოიდური ხსნარის გადასხმა
- სასუნთქი გზების გახსნა

პიპლიოგრაფია

1. ბაზისური და კლინიკური ენდოდონტია, ქ. გოგი-ლაშვილი, ს. სამხარაძე, 2012
2. Angioedema, GLORIA Module 7, Allen P. Kaplan, Timothy J. Craig, USA 2011;
3. Emergency treatment of anaphylactic reactions, Guidelines for healthcare providers, January 2008;
4. Emergency management of anaphylaxis in the community, Australian Prescriber 2007;
5. Management of anaphylactic shock and angioedema, Dr. A. Morris, *The Journal of Modern Pharmacy*, 2010;
6. Medical emergencies and resuscitation, standards for clinical practice and training for dental practitioners and dental care professionals in general dental practice, (A statement from The Resuscitation Council UK, revised february 2012)
7. Use of epinephrine in the treatment of anaphylaxis. Current Opinion in Allergy and Clinical Immunology, Lieberman, P. 2006.

Abstract

PREVENTION AND MANAGEMENT OF LIFE-THREATENING ALLERGIC REACTIONS IN DENTISTRY

K. Gogilashvili – MD, PhD, Professor, G. Tabaghua – researcher
(Ilia State University – Institute of Medical Research, Dental Clinic “cedex”)

If a systemic complication occurs in dental practice, the dentist is obligated to make a prompt diagnosis and provide emergency treatment as soon as possible. Therefore, the dentist must be fully aware of medical complications that may occur in dental practice. Emergencies during dental treatment can be classified by etiology into two major groups: complications associated with an underlying disorder and those independent of pre-existing disease. This article reviews the causes, pathophysiology, symptoms, signs, and emergency treatment of life-threatening allergic reactions such as anaphylaxis and angioedema (also known as “Quincke’s edema”).

Such emergencies are, fortunately, a rare occurrence, but it is important to recognize that a medical emergency could happen at any time and that all members of the dental team need to know their role in the event of a medical emergency.

However, a more recent study from Europe (A statement from The Resuscitation Council UK, for dental practitioners and dental care professionals in general dental practise, revised february 2012) has concluded that medical emergencies in dental practice occur more frequently than expected. This data showed that 57% of the dentists studied reported up to 3 emergencies and 36% of the dentists reported up to 10 emergencies in a 12 month period. Because of such events happening so frequently nowadays, published article clearly states that:

- *Medical emergencies can occur at any time.*
- *All members of staff need to know their role in the event of a medical emergency.*
- *The equipment and drugs that should be available.*
- *How this process should be managed fast and effectively.*

იგაღმამდებროვანი ჩარევის ღონისძიების სტოათოლოგიაზე

8. უგრივი, მედ. დოკტ. სრული პროფესორი

(ლოკვის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი)

9. მენაგდე, მედ. მეცნ. დოკტ. სრული პროფესორი

(ილია სახ. უნივერსიტეტის მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი)

სრული ან ნაწილობრივი ადენტიის მკურნალობის მეთოდებს შორის იმპლანტაციამ მყარად დაიმკვიდრა თავისი ადგილი. თანდათანობით ხდება იმპლანტაციისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დანერგვა, პროტოკოლების შემუშავება და იმპლანტაციის ეფექტურობის კლინიკურ-ექსპერიმენტული დასაბუთება. თუმცა, იმპლანტაციასთან და იმპლანტოლოგის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი აქტუალური საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება, მოთხოვებს ნორმატიული აქტის სახე არ გააჩნია. მაგალითად დასადგენია:

1. იმპლანტაციის ადგილი სხვა დისციპლინებს შორის;
2. ადენტიის მკურნალობაში იმპლანტაციის მეთოდის პრიორიტეტი სხვა მეთოდებს შორის;
3. ვის აქვს იმპლანტაციის სფეროში მოღვაწეობის უფლება;
4. როგორი უნდა იყოს სხვადასხვა სპეციალობის სტომატოლოგებსა და მედიცინის სხვა დარგების წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობა?
5. აუცილებელი პირობები და მოწყობილობები;
6. საჭირო გამოკვლევები;
7. საჭირო მედიკამენტური დანიშნულება;
8. დათვალიერების პერიოდულობა;
9. ნაწილობრივი და სრული ადენტიის შემთხვევაში დეფექტის იმპლანტაციის მეთოდით აღდგენის პრიორიტეტულობა;
10. ორთოპედიული კონსტრუქციების ფუნქციონირებისა და მათი შეცვლის რეკომენდებული ვადები
11. დენტალური იმპლანტების გამოყენებით სამედიცინო დახმარების სტანდარტები;
12. პრე- და პოსტდიპლომური განათლება;
13. უნდა იყოს თუ არა იმპლანტოლოგია ცალკე დისკიპლინა.

და ა.შ.

საერთაშორისო ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ კითხვებზე ცალსახა პასუხები არ არსებობს. ეს პრობლემები დგას არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში

(უკრაინაში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანში და ა.შ), არამედ ისეთ წამყვან ქვეყანაშიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

ჩვენ გთავაზობთ დენტალური იმპლანტაციის სხვადასხვა დონეებად დაყოფას. ამით შევეცადეთ ლოგიკური სქემა შეგვექმნა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი მოთხოვნების შემუშავება და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ სქემის მიხედვით მოხდებოდა სხვადასხვა სპეციალისტებს შორის ურთიერთკავშირის მეაფიო პრინციპების ჩამოყალიბება:

I დონე – იმპლანტაცია ალვეოლური მორჩის ფარგლებში, ოპტიმალურ ანატომიურ საზღვრებში;

II დონე – იმპლანტაცია ალვეოლური მორჩის ფარგლებში, ქსოვილების პლასტიკის აუცილებლობით, საჭიროებას არ წარმოადგენს დამატებითი ძვლოვანი მასალის გამოყენება;

III დონე – იმპლანტაცია ალვეოლური მორჩის მიღმა ქირურგიული ჩარევით და ქსოვილების პლასტიკისთვის პირის ღრუს ფარგლებში ძვლოვანი მასალის გამოყენების საჭიროებით;

IV დონე – ქალა-ყბა-სახის იმპლანტოლოგია, რომელიც უკავშირდება ძვლოვანი ბლოკების დიდ ფართობზე გამოყენებას.

რას მოგვცემს ასეთი დაყოფა? სტატიის დასაწყისში დასმული რამდენიმე შეკითხვის მაგალითზე, გავაანალიზოთ თუ როგორ დაგვეხმარება შემოთხვევაზებული დაყოფა სხვადასხვა საკითხის სისტემატიზაციაში. მაგალითად, ავიღოთ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს დენტალური იმპლანტაციის კაბინეტი. საერთაშორისო კლასიფიკატორების მიხედვით, იმპლანტაციის ჩასატარებლად აუცილებელია საოპერაციო ბლოკი შემდეგი პარამეტრებით: ერთი ქირურგიული კაბინეტი წინასაოპერაციო-სასტერილიზაციო ოთახით ერთ სტომატოლოგიურ დანადგარზე (კაბინეტის ფართობი 14m^2 , წინასაოპერაციო-სასტერილიზაციო 10m^2).

საოპერაციო ბლოკი:

- საოპერაციო ($22,0-24,0\text{m}^2$)
- წინასაოპერაციო-სასტერილიზაციო (10m^2)
- ნარკოზის ოთახი (10m^2)

- ოთახი ოპერატორის შემდეგ პაციენტის მოსათავსებ-ლად (10მ²)

ერთ-ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებულია, რომ: „სტომატოლოგიური იმპლანტაცია შესაძლებელია ჩატარდეს იმპლანტოლოგის კაბინეტში, იმპლანტოლოგის განყოფილებაში და ასევე სტომატოლოგიურ სტაციონარში“. როგორც ვხედავთ, არცერთი დოკუმენტი არ შეიცავს გრადაციას ჩარევის დონისა და მოცულობის მიხედვით.

ჩვენი მოსაზრებით, წაყენებული მოთხოვნები უნდა ეფუძნებოდეს ჩარევის სირთულეს:

I და II დონე – ამბულატორიული ქირურგიული კაბინეტისთვის საყოველთაოდ მიღებული ნორმები

III დონე – ამბულატორიული საოპერაციო ბლოკისადმი წაყენებული მოთხოვნები

IV დონე – სტაციონარული საოპერაციო ბლოკისადმი წაყენებული მოთხოვნები

ასეთი მიდგომა იმპლანტაციის ფართო პრაქტიკაში დაწერგვის საშუალებას იძლევა და ის არ შემოი-


ფარგლება მხოლოდ სპეციალიზებულ იმპლანტოლოგიურ ცენტრებში ჩატარებით. საკითხი აქტუალურია ასევე ფინანსური მოსაზრებითაც.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია – **ვის შეუძლია იმპლანტაციის ჩატარება?**

ბევრი ქვეყნის სარეგულაციო დოკუმენტში ვკითხულობთ:

„დენტალური იმპლანტაცია და იმპლანტების გამოყენებით პროთეზირება შეუძლიათ ჩატარონ შესაბამისად, ქირურგმა (ყბა-სახის ქირურგი) და ორთოპედმა, ვისაც აქვს შესაბამისი სპეციალისტის სერტიფიკატი და პოსტდიპლომური განათლების დაწესებულებაში გავლილი აქვს კვალიფიკაციის კურსი იმპლანტოლოგიაში“.

როგორი უნდა იყოს სხვადასხვა სპეციალისტებს შორის ურთიერთთანამშრომლობა იმპლანტაციისას? ჩვენი მოსაზრებით, მთავარი სპეციალისტი ამ პროცესში გახლავთ ორთოპედი, ხოლო ურთიერთობის სქემა შემდეგნაირად გამოისახება:



ქვემოთ ქირურგიული ჩარევის დონის შესაბამისად სპეციალისტისადმი წაყენებული მოთხოვნებია მითითებული:

I დონე

ქირურგიული ეტაპი

სპეციალიზაცია – ქირურგიული სტომატოლოგია აუცილებელი პირობა – იმპლანტოლოგის საბაზის კურსის გავლა.

ორთოპედიული ეტაპი

სპეციალიზაცია – ორთოპედიული სტომატოლოგია.

II დონე:

ქირურგიული ეტაპი

სპეციალიზაცია – ქირურგიული სტომატოლოგია.

აუცილებელი პირობა – იმპლანტოლოგიასა და ქსოვილთა პლასტიკის კურსის გავლა.

ორთოპედიული ეტაპი

სპეციალიზაცია – ორთოპედიული სტომატოლოგია.

III დონე:

ქირურგიული ეტაპი

სპეციალისტია – ქირურგიული სტომატოლოგია.

ორთოპედიული ეტაპი

სპეციალისტია – ორთოპედიული სტომატოლოგია.

IV დონე:

ქირურგიული ეტაპი

სპეციალიზაცია – ქირურგიული სტომატოლოგია,

ყბა-სახის ქირურგია.

ორთოპედიული ეტაპი

სპეციალისტია – ორთოპედიული სტომატოლოგია.

იმპლანტაციის ასეთი დაყოფა დონეების მიხედვით ანესრიგებს მოთხოვნებს ექიმის კვალიფიკაციისა და პირობების შესახებ და, ასევე, სხვადასხვა დონის სპეციალისტებს შორის ურთიერთობის სქემას იძლევა.

მაგალითი: პაციენტი მიმართავს იმპლანტოლოგს, რომელიც ახორციელებს I-II დონის ჩარევას. დიაგნოზის

დასმის და მკურნალობის გეგმის შედგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პაციენტს ესაჭიროება დახმარება III-IV დონის შესაბამისად. ექიმი ვალდებულია გააგზავნოს პაციენტი სპეციალიზებულ დაწესებულებაში, მაგალითად, ალვეოლური მორჩის აუგმენტაციისთვის ძვლოვანი ბლოკების ან დისტრაქციის გამოყენებით. ძვლოვანი ქსოვილის საჭირო მოცულობის მიღების შემდეგ, იმპლანტაცია შესაძლოა ჩაატაროს იმ სპეციალისტმა, ვინც თავდაპირველად გააგზავნა პაციენტი პლასტიკისთვის.

მნიშვნელოვანია, ასევე, იმპლანტაციის ოპერაციის ფარმაკოლოგიური მიდგომა, კერძოდ **ანტიბიოტიკების დანიშვნა.**

დენტალური იმპლანტაციის ბევრ პროტოკოლში, მაგალითად, პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკების გამოყენება, უპრალოდ მითითებულია და ჩარევის სირთულე არ არის გათვალისწინებული. იმპლანტოლოგები ხშირად დაუსაბუთებლად იყენებენ ძლიერ ანტიბიოტიკებს შესაბამისი კლინიკური სიტუაციის არარსებობისას, მაგალითად სარეზერვო ანტიბიოტიკებს (ცეფალოსპორინები II,III თაობის, მაკროლიდები, ფტორქინოლონები).

I-II დონის ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს პირობითად „სუფთად“ და ანტიბიოტიკის გამოყენება აუცილებლობას არ ნარმოადგენდეს. თუ ექიმი საჭიროდ თვლის ანტიბიოტიკის დანიშვნას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირველი რიგის პრეპარატებს: პენიცილინებს და ისიც მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით (დიდი დოზა ჩარევამდე 30-40 წუთით ადრე). ანტიბიოტიკის მიღების გაგრძელება I-II დონის ჩარევისას მიზაშენონილი არ არის.

III-IV დონის ჩარევა უპირობოდ მოითხოვს ანტიბიოტიკოთერაპიას. კლინიკური სიტუაციისგან დამოკიდებულებით, ანტიბიოტიკოპროფილაქტიკისა და ადრეული პოსტოპერაციული პერიოდისთვის (არაუმტეს 5-7 დღე) შესაძლებელია პირველი და მეორე რიგის პრეპარატების გამოყენება: პენიცილინი, ლინკოზამიდი, ცეფალოსპორინი I თაობის, მაკროლიდი. ბეტა-ლაქტამურ ანტიბიოტიკებზე ალერგიის შემთხვევაში შესაძლებელია ვანკომიცინის გამოყენება (III რიგი).

დონებად დაყოფის მიხედვით, შეიძლება პრიორიტეტი ერთფაზიან ან ორფაზიან იმპლანტაციას მიენიჭოს.

I-II დონის ჩარევისას უპირატესობა ენიჭება ერთეტაპიან იმპლანტაციას, III-IV დონის დროს – ორეტაპიანს.

თანამედროვე დიაგნოსტიკის მზარდ შესაძლებლობებს (ორთოპანტომოგრაფია, ტომოგრაფია, კომპიუტერული რენტგენოგრაფია, სტერეოლითოგრაფია და ა.შ.) ხშირად ერთი მხრივ, არასულფასოვან დიაგნოსტიკამდე, მეორე მხრივ კი პირიქით, ზედმეტ დიაგნოსტიკამდე მიყენართ.

ჩვენ გთავაზობთ რენტგენოლოგიური გამოკვლევის მეთოდების გამოყენების შემდეგ სქემას:

I დონე – ორთოპანტომოგრაფია, დამიზნებითი რენტგენოგრაფია და ხაზოვანი ტომოგრაფია საჭიროების შემთხვევაში

II დონე – ორთოპანტომოგრაფია, დამიზნებითი რენტგენოგრაფია და ხაზოვანი ტომოგრაფია საჭიროების შემთხვევაში

III დონე – ორთოპანტომოგრაფია და ხაზოვანი ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, 3D-რეკონსტრუქცია

IV დონე – ორთოპანტომოგრაფია და ხაზოვანი ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, 3D-რეკონსტრუქცია

რაც შეეხება პრე- და პოსტდიპლომურ განათლებას, გერმანიის იმპლანტოლოგთა საზოგადოების რეკომენდაციით, მათ მომზადებაში შეიძლება ჩაერთოს ისეთი საკითხები, როგორიცაა თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი, სხვადასხვა სტრატეგიების მიმოხილვა, ასევე იმპლანტოლოგიის დაყოფა დონეების მიხედვით.

ამგვარად, იმპლანტოლოგიური ჩარევის დონეებად დაყოფა იმპლანტოლოგის წინაშე დასმულ მრავალ კოთხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა, მაგალითად, როგორიცაა წინასწარი სედაციური მომზადება და ანესთეზის სახე, საჭირო მოწყობილობების ჩამონათვალი და სხვა. ჩვენ შევეცადეთ პასუხი გაგვეცა მხოლოდ რამდენიმე მათგანისთვის და მადლიერები ვიქენებით სხვადასხვა წინადადებებისა და საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის სურვილისთვის.

Abstract

LEVELS OF IMPLANTATION

M. Ugrin, G. Menabde

Many actual questions in dental implantology remain at the moment still unanswered. Author suggests to divide implantation procedures into 4 different levels and to make decision about such questions as hygienic requirements, qualification of implantologist, medication after implantation procedure, choice of diagnostic methods depending on certain level of implantation. Implantation levels make possible to create logical outline, which helps to regulate many actual questions in implantology.



უსაფრთხოება თქვენს სტომატოლოგიურ პრაქტიკაში — ყველაფერი იდეალური ჰიგიენისათვის

Mikrozid AF Liquid: გამოსაყენებლად მზა პროდუქტი, არ შეიცავს ალფაპინდს. ახასიათებს ძალიან ფართო ბიოციდური აქტივობა უმოკლეს დროში და კარგი დამანონტივებელი თვის-სებები. სწრაფად შრება და არ ტოვებს ლაქებს.

Aspirmatic: გამნოვა სისტემის განმენდა, დეზინფექცია და მოვლა. არ შეიცავს ალფაპინდს, მარტივი და უსაფრთხო გამოყენებაში. ყოველმხრივ შემოწმებულია პრაქტიკულ ტესტირებაში ყველა ტიპის ამაღლვაშის სეპარატორებისათვის, არ წარმოქმნის ქაფს და ეკონომიკურია გამოყენებაში.

Gigasept® Instru AF: ეკომპინირებული სადენზინფექციო და გამნმენდი საშუალება ქირურგოული და სტომატოლოგიური ინსტრუმენტებისათვის. არ შეიცავს ალფაპინდს. აქვს სასამოვნო არო-მატი, მასალებთან ერგი შეთავსებადობა, შეესაბამება ახალ ეკრასტანდარტებს. ამცირებს ულტრაბერერით აბაზანაში განმენდის მოქმედების ხანგრძლივობას.

Desderman pure gel: ხელების მზა ალკოჰოლური შესაზელი საშუალება ხელების ჰიგიენური და ქირურგოული დეზინფექციისათვის. გააჩნია მოქმედების ფართო სპექტრი და ეფექტურია ბაქტერიების (მულტირეზისტენტული შტამების მიმართ), სოკოების და ვირუსების ნინააღმდეგ. შეიცავს დამარბილებელ საშუალებებებს კანის მოვლისათვის, მოსახურებულია ხშირი გამოყენებისათვის.



პერიოდოლური 4-ეტაპის მკურნალობა “CIST” (Cumulative Interceptive Supportive Therapy) პროცედურის მიზანით და პროცედურის ეფექტურობის კლინიკური შეფასება

ლალი ქოჩიაშვილი

თსსუ-ის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის, ყპა-სახის ქირურგიის რეზიდუენტი

(ნარმოდგენილმა ნაშრომმა ქ.ლვოვში აღმოსავლეთ ევროპის პირის ლრუს ქირურგთა საერთაშორისო კონფერენციაზე 20 საუკეთესო მოხსენებებს შორის პირველი ადგილი მიიღო)

დღესდღეობით იმპლანტაცია ადენტიის მკურნალობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდია. დაახლოებით 30-წლიანმა ისტორიამ და გამოცდილებამ, რომელიც დაგროვდა იმპლანტაციის ირგვლივ, აჩვენა, რომ ნარმატებული შედეგისთვის აუცილებელია მისი როგორც ადრეული, ისე შორეული გართულებების მენეჯმენტი. იმპლანტაციის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გართულებაა პერიომპლანტიტი, რომელიც იმპლანტის ინტეგრაციის შემდგომ ვითარდება.

პერიომპლანტიტი იმპლანტის ირგვლივ არსებული ქსოვილების ანთებაა, რომელიც დამატებით, ირგვლივი ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციით ხასიათდება.

იმისათვის, რომ სწორად ვუმკურნალოთ პერიომპლანტიტს, აუცილებელია მკურნალობის გეგმის შერჩევა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მოხერხებულია “CIST” (Cumulative Interceptive Supportive Therapy) პროტოკოლი, რომელსაც ყველა კლინიკური შემთხვევა ერგება მისი სიმწვავისა და თავისებურებების გათვალისწინებით. სწორედ ამ უპირატესობის გამო, ჩვენს კვლევაში ჩართულ პაციენტებს აღნიშნული პროტოკოლის მიხედვით ვუმკურნალოთ. წინამდებარე სტატია მოიცავს “CIST” პროტოკოლის მიმოხილვას, კლინიკურ კვლევას და მისი შედეგების შეფასებას, რომელიც შესრულდა კლინიკა „დენსში“, რუსთავი, 2009-2011 წელი.

მართებული დეფინიციები. იმპლანტის დაკარგვა და მის ირგვლივ მდებარე ქსოვილების ანთება ინტეგრაციამდე არ შეიძლება მოხსენიებული იყოს, როგორც პერიომპლანტიტი (4th European Workshop on Periodontology, Lang et al. (2002)) – ამას უბრალოდ იმპლანტის დაკარგვა (*implant failure*) ან ნარუმატებელი იმპლანტაცია ეწოდება. ინტეგრირებული იმპლანტის ირგვლივი ქსოვილების ანთებას, როცა რენტგენოლოგიურად ძვლოვანი ქსოვილი იმპლანტის ირგვლივ შენარჩუნებულია, პერიომპლანტ-მუკოზიტი ეწოდება; ხოლო როცა ვახსენებთ პერი-იმპლანტიტს, აქ აუცილებლად

ვგულისხმობთ წარმატებით ინტეგრირებული იმპლანტის ირგვლივ ანთებას და ძვლის რეზორბციას ერთად.

კლასიფიკაცია (Albrektsson & Isidor 1994).

პერი-იმპლანტ დაზიანებანი (Peri-implant disease) ანთებითი პროცესი იმპლანტის ირგვლივ არსებულ ქსოვილებში

- ა. პერი-იმპლანტ მუკოზიტი (Peri-implant mucositis) ფუნქციონირებადი იმპლანტის ირგვლივი ქსოვილების უკუგანვითარებადი ანთებითი პროცესი
- ბ. პერი-იმპლანტიტი (Peri-implantitis) იმპლანტის ირგვლივ ქსოვილების ანთება, ძვლოვანი ქსოვილის რეზორბციით

ეტიოლოგია

პერიომპლანტიტის გამომწვევი მრავალი ფაქტორი არსებობს, ისინი ადგილობრივ და ზოგად რისკ-ფაქტორებად იყოფა:

ადგილობრივი რისკ-ფაქტორები

1. იმპლანტის ირგვლივ არსებული ქსოვილების მორფოლოგია.

ჯამრთელი ლრძილი და ალვეოლური ძვლოვანი ქსოვილი ძალიან დიდ როლს თამაშობს და დამცავ ბარიერად გვევლინება იმ ბაქტერიებისთვის, რომლებიც პერიომპლანტიტს იწვევენ. კბილისაგან განსხვავებით, იმპლანტის ირგვლივ ქსოვილში შეჭრილი ბაქტერია პირდაპირ კონტაქტშია ძვალთან, რადგან არ არსებობს პერიოდონტი და მთელი რიგი დამცავი მექანიზმები, რომელსაც ის უზრუნველყოფს.

2. იმპლანტის სტრუქტურა. იმპლანტის დიზაინიც გარკვეულ როლს თამაშობს პერიომპლანტიტის განვითარებაში:

- ა) იმპლანტის ყელის სიგლუვე უზრუნველყოფს უკეთეს ჰიგიენურ წმენდასა და ბაქტერიების ნაკლებ ადჰეზიას თუ ის ჩანს პირის ლრუში. ხოლო არაპლირებული ყელის მქონე იმპლანტები, მის მიკროსრახნებზე ბაქტერიების ადჰეზიის თავიდან აცილების მიზნით ალვეოლურ ძვალში ბოლომდე უნდა იყოს მოთავსებული;

- ბ) იმპლანტისა და ორთოპედიული კონსტრუქციის ნაწილების სუსტი კავშირი, მაგ: აბატმენტსა და ექსკუთხედს შორის არასრული კონტაქტი, აბატმენტსა და გვირგვინს შორის დარჩენილი შეუვესებელი სივრცე შეიძლება ბაქტერიების აკუმულაციის ადგილი გახდეს;
- გ) იმპლანტის ჩასმისას არსებული დაჭიმულობა, ძვლის სტრესი ასევე იწვევს პერიომპლანტიტს. ამ დროს მექანიკურად ზიანდება იმპლანტის ირგვლივი ძვალი, ჩნდება რეზორბციის კერები, რომელიც შემდგომ ადვილად ინფიცირდება;
- დ) კოროზია იმპლანტთან *Nitin-Nobel* მეტალისაგან დამზადებული ორთოპედიული კონსტრუქციის კავშირის შემთხვევაში ვითარდება. ასეთი შემთხვევების გამოკვლევის დროს იმპლანტის ირგვლივ ქსოვილებში მაკროფაგების მომატებული რაოდენობა დაფიქსირდა.

3. მიკრობული ინფექცია. პერიომპლანტიტის გამოწვევია ბაქტერიული კოლონიზაცია, რომელიც იმპლანტის ირგვლივ გაჩენილ სივრცეში ვითარდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ღრუს პიგინა დარღვეულია, მექანიკური წმენდა არასრულფასოვნი. პათოლოგიური ჯიბე ძირითადად ხიდების ქვეშ ვითარდება, რომელიც ინფიცირდება და იგივე პრინციპით ღრმავდება, როგორც პაროდონტალური ჯიბე.

4. ტრავმა.

- ა) ოკლუზიური ტრავმა: მაქსიმალურად კარგად შესრულებული ორთოპედიული სამუშაოს დროსაც კი შეიძლება არსებობდეს ოკლუზიური ტრავმა იმპლანტზე, მაგალითად, ბრუქსიზმის დროს.
- ბ) იატროგენული ფაქტორები; ცოტა რაოდენობის იმპლანტზე დიდი კონსტრუქციის დამაგრება, იმპლანტების არასწორი მიმართულება და დგომა, იმპლანტის სიგრძისა და გვირგვინის სიგრძის შეუსაბამობა და სხვა მრავალი.

ზოგადი რისკ-ფაქტორები

ქრონიკული არაკომპენსირებული დაავადებები, მაგალითად დიაბეტი, პაროდონტიტი, მავნე ჩვევა – სიგარეტის მოწევა, გენეტიკური ფაქტორები.



სურ.1.1. რბილი ქსოვილების პიპერემია იმპლანტის ირგვლივ

სიმპტომატიკა

აუცილებელი სიმპტომები:

- იმპლანტის ირგვლივ არსებული რბილი ქსოვილების პიპერემია (სურ.1.1.)
- სისხლდენა ზონდირების დროს (სურ.1.2.)
- პათოლოგიური ჯიბეს სილრმე 2-მმ.ზე მეტი (სურ.1.3.)



სურ.1.2. სურათზე გამოსახულია მსუბუქი სისხლდენა ზონდირების შემდგომ



სურ.1.3. სურათზე გამოსახულია პათოლოგიური ჯიბეს სილრმის განაზღვრის პროცესი, გრადუირებული და ატრავმული მწვერვალის მქონე პაროდონტოლოგიური ზონდით




სურ.1.4. მოცემულ ვიზოგრაფიულ სურათზე ჩანს იმპლანტის დისტალურ მხარეზე ძვლის ვერტიკალური რეზორბცია

- ძვლის რეზორბცია (რენტგენოლოგიურად დადასტურებული) (სურ.1.4.)
- შესაძლო დამატებითი სიმპტომები:
- ექსუდაცია
- ტკივილი პერკუსიისას
- იმპლანტის მობილურობა
- იმპლანტი ძვალში მოთავსებისას იფარება პროტენული შრით – პელიკულით და ბაქტერიებით, რომლებიც მიკრობულ ბიოფირფიტას აფირმირებენ. სწორედ ეს ბიოფირმი თამაშობს წამყვან როლს პერიოდლანტიტის განვითარებისას. პერიოდლანტიტის დროს ბიოფირფიტა წარმოდგენილია უფრო კომპლექსური ბაქტერიული ფლორით, ვიდრე პერიოდლანტიტის დროს. მასში ჭარბობს გრამ-უარყოფითი, სტაფილოსფერი და წითელი სპექტრის ბაქტერიები. პერიოდლანტიტის და პერიოდლანტიტის დროს ბაქტერიული ფლორის განსხვავებულობა, სავარაუდოდ, იმ ზედაპირების სხვაობითაა გამოწვეული, რომელზეც ბაქტერიების ადჟეზია ხდება.

და ბოლოს, რადგან პერიოდლანტიტის განვითარება ბიოფირმისა და მასზე კოლონიზებულ ბაქტერიებზეა დამოკიდებული, მკურნალობის ძირითად მიზანსაც იმპლანტის ზედაპირის დეკონტამინაცია და ირგვლივ არსებული ქსოვილების გასტერილება წარმოადგენს.

გვურის 4 საფეხური A, AB, ABC, ABCD
CIST პროტოკოლის მიხედვით

**CIST პროტოკოლი – Cumulative Interceptive
Supportive Therapy**



სურ 2. პერი-იმპლანტიტის მეურნალობის პროტოკოლის სქემატური გამოსახულება

A – მექანიკურ გასუფთავებას გულისხმობს (Mechanical debridement)

ჩვენება: რბილი და მაგარი ნადები იმპლანტის ირგვლივ, ჰიპერემია, სისხლდენა ზონდირების დროს, პათოლოგიური ჯიბის სილრმე 3 მმ-ზე ნაკლები. რენტგენოლოგურად ძვლის დანაკარგი არ ჩანს. სახეზეა პერი-იმპლანტ-მუკოზიტი.

აღნიშნულ სიტუაციაში იმპლანტის გარშემო ნაჩვენებია მექანიკური წმენდა სპეციალური ხელის კიურეტებით ან ულტრაბგერის საშუალებით (დახურული კიურეტაჟი).

A+B – გულისხმობს ანტისეპტიკურ/ქიმიურ დამუშავებას, მექანიკურ გასუფთავებასთან ერთად (Mechanical debridement +Antiseptic therapy)

ჩვენება: სისხლდენა ზონდირების დროს, სილრმე 3-5 მმ, გამოხატული ან მცირე ექსუდაცია. აღნიშნულ სიტუაციაში მექანიკურ განმენდასთან ერთად, მოწოდებულია მიდამოს ანტისეპტიკური დამუშავება ღია მეთოდით, ღია კიურეტაჟი.

A+B+C – ანტისეპტიკურ დამუშავებას და მექანიკურ გასუფთავებასთან ერთად გულისხმობს ანტიბიოტიკოთერაპიას (Mechanical debridement +Antiseptic therapy +Antibiotic therapy)

ჩვენება: სისხლდენა ზონდირების დროს, სილრმე 6 მმ-ზე მეტი, მცირე ან გამოხატული ექსუდაცია. შესაძლოა იყოს ტკივილი. ამ დროს მოწოდებულია ღია

კიურეტაჟი, მექანიკური და ანტისეპტიკური დამუშავება, დამატებით ანტიბიოტიკოთერაპია. რეგომენდებულია ამოქსაცილინი+კლავულანის მჟავას შემცველი ანტიბიოტიკის დანიშვნა.

A+B+C+D (Regenerative or resective therapy) მეურნალობის მეორე ეტაპია, როდესაც პერი-იმპლანტიტის მეურნალობის პირველი ეტაპის შემდეგ ზონდირებისას სისხლდენა არ არის, არ არის ექსუდაცია, ჰიპერემია, ჯიბის სილრმე შემცირდებულია, მაგრამ მაინც ღრმა არის ძვლის დიდი ნაწილის რეზორბციის გამო – საჭიროა გადაწყვეტილების მიღება: მოხდეს ქსოვილების რეზექცია, რის ხარჯზეც შემცირდება ჯიბის სილრმე (მაგრამ იმპლანტის ზედაპირი გამოჩნდება პირის ღრუში) თუ ქსოვილების მიმართული რეგენერაცია დეფექტის აღსაღებია, რაც ძვლის აუგმენტაციას და მემბრანით იზოლაციას გულისხმობს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პერი-იმპლანტიტის შემდეგ ნარმატებული მიმართული რეგენერაციის მიღწევა ძალიან როთულია (Persson et al. 1999; Wetzel et al. 1999).

როგორც წესი, პაციენტები სტომატოლოგებს მიმართავენ არა საწყის, არამედ შედარებით გართულებულ სტადიაზე, რის გამოც უფრო აქტუალურია როგორც ადგილობრივი მეურნალობა, ისე ზოგადი ანტიბიოტიკოთერაპიის ჩატარება. თუ ინფიცირებული ბიოფილმი იმპლანტის ზედაპირს მექანიკურად სრულფასოვნად არ მოცილდა (რაც არც თუ ისე იოლი მისაღწევია), მხოლოდ ანტიბიოტიკებით მეურნალობა, სამწუხაროდ, არაეფექტურია (Lindhe et al. 1983a,b; Berglundh et al. 1998). იმპლანტის ზედაპირის დეკონტამინაციისათვის მრავალი ქიმიური ნივთიერება გამოიყენება, მათგან ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ქლორექსიდინი (Chlorhexidine glucconate 0,2%) და ლიმონმჟავა (Citric Acid 40%). ჩვენი კვლევის მიზანს სწორედ ამ საშუალებათა ეფექტურობის შედარება (კლანიკური შეფასება) წარმოადგენდა.

კვლევის მასალა და მათობები

კლინიკურ კვლევაში ჩართული იყო ორი 12 კაციანი ჯგუფი, (სულ 24 პაციენტი) 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის მარტამდე. ყველა პერი-იმპლანტიტის დიაგნოზი შეესაბამებოდა A+B+C – მეურნალობის პროტოკოლს. კლინიკური ნიშნები: სისხლდენა ზონდირების დროს, ჯიბის სილრმე 5-10 მმ, ტკივილი პალპაციისას, ჰიპერემია, მცირე ექსუდაცია. ყველა პაციენტს ადგილობრივ მეურნალობასთან ერთად დაენიშნა ანტიბიოტიკოთერაპიის 7-დღინი კურსი (ამოქსაცილინი + კლავულანის მჟავა).



სურ 3.1. პირველი ჯგუფი, ფოტო მკურნალობამდე

ობიექტური დათვალიერებით აღინიშნება პიპერემია, სისხლდენა ზონდირების დროს (BOP positive), პათოლოგიური ჯიბის სიღრმე (PPD) 5 მმ.



სურ 3.2. პირველი ჯგუფი, რენტგენის ფოტო მკურნალობამდე რენტგენოგრაფიულად ჩანს ალვეოლური ძვლოვანი ქსოვილის ვერტიკალური რეზორბცია იმპლანტის დისტალურ მხარეს.

სურ 3.3. პირველი ჯგუფი, ფოტო მკურნალობის შემდეგ
ობიექტური დათვალიერებით ღრძილი ვარდისფერია, სისხლ-დენა ზონდირების დროს არ აღინიშნება (BOP negative), პათოლოგიური ჯიბის სიღრმე (PPD) 2 მმ-ია.სურ 3.4. პირველი ჯგუფი, რენტგენის ფოტო მკურნალობის შემდეგ
რენტგენოგრაფიულად ჩანს ალ-დენტინილი ძვლოვანი ქსოვლი.

პაციენტებს ჩაუტარდათ ადგილობრივი მკურნალობა, დაწინაათ ანტიბიოტიკოთერაპია და მიეცათ დანიშნულება პირის ღრუს მოვლასთან დაკავშირებით.

პირველი ჯგუფი. ადგილობრივი მკურნალობა: ჩატარდა ლია კიურეტაჟი. მოდიფიცირებული ვიდმანის ნაფლეთის მეთოდით აშრევდა იმპლანტის ორგვლივ არსებული ანთებითი ქსოვილი, პლასტმასის ხელის კიურეტებითა და ულტრაბგერის აპარატით (ცხვირი — სპეციალურად განკუთვნილი იმპლანტის ზედაპირისთვის) მოხდა გრანულაციური ქსოვილის მოცილება და ნაფლეთის გასადავება. იმპლანტის ზედაპირი დამუშავდა ქლორჰექსიდინის 2%-იანი ხსნარით. ჭრილობა დაიხურა პოლიპროპილენის არარზორბებადი ნაკერით, სისქე 6.0. (სურ3.1. / სურ.3.2. / სურ.3.3. / სურ.3.4.)

მეორე ჯგუფი მეორე ჯგუფში ყველა პროცედურა შესრულდა პირველი ჯგუფის მსგავსად, ხოლო იმპლანტის ზედაპირი ქლორჰექსიდინის ნაცვლად 40%-ინი ლიმონმჟავას ხსნარით დამუშავდა, რომე-



სურ 4.1. პირველი ჯგუფი, ფოტო სურ 4.2. პირველი ჯგუფი, რენტგენურნალობამდე ნის ფოტო მკურნალობამდე

ობიექტური დათვალიერებით რენტგენოგრაფიულად ჩანს სისხლდენა ზონდირების დროს ალვეოლური ძვლოვანი ქსოვი (BOP positive), პათოლოგიური ლის ვერტიკალური რეზორბცია იმპლანტის სიღრმე (PPD) 9 მმ.



სურ 4.2. პირველი ჯგუფი, რენტგენურნალობამდე ნის ფოტო მკურნალობამდე
ჩანს სისხლდენა ზონდირების დროს ალვეოლური ძვლოვანი ქსოვი (BOP positive), პათოლოგიური ლის ვერტიკალური რეზორბცია იმპლანტის მედიალურ და დისტალურ მხარეს.



სურ 4.3. პირველი ჯგუფი, რენტგენის ფოტო მკურნალობის შემდეგ

სურ 4.3. პირველი ჯგუფი, რენტგენის ფოტო მკურნალობის შემდეგ

დებ
ობიექტური დათვალიერებით ღრძილი ვარდისფერია, სისხლდენა ზონდირების დროს არ აღინიშნება (BOP negative), პათოლოგიური ჯიბის სიღრმე (PPD) 3 მმ-ია.

ლიც იმპლანტის ზედაპირზე 40 წამის განმავლობაში დაფიქრია, სირდა და შემდგომ 80 წამის რების დროს არ აღინიშნება (BOP negative), პათოლოგიური ჯიბის სიღრმე (PPD) 3 მმ-ია. (სურ.4.1. / სურ.4.2. / სურ.4.3. / სურ.4.4.)

ადგილობრივი მკურნალობის შემდგომ, მანიპულაციიდან 2 საათის განმავლობაში პაციენტებს ცივი კომპრესი დაწინაათ სახლში: დიეტა, ქლორჰექსიდინის შემცველი სავლები დღეში 2-ჯერ, კბილის პასტა სამკურნალო ეფექტით, ამაქაფებლებისა და ქიმიური დანამატების გარეშე.

ნაკურნალები მიდამოს დამუშავება 1 კვირის განმავლობაში, კლინიკაში 2 დღეში ერთხელ ხდებოდა. მანიპულაციის ჩატარებიდან მე-10 დღეს ნაკერები მოიხსნა.


მკურნალობის კლინიკური ეფექტურობის შეფასება 10 დღის, 1 თვის და 3 თვის შემდეგ, შემდეგი კრიტერიუმებით მოხდა:

- პერიოდიმპლანტური ქსოვილების პიპერემია (დადებითი, უარყოფითი)
- სისხლდენა ზონდირებისას (დადებითი, უარყოფითი)

- პერიოდიკულანტური ჯიბის სილრმე (მილიმეტრებში)
- რეცესია მილიმეტრებში (პოსტ-ოპერაციულ სიგრძეს მინუს პრე-ოპერაციული სიგრძე) (სურ 5.)

ჯგუფი 1

	7 დღე	1 თვე	3 თვე
ჰიპერემია	+	-	-
სისხლდენა ზონდირებისას	+	-	-
პათოლოგიური ჯიბის სილრმე / მმ		2-3	1-3
რეცესია / მმ		0/+2	0/+2



სურ 6.3. მეორე ჯგუფი, ფოტო მკურნალობის შემდეგ
ობიექტური დათვალიერებით ღრძილი ვარდისფერია, სისხლდენა ზონდირების დროს არ აღინიშნება (BOP negative), ჩათოლოგიური ჯიბის სილრმე (PPD) 2,5 მმ-ია.


სურ 6.4. მეორე ჯგუფი, რენტგენის ფოტო მკურნალობის შემდეგ
რენტგენოგრაფიულად ჩანს აღდგენილი ძვლოვანი ქსოვილი.

ჯგუფი 2

	7 დღე	1 თვე	3 თვე
ჰიპერემია	+	+	-
სისხლდენა ზონდირებისას	+	+	-
პათოლოგიური ჯიბის სილრმე / მმ		3-5	3-5
რეცესია / მმ		0/+3	+2/+5

სურ 5. კლინიკური კვლევის შედეგები შეფასდა მკურნალობიდან 1 კვირის, 1 თვის და 3 თვის შემდეგ. ცხრილში დაფიქსირებულია მიღებული შედეგებიდან ვამოყვანილი საშუალო მონაცემები.

ჯიბის სილრმის განსაზღვრა ხდებოდა პირის ღრუში ზონდირებით (გრადუირებული პაროდონტოლოგიური ზონდით) და პირგარეთა მეთოდით – დენტალური რენტგენოლოგიური სურათის მეშვეობით.



სურ 7.1. მეორე ჯგუფი, ფოტო მკურნალობამდე
ობიექტური დათვალიერებით

რენტგენოგრაფიულად ჩანს აღინიშნება ჰიპერემია, სისხლდენა ზონდირების დროს (BOP positive), პათოლოგიური ჯიბის დისტალურ მხარეს. სილრმე (PPD) 4,5 მმ.

წარმატებულ მკურნალობაში იგულისხმება: იმპლანტები ნადების გარეშე, პერი იმპლანტური ქსოვილები – ვარდისფერი, ზონდირებისას სისხლდენა არ არის, პალპაცია უარყოფითი, ჯიბის სილრმე შემცირებული და არ აღემატება 4 მმ-ს. (სურ.7.1. / სურ.7.2. / სურ.7.3. / სურ7.4.)

პირველ ჯგუფში — გამოჯანმრთელების სურათი მიღებულ იქნა მკურნალობიდან 1 თვის შემდეგ, რეცესიების მატება იყო მინიმალური. მეორე ჯგუფში კი,



სურ 7.3. მეორე ჯგუფი, ფოტო მკურნალობის შემდეგ

ობიექტური დათვალიერებით ღრძილი ვარდისფერია, სისხლდენა ზონდირების დროს არ აღინიშნება (BOP negative), პათოლოგიური ჯიბის სილრმე (PPD) 3,4 მმ-ია.

სურ 7.4. მეორე ჯგუფი, რენტგენის ფოტო მკურნალობის შემდეგ


რენტგენოგრაფიულად ჩანს შეტანილი ძვლოვანი ქსოვილი, რომელიც ფორმირების სილრმეშია.




სურ 6.1. მეორე ჯგუფი, ფოტო მკურნალობამდე

ობიექტური დათვალიერებით აღინიშნება ჰიპერემია, სისხლდენა აღვეოლური ძვლოვანი ქსოვილის დროს (BOP positive), პათოლოგიური ჯიბის სილრმე (PPD) 6 მმ, ტკიფილი პალპაციისას.

სადაც დეკონტამინაციისათვის ლიმონმჟავა იყო გა-
მოყენებული – ზონდირებისას სისხლდენა შეწყდა მა-
ნიპულაციის ჩატარებიდან 2–2.5 თვის შემდეგ, ხოლო
შემთხვევათა 90%-ში რეცესიის ზომა გაიზარდა (სურ
8.).



პათოლოგიური ჯიბის სიღრმე მი-
რეცესიის ზომა მიღიმეტრებში
ლიმეტრებში



სურ 8. დიაგრამებზე გამოსახულია პათოლოგიური ჯიბის სიღრმისა
და რეცესიის ზომის განსაზღვრისას მიღებული შედეგები, როგორც
პირველ ისე მეორე ჯგუფში. როგორც ჩანს პირველ ჯგუფში უფრო
ნაკლებია მკურნალობის შემდეგ გაზიმილი ჯიბის სიღრმე და რეცე-
სიის ზომა, რაც უკეთესა კლინიკური შედეგის მაჩვენებელია.

კვლევამ აჩვენა, რომ იმპლანტის ზედაპირის დე-
კონტამინაციისათვის უფრო სწრაფი რეგენერაციის
და ქსოვილების მინიმალური დანაკარგის მიზნით, ლი-
მონმჟავასთან შედარებით, უკეთესი ქლორჰექსიდინის
გამოყენებაა.

პიპლომაზია

- “Clinical periodontology and implant dentistry” – Jan Lindhe, 2008
- “Regenerative and Esthetic Periodontal Therapy” – Anton Sculean 2010
- “Classification in periodontology” – Sofia Aroca – 2009


Abstract

TREATMENT OF PERI-IMPLANTITIS ACCORDING TO 4 STEPS OF CIST PROTOCOL.CLINICAL

Evaluation of Procedure Effectiveness

Lali Kochiashvili – Tbilisi State Medical University, Institute of
Postgraduate Medical Education and Continuous Professional Development,
Faculty of Maxillofacial Surgery -Resident

Nowadays, dental implants are one of the most frequently used treatment options in the replacement of missing teeth. Because of the increasing use of dental implants, dentists have to overcome complications after implant placement more often. Peri-implantitis is an inflammatory process additionally characterized by loss of peri-implant bone that presents one of the hardly treated diseases in Implantology. It is important to use appropriate treatment plan in each individual case. The system of CIST (Cumulative Interceptive Supportive Therapy) protocol includes 4 steps (ABCD) that gives a possibility to adapt any clinical case depending on the severity and extent of the lesions to the treatment plan. Because of these advantages our patients have been treated with a method mentioned above. The presentation includes a review of this protocol and evidence-based clinical evaluation of this treatment procedures effectiveness that was made in Dental clinic „DENS”, Rustavi, Georgia in 2011 by Lali Kochiashvili.



შვეიცარიულ-ქართული პროექტი!
დენტალური იმპლანტოლოგის სკოლა ამიერ-კავკასიაში!

წერეთლის გამზ. 116
ბიზნეს ცენტრი , DIDUBE PLAZA
ტელ: 2 34 21 69 | INFO@STSG.GE | WWW.STSG.GE

სეორი მათოლის გარჩევა ქვედა ყბის კლასტიკური რაერაზივაბის ღრმის

ზურაბ ჩიჩუა, მედ. დოკტ.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ყბა-სახის ქირურგი
ნინო ჩიჩუა

თერაპევტი სტომატოლოგი, პირის ღრუს ქირურგი

პირის ღრუს და ყბა-სახის ქირურგიაში ხშირად გვხვდება ყბების შეძენილი და თანდაყოლილი დეფორმაციები, რომლებიც ყბა-სახის მიღდამოში,



პაციენტი ნ. გ. 26 წლის. ქვედა ყბის ჭარბი განვითარება, ღია თანაბილით ფრონტალური კბილების არქში და ქვედა ყბის ბლაგვი კუთხებით

თად საჭმლის მომნელებელ სისტემაში პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. ამ ტიპის ავადმყოფებს ხშირად ღეჭვის, ღაბარაკის, სუნთქვის, მიმიკის ფუნქციის დარღვევა აღნიშნებათ. აქედან გამომდინარე, ჩამოთვლილი პრობლემების გამო, ასევე შეუძლებელი ხდება შესაბამისი განათლების მიღება და გარკვეული პროფესიის დაუფლება. ზემოთ ხსენებული პრობლემები ნათლად აჩვენებს, თუ რაოდენ აქტუალური საკითხია ასეთი პაციენტების დროული რეაბილიტაცია.

ყბების დეფორმაციების მეურნალობა ორთოდონტისა და ქირურგის ერთობლივი ჩარევით ხდება. ქირურგიული მანიპულაციები 18 წლამდე ასაკის პაციენტებში არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ამ ასაკისთვის სახის ძვლების და რბილი ქსოვილების ფორმირება ჯერ დასრულებული არ არის. ასევე, მრავალი დეფორმაცია, რომელსაც ადგილი აქვს ბავშვთა ასაკში, სიმაღლი-

როგორც კოსტეტიკურ, ასევე ფუნქციურ დარღვებს იწვევს. ანატომიური, ფუნქციონალური და ესთეტიკური ცვლილებები ძალიან ხშირად გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე საზოგადოებაში – ასეთი პაციენტები ნაკლებად კომუნიკაციურები არიან. ფუნქციონალური დარღვევები გარდა იმისა, რომ ხელს უშლის მეტყველებას, საკვების მიღებას, ასევე არცთუ ისე იშვია-

თად საჭმლის მომნელებელ სისტემაში პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. ამ ტიპის ავადმყოფებს ხშირად ღეჭვის, ღაბარაკის, სუნთქვის, მიმიკის ფუნქციის დარღვევა აღნიშნებათ. აქედან გამომდინარე, ჩამოთვლილი პრობლემების გამო, ასევე შეუძლებელი ხდება შესაბამისი განათლების მიღება და გარკვეული პროფესიის დაუფლება. ზემოთ ხსენებული პრობლემები ნათლად აჩვენებს, თუ რაოდენ აქტუალური საკითხია ასეთი პაციენტების დროული რეაბილიტაცია.

ყბების დეფორმაციების მეურნალობა ორთოდონტისა და ქირურგის ერთობლივი ჩარევით ხდება. ქირურგიული მანიპულაციები 18 წლამდე ასაკის პაციენტებში არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ამ ასაკისთვის სახის ძვლების და რბილი ქსოვილების ფორმირება ჯერ დასრულებული არ არის. ასევე, მრავალი დეფორმაცია, რომელსაც ადგილი აქვს ბავშვთა ასაკში, სიმაღლი-

სა და ყბა-კბილთა სისტემის არაპროპორციულობითაა გამოწვეული, რომელიც ხშირად 16-18 წლის ასაკისთვის ნორმალიზდება, ხდება თვითრეგულაცია. ზემოთ

ხსენებული დაავადების კლასიფიკაციის მრავალი სქემა არის მოწოდებული, შევეცდებით რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ:

1. – ზედა ყბის დეფორმაცია, რომელიც მოიცავს ანომალიის ორ სახეს: I – პროგნათია, ზომაზე მეტად განვითარებული ზედა ყბა. II – მიკროგნათია, ოპისტოგნათია, განუვითარებელი ზედა ყბა.

– ქვედა ყბის დეფორმაცია, რომელიც ორ ფორმას მოიცავს: I – პროგენია, მაკროგენია, ძლიერ განვითარებული ქვედა ყბა. II – მიკროგენია, ოპისტოგენია, განუვითარებელი ქვედა ყბა.

– ორივე ყბის დეფორმაცია მოიცავს პათოლოგიის ერთ ფორმას, ღია თანკბილვას.

2. თანამედროვე საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, განარჩევენ ქვედა მაკრო ან პროგნათიას, ზედა მაკრო ან პროგნათიას, ქვედა მიკრო ან რეტროგნათიას, ზედა მიკრო ან რეტროგნათიას, ღია და ღრმა თანკბილვას.

ქვემოთ განხილულია ქვედა პროგნათიის ორი შემთხვევა. აღნიშნული დეფორმაციის დროს ქვედა ყბა არის მეტისმეტად დიდი ზომის, თან ახლავს ნიკაპისა და ქვედა კბილების წინ წამოწევა, მაშინ როდესაც ზედა ყბა წორმალურადა განვითარებული. ნიკაპის წინ წამოწევის გარდა ქვედა პროგნათიისთვის დამახასიათებელია ქვედა ყბის კუთხეების მეტისმეტი გაშლა და ქვედა ყბის ქვედა კიდის ქვედა ყბის შიდა კორტიკალური ოსტეოტომია ასწროვ ტოტსა და სხეულზე იწვევს. ქვედა პროგნათიის ქირურგიული მკურნალობისათვის სხვადასხვა მეთოდია მოწოდებული, ისინი



პაციენტი ოპერაციის შემდეგ



პაციენტი ოპერაციაში





პაციენტი ა. ვ. 23 წლის. ქვედა პროგნათია, ღია თანკბილვით ფრონტალური კბილების არეში.

შეიძლება 4 ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. ოპერაციები ქვედა ყბის სხეულზე;
2. ოპერაციები ქვედა ყბის კუთხეების არეში;
3. ოპერაციები ქვედა ყბის ტოტების არეში;
4. ოპერაციები სასახსრე თავის არეში.

ალსანიშნავია, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც შეცდომები დიაგნოსტიკის დროსაა დაშვებული. მაგალითად: გვაქვს ქვედა ყბის მეტისმეტი განვითარება და ქირურგთა მიერ ჩატარებულია ჰორიზონტალური ოსტეოტომია ზედა ყბაზე ან პირიქით, გვაქვს ზედა ყბის მეტისმეტი განვითარება და ქირურგები მიმართავენ ქვედა ყბის ოსტეოტომიას მისი წინ წამოწევის მიზნით.

როდესაც პაციენტი ყბების დეფორმაციებით მოგვმართავს, ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სწორი დიაგნოზის დასმა და შემდეგ, მკურნალობის მეთოდის სწორად შერჩევა წარმოადგენს.

მაგალითოსტვის მოვიყვანოთ 26 წლის პაციენტი ნ. გ. დიაგნოზით: ქვედა ყბის ჭარბი განვითარება ღია თანკბილვით ფრონტალური კბილების არეში და ქვედა ყბის ბლაგვი კუთხეებით. მოცემულ შემთხვევაში შეირჩა მეთოდი ობვეგეიზერის და დალ პონტის მიხედვით, რომლის დროს ქვედა ყბის ტოტის სიბრტყობრივი ოსტეოტომია პირშიგნითა მიდგომით ხორციელდება. თანკბილვის აღდგენასთან ერთად გათვალისწინებული გვქონდა ბლაგვი კუთხეების კორექციაც. განაკვეთი გავატარეთ რეტრომოლარულ მიდამოში ირიბ ხაზზე გადმოსვლით და ქვედა ყბის ტოტის წინა კიდეზე მის ზედა მესამედამდე. გავაშიშვლეთ ქვედა ყბის ტოტის როგორც შიგნითა, ისე



პაციენტი ოპერაციიდან 7 თვეში.

გარეთა ზედაპირები. ტოტის შიგნითა კიდეზე ჩავატარეთ შიგნითა კორტიკალური ფირფიტის ჰორიზონტალური ოსტეოტომია მანდიბულური ხვრელის ზემოთ, რათა თავიდან აგვეცილებინა ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონის დაზიანება. შემდგომში ტოტის გარეთა ზედაპირზე, ქვედა ყბის კუთხის ქვედა კიდიდან 1სმ-ით ზევით კომპაქტური ფირფიტის ჰორიზონტალური ოსტეოტომია ჩავატარეთ. ამის შემდეგ, ჩაქრისა და სატენის დახმარებით მოხდა ქვედა ყბის ტოტის შუაზე გახლება, რის შედეგადაც ქვედა ყბის გადანაცვლება შესაძლებელი გახდა სასურველი მიმართულებით. ძვლის ფრაგმენტები რეტრომოლარულ არეში თითო მავთულოვანი ნაკერებით დავაფიქსირეთ. ჭრილობა დავხურეთ ყრუდ. მოთავსდა აქტიური დრენაჟი.

მეორე პაციენტს (ა. ვ. 23 წლის) კლინიკურ-რენტგენოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაესვა დიაგნოზი: ქვედა პროგნათია, ღია თანკბილვით ფრონტალური კბილების არეში. პაციენტს ალენიშნებოდა ქვედა ყბის მართი კუთხეები. ამ შემთხვევაში შეირჩა მეთოდი დეფეზის მიხედვით, რომელიც ქვედა ყბის სხეულის ორმხრივ ინტრაორალურ ისტეოტომიას ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონის გამოყოფით ითვალისწინებს. ოპერაცია ჩატარდა პირშიგნითა მიდგომით, გატარებული იქნა განაკვეთი ვესტიბულარულ მხარეს ქვედა ყბის პირველი მარჯვენა მოლარიდან პირველ მარცხენა მოლარამდე, ლორნოვან ძვლისსაზრდელოვანი ნაფლეთის აშრევება მოხდა პირდაპირი რასპატორის საშუალებით, რის შედეგადაც გაშიშვლდა ნიკაპის ძვალი და მენთალური ხვრელები, ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ის სპეციალური კავებით გადაიწია. ამის შემდეგ ბორმანქანის საშუალებით დავიზუეთ ქვედა ყბის ვერტიკალური ოსტეოტომია. დისკით ვაწარმოეთ ქვედა ყბის ბლოკ-რეზექცია ექსტრაგირებული პირველი პრემოლარების არეში, რის შედეგადაც მოხდა ყბის ფრაგმენტების დაშორება და ერთმანეთისგან განთავისუფლება. ყბის ძვლის კიდეზე შემდგომი ოსტეოსინთეზის მიზნით, ბორმანქანის დახმარებით ვაფორმირეთ ხვრელ-არხები და ჩავატარეთ ქვედა ყბის ფრაგმენტების ოსტეოსინთეზი. ჭრილობა დავხურეთ ყრუდ.



დისკის საშუალებით ქვედა ყბის ბლოკ-რეზექცია.



ხერელ-არხის ფორმირება ყბის ძვლის კიდეზე შემდგომი ოსტეოსინთეზის მიზნით.

პის ხერელის წინ, ნერვულ-სისხლძარღვოვანი კონის დაზიანების და მასთან თანდართული გართულებების თავიდან აცილების საშუალების გვაძლევს.

აღსანიშნავია, რომ ორივე პაციენტთან მკურნალობის სწორი მეთოდი იქნა შერჩეული: ვინაიდან პირველ შემთხვევაში პაციენტს არა მხოლოდ ქვედა ყბის ჭარბი განვითარება, არამედ ქვედა ყბის კუთხეების დეფორმაციაც აღენიშნა გამოხატული ბლაგვი კუთხეებით – საჭირო იყო მიგვემართა ობვეგიზერისა და დალ პონტის მოწოდებული მეთოდისთვის, რომელიც ქვედა ყბის ტოტის სიპრტყობრივი ოსტეოტომის ჩატარების შედეგად ხსენებული პრობლემის გადაჭრას ითვალისწინებს. მეორე შემთხვევაში კი – პაციენტის ძირითადი პრობლემა ფრონტალური კბილების და ნიკაპის ძვლის მეტისმეტად წინ წამონევა გახლდათ, ამიტომ არჩევანი ბლერ დეფეზის მეთოდზე გაკეთდა, რომლის დროსაც ბლოკ რეზექციის ხარჯზე ქვედა ყბის ზომაში შემცირება და შესაბამისად, უკან გადანაცვლება ხდება, შედეგად ვიღებთ თანკბილვის

დეფეზის აზრით, ხსენებული მეთოდით ქვედა ყბის ზომაში შემცირებასთან ერთად ყბა-კბილოვანი რკალის შევიწროვებაც ხდება, ხოლო ოსტეოტომის ჩატარება უშუალოდ ნიკა-

ალდგენას ნორმალურ ანატომიურ მდგომარეობაში.

დასასრულ მინდა ალვნიშნო, რომ ქვედა ყბის ძვალ-პლასტიკური ოპერაციების დროს, მეთოდის სწორად შერჩევა სხვადასხვა გართულებებს თავიდან აგვაცილებს და რაც მთავარია, დახვეწილი კოსმეტიკური ეფექტის მიღების საშუალებას მოგვცემს.

პიგლიომგრაფია

1. ომარ ნემსაძე. ქირურგიული სტომატოლოგია. თბილისი 1997.
2. ალექსანდრე ბრეგაძე, ოთარ ბრეგაძე. ყბა-სახისა და პირის ღრუს ქირურგია. თბილისი 2003.
3. Атлас реконструктивных операций на челюстях. В.А. Сукачев. Москва. 1984.
4. Хирургическая стоматология. Под редакцией проф. Т.Г. Робустова. Москва "Медицина" 1990.
5. Peterson. Contemporary Oral and Maxillofacial Surgery, 4/e. An imprint of Elsevier 11830 Westline Industrial Drive St.Louis, Missouri. 2003 by Mosby.
6. Norbert Schwentner, Michael Ehrenfeld. Zahnärztliche Chirurgie. 2009 Georg Thieme Verlag KG. Rüdigerstraße 14, Stuttgart,Deutschland.
7. Tucker MR et al: Evaluation of treatment of patients with dentofacial deformities: a multidisciplinary approach, NC Dent Rev 3:13, 1985.
8. Dalpong G: Retromolar osteotomy for the correction of prognathism, J Oral Surg 19:42, 1961.

Abstract

CHOOSING AN OPTIMAL METHOD IN PLASTICAL OPERATIONS ON MANDIBLE BONE.

Zurab CiCua, Nino Chichua

The article provides information about congenital and acquired defects of jaws which cause numbers of functional and cosmetic dysfunctions in maxillofacial area. Patients who suffer from the above mentioned diseases frequently have problems with communication, breathing, chewing and mimicry. Hence the actuality and urgency of optimal and timely medical treatment and rehabilitation of those patients is undoubtful.


Our article discusses several classifications of the deformities of jaws and the accompanying methods of treatment. As regards patients, two cases of mandible bone defect from my personal surgical experience are presented as an example. The first case concerns a 28-year-old patient with the following diagnosis: mandibular prognathism with open bite in front teeth and blunt angles of mandible jaw. As long as we had to solve the problem of the bite and blunt angles, we chose to operate according to Obwegeiser and Dal Pont method, which considers intraoral sagittal splint osteotomy of mandibular ramus.

Our second patient was a 20-year-old student. According to the clinical X-ray research, her diagnosis was prognathism of mandibular bone with open bite in the front teeth area and rectangle angles. As long as the main problem here was pulling out frontal teeth and chin, we operated using Defez method. During the surgical operation we reduced the size of the lower jaw and according to that we achieved its movement to the back. As a result we got restoration of normal anatomic bite as well.

In conclusion I would like to mention that when it concerns plastic and reconstructive operations on jaws, choosing the right method lets us avoid different types of complications, and most importantly the improved cosmetic effect can be achieved.



მფიციალური სარემოვალო საქართველოში ფირმა
„ე.ა.ი.ე. საქართველო“
მისამართი: განეტიკონის ქ.№11
ტელ.: 2 361875



C1, MIS' CONICAL CONNECTION
MAKE IT SIMPLE

MIS | C1

To learn more about C1 visit our website: www.mis-implants.com or call us: +972(4)9016800

ექსარიგენული სტომატიტის პირობებაზე აზოთის ოქსიდის როლი პირის ძრეს ლოროვან გარსში სისხლის ნაკაღის რეაგულაციაში

გურანდა დიასამიქე – მედ. დოქტ.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, პირის ლრუს ლორნოვანის ანთების, ანუ სტომატიტის ნაირ-სახეობათა იდენტიფიკაციაში ჯერ კიდევ ბევრი პრო-ბლემაა გადასაწყვეტი. ხშირად გაურკვეველია ეტიო-ლოგია, ნოზოლოგიურად განსხვავებულ ფორმებს შორის მსგავსებაა კლინიკურ მანიფესტაციებში, რაც ბევრ სირთულეს ქმნის სწორი დიაგნოსტიკის თვალ-თახედვით.

დღეისათვის უკვე ნათელია, რომ მრავალი პა-თოლოგიური პროცესის განვითარება პირის ლრუში უშუალო კავშირშია სხვადასხვა ორგანოებისა და სის-ტემების დაავადებებთან, მეტაბოლურ დარღვევებთან, ცვლილებებთან იმუნოლოგიურ სტატუსსა და ნერვულ სისტემაში. ამასთან ერთად, პირის ლრუს ლორნოვანი გარსის ანთება ერთ-ერთ მძიმე გართულებად გვევლი-ნება ონკოლოგიურ კლინიკაში რადიო- და ქიმიოთე-რაპიის ჩატარებისას.

სტომატიტის ანალიზი დიდი ხნის განმავლობაში იფარგლებოდა პროცესის მხოლოდ ფენომენოლოგიუ-რი აღნერით. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სტო-მატიტის განვითარების შესახებ გარკვეული მოსა-ზრებებია ჩამოყალიბებული, მისი პათოფიზიოლოგია მნიშვნელოვანილად მაინც უცნობია.

არის ისეთი ნაშრომებიც, რომლებშიც სტომა-ტიტის ტრადიციული ფენომენოლოგიური აღნერის ნაცვლად შემოთავაზებულია პირის ლრუს ლორნო-ვანი გარსის დაზიანების მექანიზმების თანამედროვე მეცნიერული პოზიციებიდან განხილვის მცდელობა. ასე მაგალითად, არის მსჯელობა ნერწყვში შემავალი აზოტის ოქსიდის (NO) როლის შესახებ ამ დაზიანე-ბების განვითარებაში (Ohashi, Iwase, Nagumo, 1999), იგივე ფაქტორის როლის შესახებ პირის ლრუს ქსოვი-ლებში სისხლის ნაკადის რეგულაციის საკითხში (Koss, Yu, 2000, Humma, Ichinoche, Kaneko, 1999).

დადგენილია, რომ უანგბადის და აზოტის რეაქ-ციული სახეობები ჩართული არის სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული ანთებითი პროცესების პათოგენეზში. კერძოდ, აზოტის ოქსიდს ხშირად შეუძლია გამოინ-ვიოს უარყოფითი მოქმედება ანთებით ქსოვილზე, რომელიც მანიფესტირდება გაუარესებული ენდოთე-ლიუმ-დამოკიდებული ვაზოდილატაციით (Suzuki et al., 2000)., ბირთვული ტრანსკრიპციული ფაქტორე-ბის აქტივაციით, ანთებითი ციტოკინების შესაბა-


მისი პროდუქციით (Flohe et al., 1997), ლეიკოციტების მობილიზაციით და აქტივაციით (Kubes et al., 1991), აჩქარებული აპოპტოზით (Zhai et al., 2000) და პარენ-ქიმული უჯრედების ნეკროზით (McKenzie et al., 1997). არაისექმიურ ცდებში ნაჩვენები იყო, რომ ეპითელიუ-რი ნეკროზი და/ან აპოპტოზი კორელირებს აზოტის ოქსიდის დისრეგულაციასთან (Elliot et al., 2000). ამავე ნაშრომში ნაჩვენები იყო, რომ ლორნოვანი გარსის ადრეული ნეკროზი ვითარდება ლიპოპოლისაქარიდე-ბით ინდუცირებული ანთების და მიკროცირკულაციის მოშლის შედეგად, ხოლო აზოტის ოქსიდის როლი გამოკვეთილია უფრო მოგვიანო სტადიაზე – ეპითე-ლიური აპოპტოზის დროს.

ვინაიდან ლორნოვანი გარსის ეპითელიუმში მიმ-დინარე ცვლილებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს სტომატიტის პათოგენეზში მიგვაჩნია, რომ აზოტის ოქსიდის როლი ამ პროცესებში უფრო დეტალურ შესწავლას და ანალიზს საჭიროებს.

მეთოდური მიდგომა. ცდები ჩატარდა 350-400გ მასის მქონე თეთრ უჯიშო მამრობითი სქესის ზრ-დასრულ ვირთაგვებზე ქლორალ ჰიდრატის მსუბუქი (0.4გ/კგ) ნარკოზის პირობებში. ცხოველთა ტემპე-რატურა კონტროლირდებოდა რეექტალურად და მისი დონე რეგულირდებოდა 37°C დონეზე ელექტროგა-მათბობელი საბნის მეშვეობით. არტერიული წნევა უსისხლოდ იზომებოდა კუდის არტერიიდან. ადგი-ლობრივი სისხლის ნაკადის დინამიკა ყბის ლორნოვან გარსში და ქვედა ტუჩში ალირიცხებოდა წყალბადის კლირნსის მეთოდით.

სტომატიტის ინდუცირება ხდებოდა ცნობი-ლი მეთოდით – 10%-ი ძმარმუავას ინექცია ყბის ლორნოვან გარსში. ინექციამდე იზომებოდა ფონური მონაცემები: სისტემური არტერიული წნევა, სისხლის ნაკადი პოტენციური სტომატიტის ლოკალიზაციის ცენტრალურ ნაწილში და მის მომიჯნავე უბანში (წინასწარ ცდებში დადგენილი იყო ჩვენს მიერ გა-მოყენებული ძმარმუავას კონცენტრაციისა და მოცუ-ლობისათვის (30მკლ) სტომატიტის განვითარების შესაძლო მასშტაბები). ძმარმუავას ინექციიდან ერთი საათის განმავლობაში ალნიშნული გაზომვები ნარ-მოებდა ყოველ 15 წუთში, ხოლო შემდეგ ყოველდღე 4 დღის განმავლობაში და ამის შემდეგ კი – მე-10 და მე-14 დღეებში.

მიღებული შედეგები და მათი განხილვა. მიღებული რაოდენობრივი ცვლილებები იღუსტრირებულია სურათზე 1. როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ძმარმჟავას ინექციიდან ერთი საათის განმავლობაში სისხლის ნაკადის დინამიკა ყბის ლორწოვანი გარსის ჩვენს მიერ შერჩეულ ორ უბანში (პოტენციური სტომატიტის ცენტრალური ნაწილი და მასთან მიმდებარე ზონა) იდენტურად იცვლება, ადგილი აქვს თანდათანობით მზარდ ჰიპერემიას, ხოლო მომდევნო პერიოდში (ოთხი დღის განმავლობაში) ამ მაჩვენებლის ცვლილების დინამიკა ურთიერთსანია ალმდეგოა – განვითარებული სტომატიტის უბანში სისხლის ნაკადი მკვეთრად მცირდება (საწყისი დონის 60%-ზე უფრო მეტი მნიშვნელობით), ხოლო ამავე დროს მის მიმდებარე უბანში ჰიპერემია აღწევს პიკს – სისხლის ნაკადი, დაახლოებით ამდენივე პროცენტითაა მომატებული. რაც შეეხება სისტემურ არტერიულ წნევას – აქ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება.




სურ. 1. ადგილობრივი სისხლის ნაკადის ცვლილება ძმარმჟავას 10%-ზი ხსნარის ინექციიდან (ნაჩვენებად ისრით) ერთი საათის განმავლობაში და მომდევნო დღეებში სტომატიტით დაზიანებული უბნის ცენტრალურ და მომიჯნავე უბნებში პრატიკულად უცვლელი სისტემური არტერიული წნევას ფონზე. ასცეისის პირველ ნახევარზე დრო წუთებშია, ხოლო მეორე ნახევარზე – დღეებში.

პირის ლრუს ლორწოვან გარსში ექსპერიმენტული სტომატიტის განვითარებისას ადგილობრივი სისხლის ნაკადის დინამიკა წინასწარ შეყვანილი L-NAME-ს ფონზე. ცხოველთა შემდეგ ჯგუფზე სტომატიტის ინდუცირებამდე (ძმარმჟავას ხსნარის ინექციამდე 15 წუთით ადრე ჩვენ ცხოველებს ინტრავენურად შევუყვანეთ (50 მგ/კგ) – აზოტის ოქსიდის სინთაზას არა-სელექტიური ინჰიბიტორი. ამის შედეგად მივიღეთ ადგილობრივი სისხლის ნაკადის უფრო მკვეთრად გამოხატული შემცირება სტომატიტის უბანში, რაც დაიწყო ძმარმჟავას ინექციიდან 15 წუთის შემდეგ, ხოლო მინიმალური დონე ამ შემთხვევაშიც მიღწეული იყო ინექციიდან მე-4 დღეს, რომლის შემდეგ იწყება


სისხლის ნაკადის მატება. სტომატიტით დაზიანებული ქსოვილის მიმდებარე უბანში ჰიპერემიას პრაქტიკულად არ აქვს ადგილი, ამავე დროს სისტემური არტერიული წნევა იცვლება L-NAME-სათვის დამახასიათებელი დინამიკით: მატება და შემდგომი შემცირება საწყის დონემდე.

პროცენტული გამოხატვით აღნერილი ცვლილებები მოცემულია სურათზე 2.



სურ. 2. ადგილობრივი სისხლის ნაკადის ცვლილება L-NAME-ს და ძმარმჟავას ხსნარის თანმიმდევრული (15-წუთიანი დაყოვნებით) ინექციის (ნაჩვენების ისრით) შემდეგ სტომატიტით და მიმდებარე უბნებში გაზრდილი სისტემური არტერიული წნევის ფონზე

პირის ლრუს ლორწოვან გარსში ადგილობრივი სისხლის ნაკადის დინამიკა ექსპერიმენტული სტომატიტის პირობებში წინასწარ შეყვანილი L-არგინინის ფონზე. ცხოველთა მომდევნო ჯგუფს სტომატიტის ინდუცირებამდე ინტრავენურად შევუყვანეთ აზოტის ოქსიდის დონორი – L-არგინინი. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ სისხლის ნაკადის ცვლილებების (სტომატიტით დაზიანებულ უბანსა და მიმდებარე ზონაში) მკვეთრად გამოხატული პოლარიზაცია: ნაკადი ძლიერ არის შემცირებული სტომატიტის უბანში და ასევე ძლიერ ჰიპერემიას აქვს ადგილი მის მომიჯნავე ზო-



სურ. 3. ადგილობრივი სისხლის ნაკადის ცვლილება L-არგინინისა და ძმარმჟავას ხსნარის თანმიმდევრული (15-წუთიანი დაყოვნებით) ინექციის (ნაჩვენების ისრით) შემდეგ სტომატიტით და მიმდებარე უბნებში გაზრდილი სისტემური არტერიული წნევის ფონზე

ნაში (სურ. 3). სისხლის სისტემური არტერიული წნევა ამ შემთხვევაში პრაქტიკულად უცვლელი იყო საექს-პერიმენტო სესიის პერიოდში (ორი კვირა).

სისტემური არტერიული წნევა ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს სტაბილურობას ექსპერიმენტული სესიის ორკვირიან მონაკვეთში.

გამომდინარე აღწერილი შედეგებიდან აღბათ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ვაზოკონსტრიქცია პირის ლრუს ლორნოვან გარსში სწორედ L-NAME-ს მიერ იქნა ინდუცირებული, რომლის მოქმედების მექანიზმი აზოტის ოქსიდის სინთაზას (NOS) ინჰიბიციით განისაზღვრება. ამის დამატებითი მტკიცებაა ის, რომ L-არგინინის წინასწარმა შეყვანამ, როგორც ვნახეთ, გაანეირობა L-NAME-ს ეფექტი და ცდების შესაბამის სერიაში სისხლის ნაკადის შემცირება ყბის ლორნოვან გარსში აღარ იყო ისე მკვეთრად გამოხატული,

პიპლიოგრაფია

- Elliot D., Crouser D., Julian M., Weinstein D., Fahy J., Bauer J. Endotoxin-induced ileal Mucosal Injury and Nitric Oxide dysregulation are temporally dissociated. *Am. J. Respir. Crit. Care Med.*, 2000, 161, 1705-1712;
- Flohe L., Brigelius-Flohe R., Saliou C., Traber M., Packer L. Redox regulation of NF-κB activation. *Free Radic. Biol. Med.*, 1997, 22, 1115-1126.
- Homma Y., Ichinohe T., Kaneko Y. Oral mucosal blood flow, plasmaepinephrine and haemodynamic responses after injection of lidocaine with epinephrine during midazolam sedation and isoflurane anaesthesia. *Br. J. Anaesth.*, 1999, 82, 4, 570-574;
- Koss M., Yu Y. Role of nitric oxide in maintenance of basal oral tissue blood flow in anaesthetized cats. *Invest. Ophthalmol. Vis. Sci.*, 2001, 20, 3, 1015-1022
- Kubes P., Suzuki M., Granger D.N. Nitric Oxide: An En-

როგორც ცდების წინა სერიაში. აღწერილი შედეგი ადასტურებს, რომ აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბიცია არის ვაზოკონსტრიქციის მექანიზმი და ამცირებს სხვა არასპეციფიკური მექანიზმის მონაწილეობის აღპათობას ამ რეაქციაში.

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვამტკიცოდ მხოლოდ ის, რომ ლორნოვანი გარსის სისხლის ნაკადის ერთ-ერთი ძირითადი მარეგულირებელი ფაქტორი არის აზოტის ოქსიდი და რომ მისი პროდუქციის ინჰიბიცია, მიუხედავად სისტემური არტერიული წნევის მკვეთრი მატებისა ინვევს სისხლის ნაკადის შემცირებას აღნიშნულ ქსოვილში. ამასთან ერთად, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ წამყვანი როლი ამ მექანიზმის მოქმედებაში ენიჭება ენდოთელურ და არა ნეირონულ, ან ინდუციბელურ აზოტის ოქსიდის სინთაზას.

ogenous Modulator of Leukocyte Adhesion. *PNAS*, Jun 1991; 88: 4651 - 4655.

- McKenzie KE, Armstrong BA, Chen Y, Nagarajan M, Al-daz CM, Sukumar S. Alterations in the Ha-ras-1 and the p53 pathway genes in the progression of N-methyl-N-nitrosourea-induced rat mammary tumors. *Mol Carcinog* 1997 Oct 20:2 194-203.
- Ohashi M., Iwase M., Nagumo M. Elevated production of salivary nitric oxide in oral mucosal diseases. *J. Oral Pathol. med.*, 1999, 28, 8, 355-359.
- Suzuki Y., Deitch E., Mishima W., Duran W., Xu D. Endotoxin-induced mesenteric microvascular changes involve iNOS-derived nitric oxide: results from a study using iNOS knock out mice. *Shock*, 2000, 13, 397-403.
- Zhai P., Eurell E., Cooke P.S., Lubahn D.B., Gross D.R. Myocardial ischemia-reperfusion injury in estrogen receptor-α knockout and wild-type mice. *Am J Physiol Heart Circ Physiol*, May 2000; 278: 1640 - 1647.

Abstract

THE ROLE OF NITRIC OXIDE IN REGULATION OF ORAL MUCOSAL BLOOD FLOW IN CONDITION OF STOMATITIS

Guranda Diasamidze

Academic Doctor in Medicine

On the basis of experiments conducted on white rats it was found that one of the main factors of Oral Mucosal Blood Flow regulation is a Nitric Oxide. Inhibition of its production, despite the sharp increase in Systemic Arterial Pressure, reduces blood flow in this tissue. At the same time suggestion is made that the leading role in this process belongs to Endothelial rather than Neuronal or Inducible Nitric Oxide

**საქართველოს სტომატოლოგთა
ასოციაციის VIII
საერთაშორისო კონგრესი
ბათუმი, 13-14 ივლისი,
2012 წელი**



- პაციენტები სახსრის ორთოპედიული პროთეზებით, სტომატოლოგიური პროცედურების დაწყებამდე, ექვემდებარებიან თუ არა ანტიბიოტიკებით პროფილაქტიკას?

პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიების შესწავლა სახსრის პროთეზების ჰემატოგენური გზით დაინფიცირების შესაძლებლობას ადასტურებს. თუმცა, პირის ღრუს მიკროფლორა ხელს უწყობს თუ არა სახსრის ღრმა ანთებითი პროცესების განვითარებას, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. გადაწყვეტილება ანტიბიოტიკებით პრემედიკაციის შესახებ სტომატოლოგმა კლინიკური სიტუაციის შეფასებისა და მკურნალ ექიმთან ან ქირურგ-ორთოპედთან კონსულტაციის შემდეგ უნდა მიიღოს. თუ პაციენტს აღენიშნება სახსრის ინფექციის განვითარების მაღალი რისკი, მას ანტიბიოტიკებით პრემედიკაცია უნდა ჩაუტარდეს. მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტებს მიეკუთვნებიან პაციენტები წინასწარ განწყობილი სისტემური დაავადებებით - რევმატოიდული ართრიტი, სისტემური წითელი მგლურა, წამლისმიერი ან სხივური თერაპიით გამოწვეული იმუნოსუპრესია, ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, ჰემოფილია; მნვავე ინფექციები - პირის ღრუს, კანის; სახსრის პროთეზთან დაკავშირებული უშუალო პრობლემები - სახსრის პროთეზირებიდან 2 წლის განმავლობაში პროთეზების შეცვლის აუცილებლობა, მორყეული პროთეზი, პროთეზის ინფიცირება ანამნეზში.

- სტომატოლოგიური პროცედურების დაწყებამდე, აუცილებელია თუ არა დიალიზე მყოფი პაციენტებისთვის პროფილაქტიკური ანტიბიოტიკორაპია?

თირკმლის დიალიზზე მყოფ პაციენტებს და პაციენტებს არტერიულ-ვენური შუნტებით, ტრანზიტორული ბაქტერიემიის პოტენციური რისკის არსებობის შემთხვევაში, სტომატოლოგიური ჩარევის წინ ანტიბიოტიკებით პრემედიკაცია უნდა ჩაუტარდეთ: ამოქსიცილინი 2,0 გ პერორალურად - პროცედუ-

რამდე 1 საათით ადრე. პენიცილინსა და ამოქსიცილინზე ალერგიის შემთხვევაში - კლინდამიცინი 600 მგ პერორალურად ან ცეფალექსინი* ან ცეფადროქსილი* 2,0 გ პერორალურად პროცედურამდე 1 საათით ადრე, აზიტრომიცინი ან კლაციტრომიცინი 500 მგ პერორალურად პროცედურამდე 1 საათით ადრე.

იმ შემთხვევაში, თუ პაციენტებს არ შეუძლიათ მედიკამენტის პერორალური გზით მიღება - სტომატოლოგიურ პროცედურამდე ნახევარი საათის ფარგლებში 2,0 გ ამპიცილინი ვენაში ან კუნთში უნდა გაუკეთდეს; პენიცილინზე, ამოქსიცილინსა და პენიცილინზე ალერგიის შემთხვევაში - 600 მგ კლინდამიცინი ვენაში, ცეფაზოლინი 1,0 გ ვენაში ან კუნთში პროცედურამდე ნახევარი საათის ფარგლებში.

- როგორი უნდა იყოს თქვენი (სტომატოლოგის) ტაქტიკა იმ შემთხვევაში, თუ გულ-სისხლძარღვთა სისიტემის დაავადების მქონე პაციენტს (ანამნეზის მიხედვით) სტომატოლოგიური ჩარევის დროს აღენიშნა ტკივილი გულმკერდის არეში?

- დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს პროცედურის შეწყვეტა, გაიზომოს და დაფიქსირდეს სასიცოცხლო ფუნქციათა მაჩვენებლები (არტერიული წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე). გამოიკითხოს პაციენტი ტკივილის ხასიათის შესახებ. ტკივილი გულმკერდის არეში შეიძლება იყოს ლოკალური ან გავრცელებული, პაციენტები მას აღნერენ როგორც სიმძიმეს და ზენოლას. ტკივილი შეიძლება იყოს ირადირებული მხრის, ხელის, კისრის ან ზურგის მიმართულებით.
- თუ პაციენტს ანამნეზში აღენიშნება სტენოკარდია და დაბულობს ნიტროგლიცერინს, მიაწოდეთ მას ნიტროგლიცერინის აბი. გააგრძელეთ სასიცოცხლო ფუნქციების კონტროლი. თუ ტკივილი არ ქრება, 3 წუთის შემდეგ მიეცით პაციენტს პრეპარატის განმეორებითი დოზა. თუ 10 წუთის განმავლობაში (მიღებული 3 დოზის შემდეგ) ტკივილი ისევ რჩება, მიოკარდიუმის ინფარქტის

* ცეფალოსპონგინების დანიშვნა არარეკომენდებულია პენიცილინზე დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის მქონე პაციენტებში (ჭინჭრის ციება, კვინქეს შეშუპება, ანაფილაქსია).

გამორიცხვის მიზნით, დაუკავშირდით სასწრაფო დახმარების სამსახურს, რათა პაციენტის ტრანსპორტირება მოხდეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში.

- თუ პაციენტს არ აწესებს გულის დაავადებები (ანამნეზის მიხედვით) და სტომატოლოგიური პროცედურის დროს წარმოქმნილი ტკივილი გულმკერდის არქში 2 წუთის განმავლობაში გრძელდება, დაუკავშირდით სასწრაფო დახმარების სამსახურს.
- ასპირინზე ალერგიის არარსებობის შემთხვევაში, პაციენტს მიეცით ასპირინის 1 აბი-325 მგ — მას აქვს ანტითრომბული მოქმედება.

— არტერიული წნევის რა მაჩვენებლის შემთხვევაშია მიზანშენონილი გეგმიური სტომატოლოგიური მანიპულაციის გადაღება?

თუ სისტოლური წნევა 160 მმ ვერც.წყ.სვ. მაღალია ან დიასტოლური წნევა 100 მმ ვერც.წყ.სვ. მეტი, გეგმიური სტომატოლოგიური პროცედურის ჩატარება უნდა გადაიდოს.

— როგორ უნდა იყოს თქვენი ტაქტიკა არასტაბილური სტენოკარდიის შემთხვევაში?

არასტაბილურ სტენოკარდიას ახასიათებს ტკივილის ხასიათის ცვლილება. ტკივილი აღმოცენდება მცირე დატვირთვის დროს ან მოსვენებულ მდგომარეობაში და ცუდად ექვემდებარება მედიკამენტურ მკურნალობას. ასეთ პაციენტთან უნდა მოხდეს სტომატოლოგიური მანიპულაციის გადაღება და იგი უნდა გაიგზავნოს მკურნალ ექიმთან შესამაბისი დახმარების გასაწევად. აღნიშნულ პაციენტებში მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი მაღალია და თუ გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარება აუცილებელია მანამ, სანამ პაციენტის მდგომარეო-

ბა სტაბილური გახდება, სტომატოლოგიური ჩარევა კარდიომონიტორინგისა და დამამშვიდებელი პრეპარატების ფონზე უნდა ჩატარდეს.

— უკუნაჩვენებია თუ არა გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პაციენტებში ვაზოკონსტრიქტორის შემცველი პრეპარატების გამოყენება ადგილობრივი გაუტკივარების დროს?

გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები არ წარმოადგენს უკუჩვენებას ვაზოკონსტრიქტორის გამოყენებისთვის. კლინიკური რეკომენდაციების მიხედვით, ადრენალის დოზა 0,04 მგ-ს არ უნდა აღმატებოდეს, რაც შეესაბამება 4 კარპულას განზავებით 1:200 000 ან 2 კარპულას განზავებით 1:100 000.

— როგორი უნდა იყოს სტომატოლოგის სტრატეგია, თუ პაციენტს მკურნალობის პროცესში ჰიპოგლიკემიური რეაქცია განუვითარდა?

სტომატოლოგის მზად უნდა ჰქონდეს შაქარი ნებისმიერი ფორმით: შაქრის პაკეტები, ტკბილეული ან ფორთოხლის წვენი, გაყიდვაშია გლუკოზის აბები – 3 მგ. (დექსტროზოლი). თუ პაციენტს მკურნალობის პროცესში ჰიპოგლიკემიის ნიშნები აღენიშნა, სასწრაფოდ უნდა შეწყდეს პროცედურა. თუ პაციენტის გონება შენარჩუნებულია, მას გლუკოზა ნებისმიერი ფორმით (პერიორალურად) უნდა მიეწოდოს.

თუ პაციენტი უგონო მდგომარეობაშია, უნდა მოხდეს სასწრაფო დახმარების სამსახურთან დაკავშირება. შესაძლებელია კუნთში 1 მგ გლუკაგონის ან ვენაში 50 მლ 50% გლუკოზის ხსნარის შეყვანა. გლუკაგონის ინექციის შემდეგ, 15 წუთის განმავლობაში, პაციენტს გონება უბრუნდება; შემდეგ მას შაქარი უნდა მიეწოდოს (პერიორალურად) ნებისმიერი ფორმით.



ანი გრიგორაშვილი

დავიბადე 1988 წლის 10 მარტს ქ. თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედი-ცინის ფაკულტეტზე.

ამჟამად ვარ კლინიკა „ცედექ-სის“ რეზიდენტი თერაპიულ სტომატოლოგიაში.

**მიყვარს თიხა...
მოკლედ რომ ვთქვა,
„ფანტაზის თამაში“
თავისუფალ დროს**

ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა – როგორც ყველა ბავშვის, ჩემი ნახატების გმირებსაც ჰქონდათ დიდი, ოთხუთხა თავები და პატარა ტანები.

მასში ვას მასწავლებელმა დაიბარა დედა და სთხოვა ხატვის კურსებზე აქტიურად ვეტარებინე. მაშინ პირველად შევცვალე ფანქარი ფუნჯით და მას შემდეგ ის ჩემი განუყრელი მეგობარი გახდა. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დავდიოდი ხატვის პროფესიულ კურსებზე „მოყვარულის სტატუ-სით“ – ამიტომაც დავრჩი „მოყვარულ მხატვრად.“ ...

მიყვარს თიხა... და მისგან სამკაულების და სხვა-დასხვა აქსესუარების შექმნა – მოკლედ რომ ვთქვა, „ფანტაზის თამაში“ თავისუფალ დროს.


ჩემი ოცნება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ლამაზი მხატვრული რესტავრაციების გაკეთებაა და მინდა, რომ „მოყვარული გოგონა“ ნამდვილ პროფესიონალად გადაიქცეს. პირველი ნაბიჯების გადადგმაში კი კლინიკა „ცედექსი“ და აქ მომუ-შავე უჭკვიანესი და უსაყვარლესი ექიმები მეხმა-რებიან ☺





გეიშა. გუაში, აკრილი



სამკაულები



გუაში, აკრილი



პასტელი



სამკაულები

საქართველოს სტომატოლოგია ასოციაცია




**www.gsa.ge
e-mail: info@gsa.ge
(032) 2 309 711
(+995) 95 53-23-53**

პარივასი და პირის ღრუს ყოველდღიური მოვლა

თაროგიზებული

Colgate® 360°® Surround კბილის ჯავრისი, რომელიც შექმნილია უფრო მეტი ნადების მოსაშორებლად



აშორებს ბაქტერიებს 3 გზით:



ირგვლივი წვერებით



მოხრილი გამწმენდით



ლოყებისა და ენის გამწმენდით

www.gsa.ge